899
2

# მიმოსვლა

ანუ

# მგზავრობა

იონა

რუისის მიტროპოლიტისა.

2K399

შინ არ გაიცემა

დაბეჭდილი
ქ. თფილისს.
სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისსა.
1852.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ა

ქავკასიის ნამესტნიკის კნიაზის მიხაილ სჳმონის-ძის
ვორონცოვისა.

მათს უგანათლებულესობას,

კავკასიის ნამესტნიკს, კნიაზსა მიხაილ სჱმონის-ძეს ვორონცოვს,

მათისავე ბრძანებით აღბეჭდილი წიგნი ესე,

ეძღუ̂ნის უმდაბლესად.

მაისის 28 წელსა 1852.

ქ. თფილისს.

. . . . ჰსდეგით გზასა და იხილეთ, და გამოჰკჳლევით საუკუნეთა წარსრულთა ჰსცანით, რომელი არს გზა კე-თილი და ვიდოდეთ მას-ზედა, და ჰპოვოთ განსჳენება სულთა თქჳენთა,

იერემ. 6. 16.

## წინა-სიტყჳაობა.

მწერალი წიგნისა ამის მიტროპოლიტი რუისისა ანუ მროველი იყო გჳარით გედევანის-შვილი, ძე, კათოლიკოზის სარდლისა გაბრიელისა. იშჳა იგი 1737 წელსა და ეწოდა სახელად იოანე. აღიზარდა იგი სიყრმითგან კათოლიკოზის კარზედ და 16 წლისა კათოლიკოზის ანტონის 1 გან ჴელ-დასხმულ-იქმნა იეროდიაკონად სახელით იონა 1753 წელსა, მეფობასა ქართლისა სამეფოსა ზედა თეიმურაზ მეორისა. კათოლიკოზმან ანტონი, განდევნილმან ქართლით 1754 წელსა წარიყჳანა იგი თანა რუსეთსა (1) და ჰსცხოვრებდა მასთან, ოდეს განაგებდა ვლადიმირისა და იეროპოლისა ეპარხიასა. შემდგომად უკუ-მოქცევისა კათოლიკოზის ანტონისა ქართლადვე თანა-მოჰყჳა იგი მას და მიეცა არხიმანდრიტობა ჯჳარის-მონასტრისა, რომელიცა 1787 წელსა გაოხრდა ლეკთაგან და აწ ჰგიეს ცალიერად პირის-პირ მცხეთისა, არაგჳსა მდინარისა გაღმა. 1775 წელსა აღჰყჳანილ-იქმნა მიტროპოლიტისა ხარისხსა რუისისა ეპარხიასზედ. სოფლისა ღელჳამან, ვითარცა თჳთ ჰსწერს (2), მიჰსცა იგი ეკკლესიისა სამჰსჯავროსა. გან-

---

(1) ს. პეტერბურღის უწმინდესის სინოდის არხივაში ვჰპოვე საქმე 1757 წლისა № 350, რომელშიაც არის თანა-ხლებულთა გჳამთა სია; და მას შინა მოიხსენების იეროდიაკონი იოანე, მღჳდელ-მონაზონებში წოდებული იონად.

(2) იხ. წიგნისა ამის გჳერდი 9.

ძანებითა თჳთ მეფისა ირაკლი მეორისა 1780 წელსა მოეღო მას ეპარხია და სამღუთო მსახურება მღუდელ-მთავრობისა და მღუდელ-მოქმედებისა, და იქმნა წარგზავნილ მპყრობილად დავით-გარეჯის უდაბნოსა (3). აქედამ იდუმალ განვიდა და ივლტოდა იმერეთად, სადაცა არა შეწყნარებული, არცა მეფისა და არცა ეპის-

---

(3) საქმიდამ უწმინდესის სინოდისა (სინოდის არხივისა საქმე 1795 წლისა № 233) ჩანს, რომელ მოადგილედ მისსა მროველად აღუყუანია კათოლიკოზსა ანტონის I ნიკოლოზ, გუარით ყიფიანი, 1780 წელსა. მაშასადამე დრომდე წარსულისა პალესტინედ, უცხოვრია საქართუელოსა შინა წინა-მოადგილესა მისსა იონას.

ესე ნიკოლოზ მროველი განიყენა ეპარხიისაგან 1791 წელსა და წარვიდა იერუსალიმად. 1795 წელსა, შემდგომად იერუსალიმის მოსვლისა, მივიდა კიევსა და აქედამ ასტრახანით უნებდა უკუ-მოქცევა საქართუელოს. მოსრულსა ასტრახანსა 1796 წელსა თანა-ჰყუა მას მგზავრად ძმა მაქსიმე აბხაზეთის კათოლიკოზისა, იმერეთისა იღუმენი ანტონი. მოხუცებისა-გამო და სნეულებისა ჰსთხოვა, სინოდსა რათა მიჰსცეს ნება მუნ ცხოვრებისა და ამავე წელსა 1 ნოემბერს 95 წლისა გარდაიცვალა მუნ იოანე ნათლის-მცემლის მონასტერში და ანდერძისა-მებრ მისისა დაასაფლავეს კარ-ღიათა შესავალსა (въ проѣздныхъ воротахъ) ქუეშე სამრეკლოისა.

მისსა მოადგილედ მიიღო მროველობა იუსტინემან, გუარით მაღალა-მჭლიშან და იყო იგი უკანასკნელი, გაუქმებულისა 1818 წელსა რუისისა ეპარხიისა.

აქა მოვიხსენებ, სასარგებლოდ ისტორიისათჳს, რუისის ეპარხიის განმგეთა მღუდელ-მთავართა სახელთა, რაოდენნიცა სხუათა და სხუათა წერილთაგან შევიმეცნე:

კოპოსთაგან, წარმოგზავნილ-იქმნა ქართლადვე. მოსრუ-ლი თფილისს, ჰსცხოვრებდა ეზოს შინა წმინდის გი-ორგისა ეკკლესიისსა გარეგან ქალაქისა თფილისისა ([4]), ქაშოეთად წოდებულისა. აქედამ იდუმალვე ლტოლჳა-ჰყო ახალციხედ ფაშისადმი, რომელმანცა განამგზავრა მუნით კონსტანტინოპოლეს, ჰაზრითა მით, რათა გჳწმულმან

---

1. დომენტი, გჳარით ავალის-შჳლი, შაჰნავაზისა და დიდ-მოურავისა ჟამსა მცხოვრები.

2. კირილე, მოკლული სპარსთაგან 1692 წელსა.

3. დოროთეოს, ესეცა მოკლული ლეკთაგან.

4. კიპრიანე.

5. ნიკოლოოზ ორბელიანი, კაცი მეცნიერი და განსწავლუ-ლი, საგალობელთა აღმწერელი, 1726 წელსა.

6. ათანასი, ამილახორის გჳარისა, რომელიცა იყო შემ-დგომ თფილელელადცა, მმართველი მოსკოვს სტამბისა ქართუ-ლისა და აღმბეჭდი ქართულთა საეკკლესიოთა წიგნთა 1736 წ.

7. იოსებ, რომელიცა განაგებდა კათოლიკოზობასა 1754—1762 წელთა, არა დამტკიცებული თჳსისა ეპარხიისა. კაცი მა-ღალისა ღირსებისა.

8. გერმანე.

9. იონა გედევანის-შჳლი.

10. ნიკოლოოზ, ყოფიანი.

11. იუსტინე, მაღალაშჳლი: უკანასკნელი.

([4]) ესრეთ ჰსწერია თჳთ მას წერილსა შინა, რომელიცა კა-თოლიკოსმან ანტონი მიჰსწერა კონსტანტინოპოლის პატრი-არხსა, საცნობელად, რომელ მიტროპოლიტი იონა განშიშჳლდა მღჳდელ-მთავრობისა ხარისხიდამ და სიკჳდილადმდე აღეკრძა-ლაცა მღჳდელ-მოქმედება. დროსა ამას ეკკლესია ქაშოეთისა წმინდის გიორგისა, ნამდჳლ იყო გარე ქალაქისა.

მწუხარებითა და მემიებელმან მოტევებისა, მიიღოს კჳა-ლად ხსნილება პატრიარხისაგან ანტიოხიისა და ეპარ-ხია ჯავახეთისა ანუ ახალციხისა.

მართლ-მადიდებელთა პატრიარხთა პროკოპი კონსტან-ტინოპოლისამან და აბრაამ იერუსალიმისა, აღადგინეს იგი მღუდელ-მთავრობისა პატივსა და მოჰსწერეს ამის-თჳს წერილნი კათოლიკოსსა ანტონის და მეფესა ირა-კლის (5). ეგრეთუე მოტევება და განხსნა მიიღო გე-რასიმესგან ალექსანდრიისა პატრიარხისა, დროსა მი-სულისა მისისა ეგჳპტისა ქალაქსა ალექსანდრიას (6); და ეგრეთუე პატრიარხისაგან ანტიოხიისა, რომელსაცა ეკუ-თჳნოდა ძუელად ეკკლესია ქართუელთა (7). ესრეთ აღ-დგინებულმან მღუდელ-მთავრად, მოიხილა მრავალნი წმინ-დანი ადგილნი და მივიდა ავსტრიისა ქუეყანით მოლდა-ვიასა. აქა დიდად შეწყნარებულ-იქმნა უგანათლებულესისა კნიაზისა პოტემკინისაგან, რომელიცა დროთა ამათ ებრძოდა თურქთა.

შემდგომად გარდაცვალებისა კნიაზისა პოტემკინისა, უკაზითა იმპერატრიცა ეკატერინა მეორისა, 23 აგჳსტოს 1792 წელსა ჴელ-მოწერილისა ცარსკოი-სელოში, ერთ-გუ-ლობისათჳს რუსეთისა (за усердіе къ Россіи) ებოძა მას პენსიონად 600 მანეთი წელიწადში და საცხოვრე-ბელად კიევისა ქალაქი. აქა დაყო მან 3 წელი (8) და აღიარებდენ მას არხიეპისკოპოსად და არა მიტროპოლი-

(5) გუერდი 20 და 21.
(6) გუერდი 85.
(7) გუერდი 56.
(8) სინოდის არხივის საქმე 1792 წლისა № 279.

ტაად. — ამისთჳს კრევილამ წარგზავნა უწმინდესსა სინოდ-
ში თხოვა, რათა არს წარერთოს მას ტიტული ანუ ხა-
რისხი მიტროპოლიტობისა, რომლითაცა იწოდებოდა იგი
საქართჳელოსა. ამა საგანზედ დაიმოწმა გაიოს ეპისკო-
პოსი მოზდოკისა (9) და მაქსიმე კათოლიკოზი აბხაზე-
თისა, ამათ ჟამთა კიევსა მცხოვრები (10) და წარადგინა
გრამატა მიცემული კათოლიკოზისაგან 1775 წლისა
სეკდემბრის 28 (11). უწმინდესისა სინოდისაგან შეკით-
ხული გაიოს, 1 სეკდემბრიდამ 1793 წლისა მოწმობს,
რომელ მოქცეულმან რუსეთით საქართჳელოდ, იხილა იონა
მიტროპოლიტობისა ხარისხით მწყემსად რუისისა და
სურამისა. ხოლო მაქსიმე კათოლიკოზი კიევსა მცხო-
ვრები, 22 დეკემბრიდამ 1793 წელსა მოახსენებს სი-
ნოდსა, რომელ იმერეთათ ქართლსა გარდასრულმან, იხი-

---

(9) იხ. ტიმოთეს მოხილვა. გჳერდი 21.

(10) იხ. მისთჳს გჳერდი 139—142.

(11) სინოდის საქმეში 1792 წლისა № 279, ვპოვე მხო-
ლოდ რუსულად ბრძანებისა ამის ანუ ოქმისა პირი, რომელი-
ცა მიეცა მეფესა ირაკლის და კათოლიკოზსა ანტონის:

**По повелѣнію нашему и по волѣ Его Святѣйше-
ства моего брата Каѳоликоса Антонія, по смерти Ми-
трополита Германа, избранъ въ Грузіи соборомъ ду-
ховныхъ чиновъ сей Гедеоновъ сынъ, Архимандритъ
Іона пастыремъ Руисскимъ и Сурамскимъ. Повинуй-
тесь ему.**

თჳთ ნამდჳლი ოქმი მეფისა ირაკლისა, მომცა კოლლეჟ-
სკის რეგისტრატორმან პეტრე ქებაძემან, რომელიცა სიყრ-
მითგან ახლდა განსუენებულსა მიტროპოლიტსა იონას. აჰა
პირი ბრძანებისა ამის:

ლა იგი იონა მროველი რუისსა და ისადგურა მასთანვე, ვითარცა მიტროპოლიტთან. «ამა ხარისხზედ, იტყჳს იგი, ნამდჳლ იყო აღყვანილი კათოლიკოზისა და მეფისაგან».

იმავე სინოდის საქმიდამ ჩანს, რომელ 25 ნოემბერს 1799 ითხოვა, რათა ნება-ჰსცენ მას ცხოვრებისა მოსკოვსა. ნება-რთული მივიდა მუნ და ჰსცხოვრებდა 27 წელსა. აქა მოხუცებული 84 წლისა, დამბლისა დაცემისა სენითა, გარდაიცვალა ჩუდოვის მონასტერში 4 აგვისტოსა 1821 წელსა და დასაფლავდა ჰოკროვის მონასტერსა ეკკლესიასა შინა თანა-მოსახელისა მისისა, რუსთა ეკკლესიის წმინდისა და სასწაულთ-მოქმედისა იოანესსა, ყოვლისა რუსეთისა მიტროპოლიტისსა, წინარე სამეფოჲსა აღსავლისა კარისა ([12]).

---

«ჩუენი ბრძანება არის. მერე, მათის უწმინდესობის, ჩუენის ძმის კათოლიკოზის ნებისა დართვით და შემოკრებულთა ყოვლად-სამღვდელოთა რჩევით, გედევანის-ძეს არხიმანდრიტს იონას მროველობა მივჰბოძეთ. რომელიცა სამროველო კაცნი ხართ, როგორც მართებული არის, იმ გზით მოუდგებით და ბატონ-ყმურად მსახურეთ და ამისის სიტყჳს-მორჩილნი იყავით, და ესეცა მაგ ეკკლესიის მოვლას და თქუენს ჯეროვნად დამწყსას არ დააკლებს. აღიწერა ქორონიკონს უჲდ — ქ. რომელნიცა ამისი სამწყსონი თავადნი, აზნაურნი და გლეხნი იმყოფებით, როგორც სამწყსოსაგან მწყემსის მოდგომა მართებული არის, იმ გზით თქუენც მოუდექით და დაემორჩილენით».

ირაკლი.

([12]) ამა მონასტერში არის ზედა-წარწერილი მოხსენებისა მისისა, გარნა შეცთომილებითი აღსავსე. წელიწადი შობისა და

წიგნი ესე დაიბეჭდა იმა ნამდჳლიდამ, რომელიცა გარდაეწერინა თჳთ მას მოსკოვს და წარმოეგზავნა მუ-ნით თჳსთა ნათესავთათჳს.

ამავე მოგზაურობისათჳს, თჳთ მწერალსა დაურთავს მოთხრობა გჳარ-შთამომავლობისა თჳსისა, და მეცა აქა დავ-ბეჭდე ესე, სახელ, რათა სხჳსანიცა ქართჳელნი შეუდგნენ ესე ვითარსა მაგალითსა, სასარგებლოსა ისტორიისათჳს, და დროთა წარსრულთა საცნობელად.

ტიმოთეს მოხილჳაში, წინარე ამისა დაბეჭდილსა წიგნ-ში, იყჳნენ დახატულნი: ხატი ივერიისა პორტაიტისა ანუ კარისა ღჳთის-მშობლისა და ოთხნიცა სახენი მე-ფეთა ქართჳელთა, გარდამოღებულნი იერუსალიმსა და ათონისა მთასა თჳთ ტიმოთესგან. ქჳეშე ყოვლად-წმინდისა დედისა ღჳთისა ხატისა, გარდამწერალსა წიგ-ნისა მის, დავით რექტორსა, დაურთო შემდეგი აკროსტიხი ლექსად:

დედოფალ დედა, ასული დავითისა,
აღმსულ წილ-ხდომილთ, ლტოლჳლთა სიბოროტის,
ვნებულთა ფარჯო, ექმნების ერთა თჳსთა,
იესეს მირით, ქალწულო ღმერთი ჰშევ მე,
თხოვილსა ოხა, სამარადონი მაგე (13).

---

სხჳსანიცა შემთხჳეულებანი არა არიან თანხმად ნამდჳლთა სი-ნოდის საქმეთა შინა ჩჳენებულთა დროთა. ამისთჳს უგულე-ბულ-ვყავ ცნობანი, რომელნიცა მაქუნდეს გარდმოწერილ, ჩე-მისა მოსკოვს ყოფნისა დროსა.

(13) კიდურ-წერილობა ამისი: « დავით ალექსიძე ».

თჳთ ნამდჳლი ჴელ-წერილი ტიმოთეს მოხილჳსა (ის. წინა-სიტყუაობა დაბეჭდილისა) ახლავს აწ უგანათლებულესსა კნიაზისა

ხატი ესე და სახენი ოთხთა მეფეთა: მარიანისა, ვახტანგ გორგასლანისა, ბაგრატისა და ლეონ კახთა მეფისა, ამოჭრით თითბერზედ, ნამდჳლთა-თანა ყოვლად მსგავსად (fac-simile), დაერთო წიგნსა ამას იოანს მოგზაურობისსა ბრძანებითა და სურჳლითა უგანათლებულესისა კნიაზისა მ. ს. ვორონცოვისა.

მცირედნი უწყებანი მეფეთა ამათთათჳს, სასარგებლონი მკითხუელთათჳს, ჩემით შევადგინე და დაუმატენ.

ბრძანებითა კნიაზის მ. ს. ვორონცოვისა, დაბეჭდუაზედ ამა წიგნისა მშრომელმან, ვჰგონე სასარგებლოდვე მკითხუელთათჳს დამატება ადგილ-ადგილ სხოლიოთა და შენიშუნათა. ნუ იქმნების საკიცხუელად ჩემდა შრომა ესე ჩემი, უკეთუ მას შინა ჰპოვონ ანუ შეცთომა, ვითარცა კაცისა, ანუ მოხსენება რავდენთამე, შესახებელად ჩემდა მოთხრობათა, რომელთაცა მსურდა გარდაცემა შემდგგთა ჟამთათჳს და მომავალთა მემამულეთა ჩემთა საცნობელად, ოდეს არცა მშრომელიღა იქმნების სოფელჲსა ამას, არცა თანა-მედროჲსა ჩემსა მკითხუელი.

პლატონ ეგნატის-ძე იოსელიანი.

28 მაისს 1852 წელსა

ქ. თფილისს.

---

მ. ს. ვორონცოვსა. იგი მიართუა მას თავადმან ნიკოლოოზ იოსების-ძემან ფალავანდოვმან, დასაცუავად მისსა წიგნთა-საცავსა.



ივერიისა ვარისა ღვ̂თის მშობელი

Погосъ Грацiанецъ

# მიმოსჳლა ანუ მგზავრობა, თფილისით კონსტანტინოპოლედ.

მზადმან მან ნათელმან უსხეულომან, ყოველთა არსთა მიზეზმან მიზეზთამან, იხილა ქჳეყანაჲ განუსაზღჳრებელ, და განუწყალებელ უხილავი და ბნელი, და თქჳა: იქმნენინ ნათელი. ინიავქარ-ბერტყა და განჰყარა ბნელი, და იხილა ქჳეყანა, და თქჳა: შეკრბედ წყალნი და გამოჩნდინ ხმელი და იქმნა ეგრეთ, და დაუდჳა ზღჳასა საზღჳარი, რათა არა გარდახდეს. ხოლო კაცთა მათ განაწესეს ნავითა მავლობა, და ღელჳასა შინა ზღჳსასა სლჳა. ხოლო რომელნიმე იშთობიან და რომელნიმე იჯირჯან განრინებად, და მისჳლად ნავთ-საყუდელად, და აგრეთჳე რაცხე ხმელნი და მას შინა სხმულნი და დაშენებულნი ქალაქ-დაბნებ სოფლები, და მას შინა მკჳდროანნი კაცნი, რომელნიცა იშთჳებიან უფროროე ზღჳსა, თუმცა არა აქჳს წარმომდინარობა ვითა წყალსა, და სჳელ-ნოტიობა მოშთობისა, მაგრამ უფრო იშთობიან სოფელსა შინა კაცნი, თჳთ თავით თჳსით მოგებულნი ანუ სხჳსა მიმართ შემთხჳეულნი. ესრეთ მე თჳთ ქჳე-მდებარე და შესმენილი ამას შინა; განწირულ-გასტყორცილი ვიქმენ და შეუვრდი დიდსა გჳემულებასა და ღელჳასა ამის სოფლისასა. და ვიცი თავისა ჩემისა ლიმანი, რომელ-არს ნავთ-საყუდელი, განსაზღჳრებ ბრძანებითა გამზრდელისა ჩემისა მეფის-მის ანტონი კათოლიკოზისათა,

რომელიცა მჳრ-ოვასობს ქუეყანასა ივერიისასა, რომელ-არს საქართუელო, ამერ-იმერნი, ზემო-ქუემონი მისითა განათლებულნი, და ეკკლესიანი მორწყულნი წერილითა მისითა, და უკუნდაებს დასასრულადმდე სოფლისა. და აღვირჩიე მე წმინდათა ადგილებთა მოხილუა, და თაყუანის-ცემა, და პატრიარხთა-თანა ოთხთა მათ მართლ-მადიდებელთა, რომელთადმი ყოველნი სნეულნი სალბუნისა და მკურნალისა მიმართ მიივლტიან. და განწირულებასა მას შინა მყოფემან, ვიმიე თანა-მავალად ჩემდა ბერი ვინმე დიაკონი კარსანოფ კეთილთა-შობილთაგანი, იმერთა ერისა, და კაცი ერთი მსახური ჩემდა. გავჰსწირე თავი ჩემი და მივეც უცხოებასა, რომელსაცა არცაღათუ მასმიეს ადგილნი, რომელნიცა მოვკლე. არა სადა ვიდრე გზისა ავაზაკთა, და არცა ზღჳსა ღელუათაგან, და არცა მას შინა მოშთობისაგან.

არამედ კჱხადე დედუფალსა ღუთის-მშობელსა შუა-მდგომელობა მისა თჳსისა თანა, რათა მიხსნას ყოვლისა ზედა-კუეთებისაგან ვნებისა, რომელიცა ჩუენისა ცხოვრებისათჳს მოვიდა ქუეყანასა ზედა, და წარმოვემართე თბილისით. მოვიდა ჩემდა მმის-წული ჩემი ნიკოლოზ, სარდლის მოშიას-მე და პროტოიერეი კალოუბნისა იოანე, და შეგუსხეს ცხენსა, კვლეთ და მივიწიენით მცხეთასა, დედა ეკკლესიასა, და თაყუანის-ვეც და სულთ-ვითქუენ ცრემლითა: შენ ღირს-მყავ შესულად ტაძარსა, და მას შინა მირონ აღმომდინარე მაცხოვრებელსა კაცთასა და მომაქციე კუალადცა. და მუნით მივიწიე სურამს, მერვანის-მეს ორჯონიკიძეებთან, და მიგჳდეს ვითა აქუნდათ ჩუეულება ჩემის მიღებისა, დავყავი ხანი რაოდე-

ნიმე და ვემზადი გზისა წარმავალისა, სამცხე საათაბა-გოსსა და იქარავნეს სურამელთ სამცხეთით, და მეცა თა-ნა მავალი ვიქმენ მათ თანა, და მივედით ქუეყანასა ათა-ბაგისასა, ქალაქსა, ახალციხედ წოდებულსა. ესმა რა მი-სჳლა ჩემი ათაბაგს მიმიწჳა და მიხილა და დიდითა პა-ტივითა პატივს-მცა, და მომცა სადგომი, წმინდის მარი-ნის კარსა ეკკლესიისასა, კელია, სადაცა ბერძენთა მღჳდელთ-მთავარნი ისადგურებენ, და მიბოძა ულუ-ფა, და ქრისტიანეთაგან დიდად შეწყალებულ ვიქმენ სამღჳდელოთა თუ საეროთაგან. კურთხეულმცა იყოს სა-ხსენებელი მათი, და მყოფობასა მას შინა მემთხჳა ცი-ებ-ცხელება და განვთავისუფლდი სნეულებისაგან მად-ლითა ღჳთისათა.

განაცხულზედ არს ჩუეულება, რომელ ვაჭარნი ამის ქალაქისანი იწყებენ წარსულად ზღჳთა კონსტანტინო-პოლედ, და ვესთხოვე უშიშრობა ჩემისა მგზავრობისა, და მათ ვაჭართა თანა წარტანა ჩემი, ათაბაგსა. ხოლო მან კეთილ-ინება, და მოუწოდა მოქარავნეთა მათ ვა-ჭართა, თავთა ქრისტიანეთა, ოთხთა კაცთა, და უბრძანა: კაცი ესე თავადი, თავი სამღჳდელოთა, მიიყუანეთ კონ-სტანტინოპოლეს თჳსის მერჯულეებთანა და ბარათი მო-მიტანეთ ამისი უვნებელობისა. და მიბოძა კაცი თჳსი, და ფოშტის ცხენი კიდრე ართუნამდე. და მიუწერა ძმა-სა თჳსსა ათაბაგისა მესა ყარა ქაღასა: თავადი ესე მოვა და მიღება შენგან კეთილად ამისი შენ იციო, და გასტუ-მრება ხოფასა უშიშრად. გამოველ ახალციხით, და მდი-ნარესა ახალციხისასა, და მოვედით სოფელსა ერთსა, რომელიცა შორავს ახალციხესა ვერსით ათითა. და გამო-

მეყჳა მმა ჩემი ნაზირი გიორგი, და ქრისტიანენი, სამ-დჳდელონი თუ საერონი, და განვისჳენეთ ღამეს მას, და დილაზედ ურთიერთარს ამბორეჰა, და გამოსალმებას, და საყვარის პროთოიერეის აღსარება ვუთხარ გზის სიშორისა და ზღჳს ღელჳს გამო, და განვეყარენითურ-თიერთისა. და ვჰსთხოვე მმასა ჩემსა ნაზირს გიორგის უკუნ ქცევად ქჳეყანასა თჳსსა მშობელსა, და მისმინაცა და მიიქცა თჳსსავე ქჳეყანასა. ამა სოფლიდამ წარმოსრულთ, მოვიწიენით ხეობასა გოლისასა, სადაცა ორისავე მხრით მრავლობენ სოფლებნი მშჳენიერნი, და საშუალ მათსა წყალი მომდინარე, მდინარე მგზავსი ქსნისა, თჳ-ნიერ ორაგულისა, რომელიცა ქსანსა შინა მრავლობს. და თავსა მას ხეობისასა დაშენებულია ციხე, რომელსა-ცა ეწოდების ყჳელის-ციხე (1). მცირეს ხანს მივეცით განსჳენება თავთა ჩჳენთა, და ცხენთა, და შეუდეგით მთასა შავშეთისასა. მთა მშჳენიერი და ყჳავილოვანი, ბალახოვანი, და თოვლ-აუღებელი მრავალს ადგილსა, ჟამ-სა თთჳესა მაისისასა. და მივიწიენით არტანუჯად წოდე-ბულსა ქალაქსა მცირესა, რომელ-არს კლარჯეთის-ციხე. წყალი მომდინარე ხეობასა ამას შინა მჰსგავსი სიდი-დით არაგჳსა, სავსეა თევზითა, თჳნიერ ორაგულისა. ორად იყოფა წყალი იგი. ციხე უცხო და საკჳრჳელი თჳნიერ შენობისა, არამედ ბუნებითი კლდე შემოზღუ-დჳლი თხემსა მას კლდისასა, ველი ვაკე, დიდი და მშჳე-ნიერი, და რა მივიწიენით თხემსა მას და მოვიწიენით რქისა მთით და ჩამოვედით მირსა და მას შინა სოფ-

(1) ამისთჳს იხილე მოხილჳა ტიმოთესი. გჳერდი 14.

პ. ი.

ლეჲი ნაყოფიერი, ღჳნო კეთილი, და არს მრავალი თურქის გამო (2) ვიხილეთ.

გამოვედით ხეობასა ლიონისასა ანუ ართჳანისასა, სადაცა მდინარე იგი წარმომდინარობს. საშუალ ამის ხეობისა ჯოროხი მსგავსია სიდიდითა ვითა მტკჳარი, ხეობა ვიწროა და მტერთაგან შეუვალი. ხეობასა ამას შინა არს ართჳნის ქალაქი. ნაყოფიერებს ხეობა ესე ყოვლისა ხილითა და ზეთის-ხილითა და ყოვლისა ნაყოფითა. ხოლო პირსა ჯოროხისასა არს პალატი ძუელი ათაბაგთაგან აშენებული, ველსა მას ცხენთ სარბიელი საბურთალი, მახლობელად განსავალსა მას ხიდსა ქჳთკირისასა. განვვლეთ ჩუენ ხიდი და მივედ ყარაქაისა ათაბაგთანა ფაშის ძმასთან. მაშინ ფაშის გამოტანებულმან კაცმან მან, მიართო წიგნი ძმისა თჳსისა, დიახ პატივსმცა, ყავა ვსჳთ, და მიბრძანა; ხედვასა ამა პალატისა ძუელისა, რომელსაცა ვახსენებ, და მუშანი მუშაკობენ; ყოველნი ათაბაგნი ამა პალატისაგან შობილან, და აღზრდილან. პალატისა მის მახლობელად არიან ხენი მშუენიერნი ნერგულნი, მაჩრდილ-მაგრილობელნი სასახლესა მას ათაბაგისასა. მსწრაფლ მოუწოდა სომეხსა ვისმე აზნაურად წოდებულსა, მემკჳდრესა ართჳნის ქალაქისასა, და უბრძანა რაჲცა სახმარი-არს ზღჳათა მავალთ მგზავრთათჳს, ყოველი დაუმზადე, რომელსაცა მთხოვს წერილითა ძმა ჩემი ფაშა ახალციხისა. ამის მიზეზობით გასტუმრებასა

---

(2) ამა ადგილთა შინა, სადაცა თურქთა 1600 წელსა განაუქმეს ქრისტიანობა და ქართუელნი მუნ მცხოვრებნი, მაჰმადიან-ჰყუეს. — დღესცა მრავალნი იპოებიან ღჳნის მარანნი და ქჳევრნი, დაშთენილნი ძუელადგან.

პ. ი.

ყოველივე მოუმზადე, და შენცა ხოვსამდინ უნდა გაჰყუჱ. ბრძანებისაებრ მისისა ათაბაგისა ყოველივე აღმისრულეს, და გამისტუმრეს.

იქიდამ წარმოსჳლით განვჳრცელდა ხეობა და მდინარე იგი. ხოლო წყალსა ამას შინაგან კლენან მცირითა ნავითა ანუ ლოტკითა კაცნი მსახლობელნი ვითა ქართჳელნი, და ენისა თჳსისა მოლაპარაკენი ქართულად, და არა სხჳსა ენისა, და სარწმუნოებით მახმედიანნი, ვიეთნი ვითა ავაზაკნი და ვითა ლეკნი, და სხუანი აგრეთჳე რაცხე. და შემდგომად ორისა დღისა შეუდეგით მთასა ჯანისასა. ხალხთა ჯანელთა თჳსი ენა აქუსთ; მჰსგავსნი კაცნი მთიულთა. ხოლო მთისა ამის გზა დაიფენილ-არს ქჳთა. წარმავალნი კაცნი, თუ ცხენნი დატჳრთულნი ქუასა ამას, დაფენილსა გზასა კლენან ტალახის გამო. და გარდამოვემართენით რა, გამოჩნდა ზღუა პონტოისა, შავს ზღუად სახელ-დებული. ხოლო ვინაჲთგან არს გარემემო ზღჳსა ამის მთანი შავნი, ტყიან-კლდიანნი, შავად დრუბელ დადებულნი, და ნისლ-აუღებელნი, გრგჳნჳა მეხ-ჭექაინი, სეტყუა თოვლ-მაცჳრეველი, და ქარ ბორია ხშირიანი, და' მაღელჳწბელი ზღჳსა, ამის გამო ეწოდების შავად ზღუად. თუარემ ზღუა ერთი არს, რომელიცა შემოვალს უფიანეს ზღჳდამა, და განვლის ზღუა ესე ბიზანტიით, და ხერისპოლით; სადაცა და შენებულ-არს კონსტანტინოპოლი. და მოვედით ხოფას ქალაქსა მცირესა ზღჳსა პირისასა. ზღჳსა შინაა ნავნი განმზადებულნი; ჩავსხედით და განვემართენით კონსტანტინოპოლედ. ნავსა შიგან ისხდენ კაცნი ასეროსნი ქრისტიანნი და მცირედ თურქნი. რა მივიწიენით, არ გჳტევა ბორამ გრიგალმან ქარისამან, რათა გავსულ ვიყავით ტრაპიზონტს,

უკუნ ვიქეცით პირჭურლსავე სადგურსა, და მოჰბერა ქარმან კეთილმან, რომელსაცა უწოდებენ პუპად წინად მეუჶანებელად. და მივედით ქალაქსა უნიას. კეთილია ქალაქი, და კაცნი ქრისტიანნი, ეკკლესიანი მშჳენიერნი და მდიდარნი და ეპისკოპოსი ერთი მართლ-მადიდებელი, კაცი მოხუცებული, კეთილი. ქალაქსა ამას არიან თევზნი მრავალნი: ზუთხი და სხჳანი ცოცხალ-განსასყიდნი, სამარადისოდ. კუალადცა ვვლეთ და მივიწიენით კონსტანტინოპოლეს.

---

## მიმოხილვაჲ კონსტანტინოპოლისა.

შესავალსა მას ვიწროსა ბოღაზსა (³) არიან დაშენებულნი ციხენი, და მას ციხესა შიგან მანათობელნი ორისავე მხრით, რათა მავალნი ნავნი არა შესცდნენ გზისაგან ამის ბოღაზისა, და არა ეკუეთოს კლდეთა და ნაპრალთა, და არა შეიმუსროს ნავი და ამათ ეწოდების ფარანი, და შევედით რა ბოღაზად წოდებულსა იწროსა, იწყო ორისავე მხრით შენობამ ვიდრე დასასრულამდე

(³) ესე არს ბოსფორი, დიდთა და მშუენიერთა მთათა შორის ხეობა, რომლისა სიგრძე შავის ზღჳთ თჳთ ქალაქადმდე კონსტანტინოპოლისა არს **16** ვერსტი. სიგანე ამა ხეობისა, რომლისა შუაზედ ჴსდის ბოსფორისა ზღუა დიდთა ხომალდეთათჳს სავალელი, არს **350** საჟენი. ამა ხეობისა მთიანთა გუერდთა ზედა მარჯუენივ და მარცხნივ, თურქთა აქუსთ ციხენი და სიმაგრენი ზარბაზნებითა მოწყობილნი. ამის გამო ბოღაზი ესე ბოსფორისა, ყოვლად შეუვალ-არს მტერთაგან. — ორივე კერძო ხეობისა მოსხმულ-არს შენობითა, სადაცა კონსტანტინოპოლისა მცხოვრებნი განატარებენ ზაფხულსა. ყოველგან დასხმულნი ბაღნი, დარგულნი ცაცხჳსა ხეები, მწუანე, რომლითაცა შემოსილ-არიან მთანი და მთისა კალთანი,—ეჩუენებიან თუალთა განსაკჳრუებელად. ევროპიისა კერძოსა ნაპირნი მშუენიერებითა შემკულნი არიან: ნეოხორი, ტერაპია და ბუიუკდერე. ამა უკანასკნელსა ადგილსა არს სასახლე რუსეთის დესპანისა და მეცა აქა ვისადგურე მიწოდებით დესპანისაგან ტაინის სოვეტნიკის ვლადიმერ პავლეს-ძისა ტიტოვისა. **1641** წელსა რუსეთისა დონისა კაზაკთა მოაოხრეს ადგილი ესე და თჳთ კონსტანტინოპოლისა უმახლობლესი ნეოხორი. აქავე ძუელთა ბიზანტიელთა შემუსრეს ფლოტი ფილიპპე მაკედო-

ბიზანტიისა, ანუ კონსტანტინოპოლისა და მეორეს მხრიდამ ვიდრე სპირისა-პოლამდე, აწ წოდებულად უსკუ-დარად და აქა ორისავე მხრით შენობა გაყოფილი თავ-თავისის სახელებითა: არნაუტქოი, გაურქოი, ყენისარქოი, ისტანქოი და სხვანი ორისავე მხრით მრავალნი. ხოლო აღრიცხვად თჳთოეულად ვერ მალ-მიძს, ვიდრე და-

---

ნილისა, მამისა ალექსანდრე დიდისა. ესრეთითავე მდებარეო-ბითა შემკულია ადგილი ტერაპია, სადაცა არს სულთანის ძუჱლი სასახლე ამა ადგილსა თქმულსა ძუჱლადვე, მედეამან დედოფალმან კოლხიდის დასხტოვა ყუთი სავსე შელოცჳლთა სამკურნალოთ ბალახებითა, რომელთა ძალმან მისძინა კოლხი-დის მძვინვარე გუჱლი და ესრეთ დაიხსნა შეყუარებული თჳსი, ვითარცა ჰსწერს დიონისი ბიზანტიელი 170 წელსა შემდგო-მად ქრისტესსა. დღესცა, ერთსა დაქცეულსა ბურჯსა, ეწოდება ბურჯი მედეასი და აქავე ერთსა ადგილსა ეწოდება ყურე არღო-ნავტთა, რომელთაცა იაზონის ბრძანებითა, შეასუჱნეს და განამაგრეს თჳსი ხომალდი, რომელსაცა ეწოდებოდა არღოს. ესე ზღაპარ-სიტყუაობისა ჟამისა მოთხრობა მიამბო თჳთ კონსტანტი პატრიარხად ყოფილმან კონსტანტინოპოლისა და აწ გარდამდგმარმან და მცხოვრებმან პრინკიპის კუნძულსა, კაცმან დიდად ბრძენმან, მრავალთა წიგნთა მწერალმან და მცოდნემან რუსულისაცა ენისა, რომელიცა ისწავლა მან კიევის აკადემიაში ეკატერინა II მეფობისა დროსა. აზიის კერძოს ამა ბოსფორისა, მოვიხილე ადგილი, რომელსაცა თურქნი უწოდებენ ჩიბუკლი: აქა მოხსნან დანაქცევნი ძუჱლისა მის მონასტრისა ანუ სამხოლოჲსა, რომელსაცა ეწოდებოდა « დაუძინებელთა » (ბერძულად აკიმიტელთა, რუსულად неусыпныхъ). ესე დაფუძნდა 420 წელსა ქრისტე-სით და ტიბიკონითა მისითა 300 მამანი ამა სამხოლოჲსა, ბერძენნი, რომაელნი და სირიელნი (ასურნი) მოუწყუეტელად ღამე და დღე იტყოდნ ლოცვათა და გალობათა ეკკლესიასა შინა, სამთა ზედა, ქრისტიანეთათჳს მის ჟამისა, უპორჳჱლე-თა ენათა. — ამა მონასტერსა შინა პატიმარ-ჰყუნეს განდევნი-



2К399

სრულსამდე სტამბოლისა, და გადმა უსკუდარისა. და რა მივეახლენით სასახლესა სახელმწიფოსა, ნავნი მდგომა-რენი დიდნი საომარნი წინაშე სასახლისა ოქროთა მო-ოქროვილისა ცურჳთა, და მას შიგან წყობილნი ზარბაზა-ნები ას ოცი ვიხილეთ თჳთოეულისა ნავისა. უდიდესსა უწოდებენ კალიონსა. და გარდავხედით ნა-ვითა შევედით კონსტანტინოპოლეს, რომელიცა არის შემოზღუდვილი ქვით-კირითა, და მას შინა სასახლე სა-ჴელმწიფო. ხოლო კარსა მას სასახლისა საზამთროსასა, აღმართულის ქჳს ერთი თლილი სუჱტი მაღალი ოთხ-კუთხი (4), და ერთი მას თანა აღმართული რუალის ანუ ჩუგუნის დაგრეხილი (5): იტყჳან მისთჳს, ვერა-ვნებასა ქუე-წარმავალისა ანუ სხჳსა ქუე-მძრომელისასა; და ამას ქალაქსა შინა, რომელიცა მოზღუდვილ-არს, არიან ეკკლესიანი ოცდა-ოთხნი, მშუენიერნი მართლ-მადიდე-ბელთანი და სომხისა ერთი, და ფრანგ-კათოლიკისა არ-ცა ერთი: და მისჳლასავე ჩემსა დიდად ხნეული პატრიარხი კონსტანტინოპოლისა გაბრიელ, გარდაცუა-

---

ლი ვახტანგ გორგასლანისაგან საქართუელოდამ მთავარ-ეპისა კომოსი მიხაილ. *Ист. Груз. церква. С. П. Б. 1843 стр. 35.*
პ. ი.

(4) ესე დღესცა არს მთლიან დიდს მეიდანზედ, რომელსაცა ძუელად უწოდებდენ იპპოდრომი ანუ ცხენთა საჭენებელი ასპარეზი და აწ თათრულად ათ-მეიდანი (რომაელთა ენაზედ ეწოდება ამას forum).

პ. ი.

(5) ესე რომიდამ იყო გარდატანილი დიდის კონსტანტი-ნესგან, და რათა თაყუანის-ცემა მისი შეჰსცუალოს პატიჲად ჭეშმარიტისა ღმრთისა, დაასუჱნა მას ზედ მცირედი ნაწილი ძე-ლისა ჭეშმარიტისა.

პ. ი.

ლებულ იქმნა არნაუტისქოის (6), და მრავალნა შეუ-დგნენ თაყუანის-ცემად მისა გჳამსა კონსტანტინოპო-ლედ. და მეცა ღირს ვიქმენ თაყუანის-ცემად მისა, და უკუნ ვიქეც კონსტანტინოპოლედ.

და ვიხილეთ ჴელმწიფე სულთანი (7). წამოვიდა თავის საზაფხულოს სახლიდამ, რომელიცა არს პირსა ზღჳსასა შავის ზღჳს შემოსავალზედ. მოვიდოდა ნავითა შლუ-პკითა, ქოლგა მშჳენიერი თავს-ედგა მცირესა ნავსა; და ესჳმოდენ კაცნი ოცდა ოთხნი, და იდებდნენ ნიჩაბსა განწესებით, და შლიდენ დახატულთა ნიჩბებთა, ვითა მფრინველნი თჳსთა ფრთეთა. და რა მოახლოვდა თოფ-ხანასა, გაიცალა თოფხანას წყობილთა ზარბაზანთაგან. და რა მოეახლა ბიზანტიასა, რომელ-არს კონსტანტი-ნოპოლი, გაიცალა ზარბაზნები სამზამთროს წინარე წყო-ბილთაგან. მოვიდოდა სულთანი ორისა მითა თჳსითა-რა გამოვიდა, და ხჳდა პირსა ზღჳსასა სტამბოლს აფენდი და მილახორი, მოართჳეს შეკაზმულნი ცხენნი ერთი აღკაზმული უზანგ-რაკ-ტუნაგირით ალმას-იაგუნ-დით ლალითა, და მეორე მსხჳლ-მარგალიტითა, და გარდა-საფენი აგრეთვე [illegible], და მისა თჳსისა მცირე ცხენი, მძიმეთ მორთული. და რა გამოვიდა, დავხჳდი მე და ორი სერბის ბერი ბარტუელ ანაფორითა. და უცხოს კაცობის მიზეზით არ ჩამოგჳაყენეს, და თჳთ თავიანთ ხალხსაც არ უშლიან, თუმცა ბოსტან-ბაშები უმღჳან და

---

(6) იხ. ზევით, სხოლიო 3. პ. ი.

(7) ამ დროს ხონთქრობდა სულთანი აბდულ-ჰამედი, რომელიცა შემდგომად მუსტაფა მესამისა, გამეფდა 1774 წელსა და მოკუდა 1789 წელსა.

პ. ი.

ჳრა აჴურებენ კაცსა მახლობელ მისჲლად. თჳთ სულთანნ ეცჲა, ვითა ერთს რიჯალს იმათსასა, ესე იგი გჳარ-ტო-მობით კეთილ-შობილთა, და თავს ჯიღა მჴრ-ივასი ყაუ-ხთან მიკრული წინადამა. შეჯდა ცხენსა და ძე მისი უფროსი და მცირე ძე სულთანისა. კაცსა ლალასა მისსა, ეპყრა მასზედ ქოლგა ხუჩულ-ჭერილი. და მივიდნენ ჯამსა სულთან ბაიას წოდებულსა.

შემდგომად ამისა გამოვუცხადე თავი ჩემი ეკზარხოსი-სა პატრიარხისასა პაისიოსს, კაცსა კეთილ-გონებასა, და მეუდრო-გონებისასა და მიბოძეს კელია კუმ-ყაფი-სა ეკლესიის ეზოში. ეკლესია იგი ღჲთის-მშობლისა დიდად მშუენიერი და მდიდარია, და უცხოთ ჩასხმული-ია-ტაკი დაფენილი მარმარითა ფერადითა სხჳთა და სხჳთა. ხოლო კონსტანტინოპოლეს პატრიარხად იყო დანიშნული სმირნის მიტროპოლიტი პროკოპიოს, და ჯერეთ არ მოსულ-იყო. და ვნახე პატრიარხი იერუსა-ლიმისა აბრამიოს, კაცი კეთილი და სახიერი და წმინ-და. საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი და არს წიაღთა შინა აბრაამისათა უეჭუელად. შემიტკბო მოწლედ, ვითარცა მამამან შჳლი, იზრუნა ჩემთჳს ყოვლისავე გარემოებითა. და შემდგომად მოვიდა ტახტსა ზედა საპატრიარხოსა კონსტანტინოპოლისასა მიტროპოლიტი სმირნისა, კა-ცი კეთილი და მეცნიერებით სრული. და მივედ თაყუა-ნის-ცემად მისა, და შემიწყალა, ვითარცა მართებდა კე-თილ-მსახურსა გონებასა მისსა. დავჰყავ თთჳე ოთხი პოლის კონსტანტინესასა, და წარმიკითხეს ორთავე პატ-რიარხთა კურთხევა და შენდობა, ჩემ უნდოჲსა თხემ-სა თავისასა, ომფორ მოდებით, მანტია ეპტრახი-ლითა, და მიბოძეს წიგნები საქართუელოს მეფე კათო-

ლიკონსთანა (8) კურთხევისა, და წარუგზავნე საქართჳე-ლოში, რომელიცა თარგმნა კიევის მიტროპოლიტმან გაბრიილ, და ჩჳენმა არხიერმა გაიოს მენძელმან (9), პულოს (10) საქართჳელოსამან, და გონებამ მახჳლმან.

და მოკლე გარემო ქალაქისა და შინაგანი. და ვიხი-ლე პალატი და შენობა პატრიარხისა. ქჳთა-კარისა კარსა პალატისასა ზის ჩაუში თურქთა, რათა არ იქმნას ვნება თურქთაგან, და ჰსცავს კარსა საპატრიარხოსა, და აქუს როჭიკი მათგან საპატრიარხოსა შემოსავლიდამ. ეკკლესია

---

(8) იხილე წინასიტყუაობა ჩემი. პ. ი.

(9) გაიოს გუარით ხაცუილის-შჳლი, კახეთისა აზნაურთაგანი. აღიზარდა კათოლიკოსის ანტონის I მიერ, და გაჰყუა თანა მას, ოდეს განიდევნა რუსეთად, ხარისხით კათოლიკოსის არხიდიაკონისა, 1774 წელსა მაისის . . . ჰსთხოვა სინოდსა, რათა მიჰსცენ მას ნება ლათინურისა და რუსულისა ენათა ჰსწავლისა მოსკოვის ბოგოიავლენის მონასტერში, სადაცა იყოფოდეს. მისსა არზაში ჰსჩანს (იხ. საქმე სინოდის არხივისა 1774 წლისა № 372, რომელ არის იგი 28 წლისა, ბერად არხიდიაკონად ეკურთხა 1765 წელსა. მუნ ისწავა ენა რუსული და უკუმოქცეული 1773 წელსა ქართლად აღყვანილ-იქმნა არხიმანდრიტობისა ხარისხსა თჳთ კათოლიკოსისაგან ანტონი პირველისა. 1784 წელსა გამართა სემინარია ქალაქისა თელავს და იყო რექტორად. 1794 წარვიდა რუსეთადვე და იქმნა ეპისკოპოსად მოზდოკისა და მაჟარისა; მერეთ პენზისა და უკანასკნელ მიჰსცეს მას ეპარქია ასტრახანისა და გარდაიცვალა, აქა არხიეპისკოპოსისა ხარისხითა 1819 წელსა მისგან აღწერილნი და ნათარგმნი წერილნი, მოვიხსენე ჩემგან შედგენილსა რუსულად წიგნსა: *Исторія Груз. церкви. С. П. Б. 1843. стр. 135.*

პ. ი.

(10) პულოს ე. ი. შჳლი.

პ. ი.

მოციქულთა-არს, (11) ქვით-კირისა თჳნიერ გუმბათოჲსა, და დიდი. ვჰგონებ, სული ოცდათასი, და მეტი დაეტევის. და ეკლესიას შიგან სჳეტი ერთი, რომელზედაცა უფალი ჩჳენი მიკრულ იქმნა. და ეგრეთჳე იერუსალიმის საპატრიარხოსა ეკლესიის (12) არს მშჳენიერი, და იატაკი დაფენილი მარმარილოთა. ამათ ადგილთა ეწოდებს ფარანი, და ქრისტიანენი აქ უფროორე მრავლობენ. და ვიხილენ ეკლესიანი ქალაქსა ამას შინა შიგნიდამ მშჳენიერნი და კეთილნი. აგრეთჳე აია სოფია (13) ვიხილე,

---

(11) აქა დაცულ-არს თჳთ კათედრა იოანე ოქროპირისა და აღჰყვანან მას ზედად პატრიარხნი კურთხევისა მათისა დღესა.

პ. ი.

(12) აღშენებული წმინდის მთავარ-მოწამის გიორგის სახელზედ. ტაძრისა ხატი ამა ეკლესიის დიახ მშჳენიერია, და მიიღებს იგი აია სოფიის ეკლესიისაგან. ჩემსა აქა ყოფასა (1844 წელსა) განმგე ამა საპატრიარხოსა იყო იეროთეოს თაბორის არხიეპისკოპოსი და აწ პატრიარხი იერუსალიმისა, ყოფილი რუსეთსა და მცოდნე რუსულისაცა ენისა.

პ. ი.

(13) აია სოფია ანუ წმინდა სიბრძნე, პირველ აღშენებული, სახელსა ზედა იესო ქრისტესსა, ღმრთისა სიტყჳსა და სიბრძნისა, იმპერატორის კონსტანტინე დიდისაგან და მეორედ ხანძარ-ქმნილი ვრცლად აღშენებული იუსტინიანესაგან დიდისა. ამან არწმუნა აღშენება მისი არხიტექტორთა ანთემის ტრალლელსა და ისიდორე მილეტელსა 538 წელსა. ეკლესია არის დამყარებული 60 მაღალთა ზედა სჳეტთა და გუმბათიდამ ზამოვარდნილ ნათელი 24 ფანჯრიდამ. პორფირისა მწჳანის ადამისა, და სხჳა და სხჳა ფერისა მარმარილოთასა ძუელ-ფასნი მისნი სჳეტნი მოაღებინა იუსტინიანემან ეფესოდამ, საიდაცა დაექცევინა საკერპო დიანისა, რომიდამ, საიდაცა დაჰქცევს ტაძარი პატიოსნისა მზისა აღგებული იმპერატორის ავრელიანესაგან, ტროადიდამ, ათინიდამ, მემფისიდამ და ალექსანდრიიდამ, კიზიკიდამ. გუმბათი მისი არს განმშჳენებული მოზაიკის კენჭებითა.

შიგნიდამ მრავალი შენობა მარმარილოსა, და გარეთ არა ეგრეთ დიდად დიდი და გრძელი. არცა ერთი ჯამი სიდიდით არა არს მსგავსი მისი, თჳნიერ სულთან-ბაიასისა, და ისიცა დიდი ქალაქისა ამის

---

რომელსა ჩუენ ქართუელნი ვუწოდთ სოფიოს ეკლესიად და იყო დახატული საბაოთი. თურქთა შემდგომად დაპყრობისა კონსტანტინოპოლისა, დაჰფარეს ესე და სხუანიცა ხატნი თეთრის ცარცის წასმითა, რათა არღა დაბრკოლდენ მაჰმადიანნი ქრისტიანეთა წმინდათა სახითა ხედვითა.

1849 წელსა სულთანმან მეჯიდ, ინება გამაგრება ერთისა გუთხესი დაწყულისა თაღისა და სრულიად კედელთა განმშუენიერება შენობისა ამის ზედამხედუელობა მიანდო იტალიელსა, არხიტექტორსა ფოსსატის, რომელიცა მსახურებს რუსეთისა სტამბოლს, დესპანთან. ამან აღმოაჩინა ყოველივე ძუელი ხატვაული არა სოფიისა და მიჩუენა მეცა ყოვლის გარემოებით ტაძარი ესე საკჳრუელი, და ამა დრომდე, შეუსწუედელად აღკრძალული ქრისტიანეთათჳს. მოზაიკისა ქმნილებით მსატურობანი, ხატნი, ჯუარნი, სახე დიდისა კონსტანტინესი და დედისა მისისა ელენესი, თჳთ იუსტინიანესი აღმაშენებელისა ტაძრისა, და სხუანი მრავალნი აღმოაჩინა. და ბრძანებითა თჳთ სულთანისა, წამლისა წასმით კუალად დაკრძალა, ესრეთ რომელ, უკეთუ ენებოსთ შემდგომთა დროთათჳს, გამოაჩინენ სასწაულად. საკურთხეველში ზედა თანჯრისა, რომელსაცა ეწოდება სულის-წმიდისა, მშუენიერად ჰსჩანდა დიდ-ტანად სახე დედისა ღუთისა. სამს დღეს მრავალთა იხილეს ესე და სხუანიცა, და მერმე დაეფარნენ და დრომდე სამღრთოჲსაგან განგებისა დანიშნულისა, აღკრძალვად ქრისტიანეთა, მუნ შესულა.

აწ. ტაძარსა ამას შინა, არღაა არცა ერთი ტრაპეზი, არცა კანკელი. ნაცულად ძუელთა სამკაულთა, ჰნახე მუნ მხოლოდ იატაკი დაგებული ხალიჩებითა და კანკელისა მარცხენას ტრიბუნზედ აღმართული მაღლად საჯდომი სულთანისა და ვაზირთა მისთა კარის-კაცთა, და მრავლად დაკიდებულნი კანდელნი ადსანთებელად მრავალ-ფერთა სანთელთა. გარე ეკკლესიისა ოთხსავე კუთხეს აღშენებულნი მინარეთნი, ფრიად მა-

გარეთ არს მონასტერი წყარო ცხოვრებისა (14), და მთხოვეს სამღვდელოთა ნახვა და თაყვანის-ცემა, და მო-ხილვა მონასტრისა. ხოლო ქალაქით არს რაოდენ გზის უტევან, გზასა ანდრიანოპოლისასა: ეკკლესიის კეთილი, და წყარო კეთილი გზის უტევან (15); და გზასა მას ანდრიანოპოლისასა წყალნი კეთილნი, ცივ გემო-კეთილი-ანნი და თევზიანნი ნახევარ გვერდ. შემწყვარნი. ხოლო

---

ღალნი; თვით ეკკლესიაზედ ნაცვლად ჯვარისა მოოქროვილი ნახევარ-მთოვარე.

პ. ი.

(14) ეკკლესია ესე არს გარე მკვიდრთა ქალაქისა ბალუკლეთა. ტაძრისა ამის ქვეშე ხატი დიდად მსგავსის ხატისა მის, რომელიცა მეფემან გიორგი XIII მოითხოვა კონსტანტინოპოლიდამ და აწ ასვენია ქალაქსა თბილისს, ეკკლესიასა შინა წმინდის გიორგისა, ლუდაძე წოდებულისა, ეკკლესიად მეფის სასახლისა. ადგილი ესე პატივ-იცემების არა მხოლოდ ქრისტიანეთაგან, არამედ თვით თურქთაგანცა მაჰმადიანთა და სულთანთაგანცა, რომელთაცა მრავალ-გზის მოუღიათ სასწაულებითი კურნება. — სრულს და ვრცელს ამისთვის, მოთხრობის მსურველი, ცნობას წარიკითხავს სჳნაქსარში, რომელსაცა ჰპოვებს დაბეჭდილად ზადიკში ბრწყინვალისა კვირიაკის პარასკევსა თვით ამა დღესა არს მართლ-მადიდებელის ეკკლესიისაგან დღესასწაულობა წყაროჲსა ცხოვრებისა.
თურქთა, ოდეს დაიპყრეს კონსტანტინოპოლი. შემუსრეს ეკკლესია ესე და სულთანმან ბაიაზეტ მოიხმარა მასალა მისი აღშენებულსა მისგან მეჩითზედ. 1833 წელსა მეორედ აღაშენეს იგი ბერძენთა, მცხოვრებთა ზედა სამრეკლოთა და შინაგე ეკკლესიასა, განაშვენეს მარმარილოთი. თვით არის იგი წყაროჲსა ცხოვრებისა, რომლისა სიგანე არს 4 ადლი რუსული, სიგრძევე ესოდენ და სიღრმე 3 ადლისა.

პ. ი.

(15) უტევანი არის ნახევარის ვერსტისა გზა. ბერძულად უწოდებენ სტადიონსა.

პ. ი.

მე ვდუმებ: აუზია დიდი და თჳვზჱ მას შუა მსხდომნი. შემდგომ სამღრთოჲსა ჟამის წირვსა, მივიღეთ წყარო იგი ცივი გემოვან-კეთილიანი, დროსა თთჳსა აგჳსტოსასა, და რადგან სიცხითა მოუძლურებულ-ვიყავით, მცირედ უკუნ ვიქეცით, და ხესა ერთსა კაკლისასა მსხმოვიარისა ძირსა განჳსუჱნეთ, და მივიღეთ მცირე ოტკა და მცირე ჭური, და კაკლისა ნაყოფთაგანი. და მივედით ბჭისა მის ქალაქისასა, ხოლო აწ, ადრიანა-კაპუსთ წოდებულსა. კაცმან ერთმან კეთილ-მსახურმან იერმენმან მიგჳწჳა და გჳცა ქორი დაგებული სანოვაგითა ჯეროვანი, და მივედით პოლსა კონსტანტინესასა. და მიველ ზღჳსა პირსა, სადა დაშენებულ-არს სასახლე ჴელმწიფისა, და არს პი-დადი, რომელ-არს ჭაჲ იგი ვლახერნისა წყაროდ (16), წოდებული პირსა ზღჳსასა, წყალი გემო-კეთილიანი.

განვვლე ზღჳა შორის ბიზინტიისა და ხურისა-პოლისა, და ვნახე მას შიგან, რაჭის ერისთჳს მე გიორგი, დიდისა სიამოვნითა ურთიერთ-არს ნახჳთა, და დავჰყავ მასთან ღამე ორი, და იქიდამ წარველ ხალკიდონს (17), ხოლო აწ ყადი ქოვად წოდებულსა.

---

(16) ტაძარი ვლასერნისა სრულიად არს დაქცეული; მხოლოდ ქრისტიანეთათჳს დათომილა თაყუანის-საცემელად მცირედი ეკუდერი და მას შუა აუზი წყლისა და გარემო წმინდანი ხატნი დასუენებულნი მლოცველთათჳს, რომელნიცა ყოვლისა კერძოთ მართლ-მადიდებლობისა, მოვლენან აქა და მიიღებენ სენთაგან კურნებასა. პ. ი.

(17) ხალკიდონსა უწოდებენ აწ თურქნი კადი-კოი. დიდის სურვილით ვეძიებდი ადგილსა, სადაცა იყო მჳწლად ტაძარი წმინდისა დიდისა მოწამისა ეფემიასი, სადაცა 324 წელსა იყო დიდი იგი 4 მსოფლიო კრება ხალკიდონისი. — დრომდე დიდისა კონსტანტინესსა იყო აქა დიდი ტაძარი წარმართ-

და განვიზრახე ჩემი იერუსალიმს წარსვლა, და თაყუანის-ცემა ქრისტეს საფლავისა და წმინდათა ადგილთა. ხოლო მიველ და თაყუანის-ვეც პატრიარხთა და განვემზადე. ღმერთმან აკურთხოს ისე ქართუელი, და პავლე ვახანელი: დიდათ მზე ჩემდა იქმნენ და მზრუნუელნი ჩემისა კეთილ-წარმართებისა. მიმიეს ნავი და ჩავსხედით ნავსა მას შინა და შევედით მარმარისა ზღუად წოდებულსა, და ვვლეთ რაოდენიმე დღე და ღამე, და მივედით კალის-პოლის (18), ხოლო აწ წოდებულ-არს, გელიბული, მრავალ-ნაყოფიერი, ღჳნო და პურით დიდათ იეფი, ეპარხია ანდრიანეპოლისა (19). ხოლო არს ქალაქსა ამას შინა ეპისკოპოსი ერთი. იქიდამ მივედით ბოღაზსსა თეთრისა ზღჳსასა, რომელ-არს არხიპელაგო და მივედით ჩინახ-ყალად წოდებულსა, სადაცა გაღმა გამოღმა ციხენი არიან დაშენებულნი, და მას ციხესა მიგან ნათობენ მანათობელნი, და თჳნიერ მიცემისა ნე-

---

თა ღმერთაჲსა ვენერასი. სულთანმან სოლიმან II (1522) შემუსრა იგი და დანაქცევითა მისითა აღაშენა თჳსი მეჩითი.

ხალკიდონისა სილუა იყო შემთჳს სასიხარულო, ამისთჳსცა რომელ. აქა, ვითარცა ჰსწერს რომისა მეისტორიე ტაციტი, ქართუელთა მეფე ფარასმან მოუსდა დიდისა ჯარითა ბერძენთა და შემუსრა სალკიდონი. ამის ფარასმანისა სახე ანდრიანტად გამოკუეთილი პატივად ახოვნებათა მისთა და საქმეთა, დაასუენეს რომაელთა კაპიტოლიისა ტაძარში. აქავე იყო უჴსჯულო იგი მჴსჯავრი, რომლითაცა დიდი იგი სუეტი ეკკლესიისა იოანე ოქროპირი განიდევნა კონსტანტინოპოლით, ვისილე ადგილსა ამას წყარო ოქროპირისა· თავსა ზედა ამა ნაკადისა ჰკიდავს კანდელი წინაშე ხატისა წმინდისა იოანე ოქროპირისა და არს თაყუანის-საცემელად ლოცვთა მიმავალთათჳს, პ. ი.

(18) კალის-პოლი ე. ი, გალიპოლი. პ. ი.

[19) დიდად კრებული ეპარხიაა. პ. ი.

ბისა ვერვინ ვლის. ზღჳსსა ამას შინა არიან ქალაქნი სა-დაცა სახლობენ ქრისტიანენი უცხოთ-შემწყნარებულნი. და ადგილი ესე ნაყოფიერი დიდად, და იაფობა. შემ-დგომად ამისა, კვლე სოფლები ხუთი, პირსა ზღჳსასა. მთასა მაღალსა რომელიცა დაჭყურებს ზღჳსასა არხიპე-ლაგოდ წოდებულსა, არიან მრავალნი ქალაქნი და სო-ფელნი; ჭალაკებსა ამას შინა კუნძული და კუნძულსა ში-გან მსახლობელნი ქრისტიანენი ბერძენნი. მრავალსა ქა-ლაქებსა და სოფლებში არცა ერთი იპოების მახმადიანი თჳნიერ ქრისტიანისა, და ხუთნი ესე სოფელნი მსგავსი ქალაქებისა არიან: მენ სრულად ბერძენნი. და შემდგომ ამისა წარველ ნავით და მიველ ბოზჩა ადასა (20). კაცთა ქრისტიანეთა იამათ ჩემი მისულა და მკითხჳდენ დომენ-ტი კათალიკოზისასა, ძმასა მეფისა ვახტანგისასა: მადლ-რიელნი და მაქებარნი მისნი, მახსოვარნი ეკკლესიასა შინა მისის მრწამსის თქმისა, რომელიცა მოსწონდათ, და მკითხევდნენ იმასთან მხლებსა მესა გედეონისასა, მოლა-რეთ-ხუცესს პართენის. და დიდათ შეწყალებულ-ვიქმენ მათგან. ღჳნო ამის ქჳყანისა, და სრულიად თეთრის ზღჳსა არხი-პელაგოსი დიდათ კეთილობს, და წარჩინე-ბულ-არს, და ევროპასა შიგან ზიდჳან. ქალაქი ესე, ბოღჩა-ადა ერთია და არა სხუა.

შემდგომ ამისა წარჳველ კჳალადცა ნავით, და მივიწიე-ნით ჭალაკსა ლიმნას (21). ადგილი ესე დიდათ კეთი-ლობს, ქალაქით და სოფლებით. მიტროპოლიტი ერთი,

---

(20) ტენედოსის ჭალაკი, სადაცა იყო პატიმრად დომენტი კათოლიკოზი: იხ. მოსილეჳა ტიმოთესი გჳერდ. 29—31.
(21) ლემნოს ჭალაკი.

პ. ი.

და ქალაქნი და ჴოვლები სამოცი, ჯალაკის ამას. აქედამ იპილჰწბა ადგილითა ამით მთა-წმინდის მონასტერნი ათანასი ათონელის და ივერონისა, და სხუანი მონასტერნი. მუნ დავჰყავ კჳრა ერთი, და შემიტკბო ვითა მმა თჳსი, და ვთხოვე წარსჳლა ჩემი ათონისა მთასა, რომელ-არს მთა წმინდა, და მიმია ნავი, ჩავსხედით ნავსა მას, განვვლეთ და მივედით ნაპირსა მთისასა, სადაცა დაშენებულ-არს ლავრა ათანასი ათონელისა (*).

---

(*) ამა ლავრაში ჰსცხოვრებს ანთიმოს არხიეპისკოპოსი ტრაიანოპოლისა, რომელმანცა ნებსით დაუტევა ეპარხია და შევიდა ათონის მთათა შინა მყუდროებისა ცხოვრებისათჳს. ამან, ფილოთეოსის მონასტრისა მახვე ათონისა მთასა შინა, წმინდათა სამთა მღჳდელთ-მთავართა სახელსა ზედა ეკკლესიისა კურთხევისა ჟამსა, ინება კურთხევა ოდიკისა სოლოლაკისა თფილისს ამაღლების ეკკლესიისათჳს. ოდიკი ესე თეთრს ტილოზედ შემზადებული წარმომივლინა კესარიოსმან წინა-მძღჳარმან ფილოთეოსის მონასტრისა ზედა-წარწერით მისგან ბერძულად და დაიდჳა ეკკლესიასა მას.

ბ. ი,

## მიმოხილჳა მთაწმინდისა, და მას შინა დაშენებულთა წმინდათა მონასტერთა.

ხოლო ესმათ რა მისჳლაჲ ჩემი წმინდათა მამათა, მის მონასტრისათა, კაცნი და ჯორნი აღკაზმულნი ებომათ ეპიტროპოსითა განმგეთა მოხუცებულითა ათანასი ათონელისათა. და მივახლოვდი მონასტერსა მას ლავრასა. განცჳფრდა გონებაჲ ჩემი. მონასტრისა მის მდებარეობა არს მაღალსა ადგილსა. მონასტერი და გარემოს მისსა გაკაკმებული კიპაროზ ალვას ხითა შემოვარგლულია და დიდისა ზღუდითა შემოზღუდვილი, და ზარბაზან წყობილი. ხოლო შინაგან მონასტრისა, ქჳა ფენილი, მცირისა კენჭითა წყობილი ფიგურად სხჳა და სხჳა ფერად. და შემთხჳვნენ მოხუცებულნი და იღუმენი მათი, რომელიცა შემდგომად ერთისა წლისა სხჳა იქმნების დადგინებული იღუმნად. და მიმიძღჳნენ ეკკლესიასა შინა კათოლიკესა, რომელიცა იწოდების პირჳმელ ეკკლესიად. ესე არს სობორი. და ვიხილე სჳეტნი ოთხნი, რომელთაცა ეკკლესია ესე დადგინებულ-არს გუმბათითა. და ქუბა ესე მესმა სჳეტთა ამათთჳს, ვითარმედ არს ოქრო მყარი სრულიად, ხოლო მე ვღუმებ. და მიმიწჳეს არხოდარსა სასახლესა უცხოთათჳს, ეპიტროპოსთა პირჳმელთა ჩინებულთა. ხჳალისა დღესა საძღჳთოჲსა ჟამის წირჳსა იქმნა შეკრება მამათა და ძმათაგან. თავსა იჯდა იღუმენი, აქეთ და იქით იჯდნენ მაზარითა ეპიტროპოსნი, განმგენი მონასტრისანი, და ტრაპეზი ოცდა ოთხი ქჳთა მოქარ-

გული. უსხდნენ ყოველსა მოივარგულსა, ოცდა ათი ანუ მეტი ანუ ნაკლები, და იყო კითხჳა წიგნისა ტრაპეზსა ზედა და ყოველსა კაცსა კერასეული კალისა ღჳნითა, რომელიცა დაიტევს ნახევარსა ჩარექსა ანუ მცირესა, შემდგომად ამისა ვიხილე სააიაზმე მარმარისა, და ბალდახინი მას ზედა შემკული, და ღირსი ნახჳსა: თჳთეულსა ერისა აღასრულებენ სამსახურსა, განწმენდასა წყლისასა ანუ კურთხევასა პარეკლსა შინა თჳსსასა. მი-ბრძანეს ეპიტროპოსთა მონასტრისათა, ლავრასა ამას შინა არსო შჳდასი ბერი და გარემოს ამის მონასტრი-სა, ვამლევთ ჩუენ საზრდელად პურსა და ღჳნოსა, სულ-თა ათას ხუთასთა, მონასტრისა ამის რიცხჳთა.

შემდგომად მწუხრისა, ცისკარსა ოდენ ზარსა ჰსცეს და შეჰკრბენ მამანი და ძმანი, და მიიწივნეს ეკლესიასა შინა, სანთლებითა მიმიმდჳნენ და შევედით პარეკლსა ბჭესა ეკლესიისასა, და იწყეს შუაღამესა ჟამნი და ჯუ-რეთ ეკლესია პარეკლი დასმულ არს კართაგან. და იწყო დამწყებელმან ჟამნისამან. ოჰ, უკჳდავო ღმერთო, რომე-ლი გული არ შეიმუსრებოდა და რომელი კაცი არ მოლ-ბებოდა! იტყოდა კაცი თავსა შორის თჳსსა, ესე არა არს ქუეყნიერი, არამედ ზეციერი, და ვთქჳ თავსა შორის ჩემ-სა; ესე არს ჭეშმარიტება და განაღეს ეკლესიისა კარ-ნი, და შევედით; ეკლესია ბრწყინვიდა კანკელ ხატ-მშუენიერებითა, სამთელ-ლამპარ კანდელ-აღნთებითა; ბრწყინვიდენ ყოველნივე კუთხენი ეკლესიათანი. და შემ-დგომად რიგისა იერომონახმა, ჟამსა მეცხრესა კმევისასა, ცისკარს თავისის იეროდიაკონითა, და ორის ივანამარი-თა, აღნთებულის ლამპრებითა გამიმდჳნენ სახაბაზოსა შინა და აიაზმის თანა-ტანითა. შევედით რა, ასხურეს

ცომსა მას შესჳარულსა. და მუშაკობდენ და ზელდნენ კაცნი ოცდაოთხნი, და ვიკითხე, რამდენისა კოდობისსა ერთისა მას შესვარულისა ცომისა, და თქჳეს, სამოცი კოდი: და ესეცა მაუწყეს კჳრაში ორ-ჯერ ცხობისა. და ვიხილე ფურნე დიდად დიდი, გარდა სეფისკჳრისა. ხოლო მონასტერსა მას შინა არს სამწირჳელო ოცდა ოთხი. და მესამესა დღესა გამოვეთხოვე, და მომცეს ჩემთჳს და კაცისა ჩემისათჳს ჯორნი აღკაზმულნი ორნი და ბერი ორი წინამძღჳრად, გზისა-მცნობნი და მივიწიენით ივერონის მონასტერსა, საქართჳელოსად წოდებულსა. და მივედ რა, გამომეგებნენ მამანი და ძმანი მონასტრისანი, და შეველ ბჭესა მონასტრისასა, რომელიცა არს შემოზღუდული დიდის გალავანითა, დიდად მაღალი; არა რომელიმე კიბე ვერ შეჰსწუდების და ციხე ესე მონასტრისა, არს ზარბაზნებ წყობილი ([22]), და შესავალი არს ორი კარი და ორივე დიდათ რკინით გადაჭედილი, და შესავალსა მას ბჭისასა, საპარაკლისე ეკლესია ივერონისა ღჳთის-მშობლისა, დიდათ მორთული, და განსაკჳრჳები სიმდიდრითა. იმათი ისტორია მოუთხრობს: რა მოვიდა ივერად ზღჳთ და მიეგებნენ მამანი და ძმანი მონასტრისანი და განშორდა ხატი ღჳთის-მშობლისა, კმა იყო ზღჳთ-გამო, გაბრიელ ვინმე მონაზონი მოვიდეს ქართჳელი. ხოლო განცჳფრდუნ მამანი და ძმანი ამის მონასტრისანი და მოიყჳანეს გაბრიელ და მიავლინეს გაბრიელ და მოეგებს

---

([22]) ზარბაზნები არდა აქჳსთ აწ ათონის მამათა. იგინი წარუხჳნეს თურქთა 1825 წელსა, ბრძოლისა ჟამსა ბერძენთა თანა.

პ. ი.

ხატი იგი ზღჳთ ივერიის ღმრთის-მშობლისა და მიიქუა ბერმან მან ქართველმან. და ზარ-ცემულთა და შემრწუნებულთა მამათა და ძმათა ჰსცეს ზარსა და შეჰკრბენ ლიტანიითა და ფარაკლისითა და მოასვენეს მონასტერსა შინა და აქუსთ სასოება დიდი დადებული და მრავალი ფარაკლისი და შეწირუა ყოველსა დღესა და მთხოვეს მე წარკითხუა, რომელიცა წერილ-არს: მე გამზრდელმან დადიანისამან ([23]), შევამკე ხატი ესე ღმრთის-მშობლისა სახსრად სულთა ჩუენთათჳს. და არა არს წარწერილი, რომელმან გამზრდელმან, მდედრმან ანუ მამრმან, სახელი მოუხსენებელ-არს. და არს საქართველოში ჩვეულება: ჩინებულსა სასახლესა შინა არს კაციცა და დედა-კაციცა მზრდელი თჳსისა ჰატონის შვილისა. და შევედით ეკკლესიასა შინა პირველსა დიდსა ჩინებულსა და რჩეულსა, და ამისა შემდგომად, სახლსა სატუმროსა, რომელსაცა ეწოდების არხონდარიკო და მიჩუენეს ბიბლიოტიკო ქართველთა, სახლი მამისა და წმინდისა ევთიმესი, იოანესი და გიორგისა მთაწმინდელისა, თარგმნილნი ყოველნი წერილნი სრულებით საეკკლესიო. და არს მამათაგან დადებული, რათა არავინ ჴელ-ჰყოს და აქედამ გაიტანოს. მე დიდათ ვეკრძალე და ვემკაცრე. და დღესასწაულსა მას წმინდისა დიმიტრისასა ([24]) ჰკრეს ზარ-

---

([23]) დადიანის სახელი არა არს მოხსენებული წმინდისა ხატისა შემკულებაზედ. არ ვიცი, ხანდა აღმოუკითხავს მას ესე.— სრული და ყოვლადი გადმოწერილი ხატიდამ სიტყუაჲ დაბეჭდე წიგნსა: მოხილუა ტიმოთესი, გუერ. 38.

პ. ი,

([24]) ესრეთ დიდად დაკრძალუა წერილთა და წიგნთა ამათ, გონიერად იყო დადებულ მამათაგან ქართველთა, რომელთაცა

სა და შემოჰკრბენ მონასტრისანი და გარდაიხადეს აღ-
რიჰინა, რომელ-არს ღამისთევა. და ღამესა ამას იყო-
ფეხთა დგომა ეკკლესიასა შინა თერთმეტი ჟამი, და
მიხოეს მანტიითა დგომა თრონოსსა (25) და მორჩილ
ვექმენ. დიდად ვუყუარდი და მწყალობდენ მონასტრისა
ამის მამანი და ძმანი ყოველნი და უფრორე ათანასი

---

მიუღიათ შრომა გარდამოღებისა მათისა ბერძულით, ხშირის
ოსრებისათჳს ქართლისა იშიშუოდენ დაკარგუასა მათსა. გარნა
მე, წარგზავნილი ბრძანებითა ჴელმწიფე იმპერატორისა, ვერ
ვიქონიე დრო საკმაო გარდმოწერისათჳს დიდთა წიგნთა
ისტორიულთა და ამისთჳს გამოვჳხთხოვე მამათა ჩუენის მო-
ნასტრისა, რათა მომცენ ნება და კურთხევა წარმოღებისა მუნით
საქართველოდ დროებით. სხუათა შორის მომცეს ორ-ტომად
შეკრული დაბადება ქართული და მოვიტანე აქა თფილისს.
სინოდის კანტორის განჩინებით გარდაიწერა ესე საუნჯე წე-
რილისა და აწ ვითარცა წიგნი ესე, ეგრეთვე სხუანიცა სამნი
ისტორიულნი წარუგზავნეთ ათონისავე მთასა დასაცველად
მუნ, ბრძანებისაებრ წმინდათა მამათა მთარგმნელთა.

იხილე მოხილვა ტიმოთესი. გვ. 35.

პ ი.

(25) თრონოსი ანუ საღგომი არა საკურთხეველში, არამედ
გარე დიდსა ეკკლესიაში. ესრეთი საღგომი აქუნდათ ქარ-
თველთაცა მხოლოდ სამღვდელ-მთავართა შინა ეკკლესიათა
და იყო აღსავალი ორისა ანუ სამისა კიბისა. რუსეთისა ეკკლე-
სიათა შინა არა არს ჩვეულება ესე, დიდად მოსაწონი და უსა-
კუთრესად ამისთჳს, რომელ მუნით ლიტურღიისა ჟამსა
მღვდელ-მთავარი ყოველთჳს წარმოჰსთქუამს მაღალისა ქუეით
და ნელიად სარწმუნოებისა სიმვოლოსა, ესე იგი მრწამსსა.
გარდა ამისა ესეცა აქუსთ ჩვეულებად, რომელ მშჳდობისა
გარდაცემითსა სიტყუასა: «მშჳდობა თქუენთანა» არა იტყჳს
მწირველი, უკეთუ დაესწრება მუნ მღვდელ-მთავარი, არამედ
თჳთ მღვდელ-მთავარი.

თრონოსსა ზედა დგომა მღვდელ-მთავრისა დიდსა ეკკლე-

არხიმანდრიტსა და ეპიტროპოსსა (26) მის მონასტრისასა. და მიმიწჳეს სინოდის სახლსა, რომელ არს სანავსი. განწესებაა ვითა რუსეთისა. ვიხილე ადგილი, სადაცა ნავსა აღაშენებენ და სნეულთა სასნეულო სახლი. სნეულებასა შინა მყოფთა, ჰყავსთ მიჩენილნი მსახურნი და რაჲცა ესაჭიროებათ; და გარემო, წისქჳლები, წალკოტნი ლიმონ ნარინჯ-თურინჯითა. ხოლო მონასტერი ესე არს მდებარე პირსა ზღჳსასა და წინარე ზღჳსა მშჳენიერი მინდორი.

მონასტერი ესე ივერიისა, რომელ-არს საქართჳელოსი, არს მშჳენიერი და მდიდარი ყოველთა მთაწმინდისათა და უმჯობესი; და საისჳმე აქაცა მჴსგავსი ვითა ლავრისა ათანასე ათონელისა, და ესეცა ლავრა. და არიან მონასტერსა ამას შინა მამანი ოთხასნი, სამწიროჳელო ოცდა ოთხი, და გარემოს მონასტრისა ხენი ზეთისხილთანი, და დავჰყავი თოჳე ერთი და ვიკითხე მამათაგან თარგმნილნი წიგნები. და შემდგომად ამისა გამოვეთხოვე და იძულებითა ნება მცეს და მრავალი იტირეს და მეცა აღმატირესცა, უფროორე ათანასი არხიმანდრიტმან და მონასტრისა დიკეოს ეპიტროპოსმან, კაცმან გონიერმან და მრავლისა ენისა მცნობმან, კეთილ-სახიერმან და კეთილ-მოყჳარემან. საუკუნოდ იყოს საჴსენებელი მისი.

იქიდამ წამოსულმან, მოველ კათოპეტს. მომეგება შტეფილატე განმგებელი მონასტრისა, და მამანი მონასტრისანი. მონასტერი უცხოა და კეთილ-მშჳენიერი, შე-

---

ხისა, აიძულებს თჳთ ერსა მლოცველსა, რათა მდუმარედ და წესიერად ჰსდგეს პატივის-ცემისათჳს უპირატესისა ეკლესიისა განმგეისა და იერარხისა. ნ. ი.

(26) ეპიტროპოსი ნიშნავს უპირატესსა, მონასტრისა გან-

მიმღჳნენ თავსა მას ეკკლესიისასა და მამთხჳეს თავსა ანდრია კრიტელისასა და მკლავსა მას წმინდისა გრიგორისასა ივეშხჱნითა ოქრო-მოცურჳლითა; და მას შინა მელსა ჭეშმარიტსა. მონასტერი ესე ვათოპედი ლავრა, არკადი და ონორისაგან (27) აღშენებულან ჰიროსა ზღჳსასა. მცხოვრებნი მამანი და ძმანი, მონასტერსა ამას შინა არიან ორასნი. და შემდგომად სამისა დღისა წამოსულმან, მოვკლენ ყოველნი მონასტერნი, და მოვკლე ილინდარსა (28), და ესეცა ლავრა, და შემდგომად ამისა ზღურაბს (29), და ამას ზღურაბ მონასტერსა შინა მცხოვრებნი მამანი და ძმანი ექჳსასნი და უფრორე მეტი. მას შინა არს სერბის მეფისა წინაშე მხედართ-მძღომელი ბავრაყი, რომელ არს დროშა და მას შინა არს მელი ჭეშმარიტი, მჴრ-ივასი, ვჰგონებ მე, არა არს პირსა ყოვლისა ქჳწყანისასა უდიდეს უმჴრ-ივასესი, რომელსა სხჳანიცა ემოწმებიან. წიგნი იმათი და ენა სერბისა არს, და ბულღარისა. ხოლო მთმწმინდასა ამას შინა არს ლავრა ოცდაოთხი, და გარდა ამისა ასკიტნი მრავალნი ეკკლესიანი, რომელსა შინა ცხოვრებს ხუთი ანუ ექჳსი ბერი ანუ მეტი თავისის ვენახ-მტილითა. ყოველსავე მოხსენებასა სიგრძისათჳს დავაყენებ.

---

მგესა და მეურნესა და არა წინა-მძღჳარსა. ამისთჳს რომელ წინამძღჳარი არა უვისთ ათონის მთის მამათა: ყოველნივე მუნ არიან ძმანი. პ. ი.

(27) იმპერატორი არკადი მეფობდა 395-გან ვიდრე 408 წლადმდე; ხოლო ონორი ძმა მისი იყო იმპერატორად რომისა და ყოვლისა დასავლეთისა მასვე დროსა. პ. ი.

(28) ხილანდარი. პ. ი.

(29) ზოღრაფი. პ. ი.

და მივედ წმიდასა ანნა მონასტერისასა და ესეცა ლავრა, სადაცა ასჳენია თავი წმინდისა ანნასი და დირს-მყო მეცა თაყუანის-ცემად მისსა ღმერთმან ჩემმან. და იქიდამ ვიმგზავრე თესალონიკედ. მთა ესე წმინდა ათონისა, არს ყოვლით კუთხით შემოზღუდვილი ზღჳთა; არამედ არს ადგილი ერთი ვიწრო, რომელიცა განივლება ხმელითა, ურუმელით კერძო: ესე არიან დრეკნი ანუ ბერმენნი. განვლე გზა ესე მაკედონია და სხუანი, და განვედით ველსა და ტყესა. გამოჩნდნენ ჯოგ-და-ჯოგად, კამბეჩ-ხარ-ცხენნი (30), ზროხა, და მათ თანა ცხუარნი, ანგარიშ აუღებელი, მონასტრისა ამის მთაწმინდისა სა-ჯალაბო, ადგილი უცხო, სოფლები დიდი და წოდებული ჩითლიქად. მთისა ამის ათონისა რა განვვლე დღისა ერთისა, გამოჩნდენ ქალაქნი და სოფელნი (31), სავსენი მართლ-მადიდებელთანი, რომელთაცა ვერ მალ-მიძს მოხსენებად სახელებისა თჳთოეულად. ვაკე ველიან-ტყიანი, წყლიან-ნაყოფიერი, ყოვლის ფრით, პურ-ღჳნითა და პირუტყუთა სიმრავლითა. და მივედ თესალონიკეს. ქალაქი დიდი შემოზღუდვილია ქჳთ-კირით, მაღლად მთასა ზედა ციხე დაშენებული მზგავსი ტფილისისა. არ განირჩევა, იტყჳს კაცი, კლდისა უბანი და ნარიყალა. ქალაქი უფროერე ვრცელი და უდიდესი, ზღჳსა პირსა მდება-

---

(30) ამა გზით თესალონიკით შეველ ათონისა მთასა და აქედამ უკუვიქეც თესალონიკედვე. დიდად განვიკჳრვე სიმრავლემეცა ზღჳსა პირსა გარე ათონისა მთისა იმა ადგილთა, სადაცა არს ვიწრო ყური მაკედონიისა (**перешеѣкъ Македонскій**), ცხენთა, ჯოროთა და კამბეჩთა, რომელთაცა დამღად აზის სახელი ქართველთ მონასტრისა ესე იგი ივერ, რომელიცა ნიშნავს ივერულსა ანუ ქართულსა. პ. ი.

(31) სხუათა შორის არის სოფელიცა ერთი, რომელსა ეწო-

რე. მუნ მრავალნი უცხო ნავნი მიმავალ-მომავალნი. მიველ პალატსა მიტროპოლიტისასა ([32]). ხოლო მიტროპოლიტი წარსრულ იყო პოლის ([33]) საქმისათჳს რაჲსამე, და არხიდიაკონმან მიმიღო დიდად პატივით და დავჰყავ თთუესა ერთსა, და თაყუანის-ვეც ნაწილთა დავით თესალონიკელისასა, რომლისაცა მთელი გუამი არს, და თაყუანის-მცემელი წმინდისა ამის ვიქმენ.

შემდგომად თჳსა ერთისა, წამოველ ზღჳთ არხიპელაგოთი. აკურთხოს ღმერთმან ივანე კავთანჯული, კაცი კეთილი ქრისტიანე და სიმე პრუსიის კოროლისა კონცულოსისა. და მიმია ნავი ბერძენთი და ყოველი სახმარი გზისა ამისი. ვკლეთ დღე ორი და მოვედით არხიპელაგოსა ზღუაში, რომელსა ეწოდება ზღუასა შიგან ჭალაკთ მრავალთ, არხიპელაგო საშუალ ზღჳსა. და შევედით დიდსა ზღუასა უკიანეს, და წარვემართენით ჭა-

დება ივერი. აქა მეფეთა ანუ მთავართა მეწლთა დაუსადგურებიათ ორასი კომლი ქართველი და შეუწირავთ ივერიისა მონასტრისათჳს მსახურად, მშრომელად და მუშაკობად. დროთა სიგრძისა გამო შეჰსცუელიათ მათ ენა ქართული და აწ მოუბნარობენ ბერძულად. ამა ადგილთა, თურქთა არა აღირჩევს თჳსად სადგური და ამისთჳს ქართულიცა მცირედთა იციან. პ. ი.

([32]) ჩემსა მუნ ყოფნასა იყო მიტროპოლიტად იერონიმე, კაცი დიდად შეყუარებული თჳთ თურქთაგანცა, და დიდი მეგობარი რუსეთის კონსულისა, გუარით მუსტოქსიდისა, რომელმანცა წარმადგინა მასთან. ყოვლად სამღდელოს იერონიმეს ჰსურდა ქართველთ-ეკკლესიისა ისტორიისა ცნობა და მე მივართუ მას ჩემგან შედგენილი და დაბეჭდილი რუსულად ისტორია ესე და ამან გარდაჰსცა კონსულისა დრაღომანსა რუსსა, გუარით არბუზოვსა, გარდასაღებად ბერძულსა ზედა ენასა.

პ. ი.

([33]) ესე იგი კონსტანტინოპოლის. ბერძენნი ხშირად ხმარობენ ლექსსა პოლის, რომელიცა ნიშნავს ქალაქსა, ნაცულად

ლაკუს მიდილინს. არა რომელი მათგანი ჰსჩნდა და გან-
კვლეთ ორმოცდა ათი მილი, არსად იხილჳებოდა ხმელი
და შეშინდენ მენავენი; უკმო-იქცენ და მოვედით ნავთ-
საყუდელსა კეთილსა და დავყავით დღე ორი: ზამთა-
რი იყო თთჳს დეკემბრისა ოცისა რიცხჳ; და იყო ქარ-
წჳმა განმრავლებული. ნავთ-საყუდელსა ამისსა, ვიხილე
საკჳრჳელი: მოვიდა სული რაიმე, დაეცა წყალსა მას,
წყალნი მრავალნი აღიტაცა აჰერში, და მხილჳელი,
ამისი განცჳფრებამან შემიპყრა მე, რომელ-
საცა არა ოდეს მეხილჳა. და კაცთა მათ მენავეთა მი-
თხრეს, აია დესპოტი, სული ესე, რომელსაც ნავს დაე-
ცემა ( ), დიდათ მავნებელ იქმნება. საცა ჩჳენ ვისა-
დგურეთ ერმოს იყო. არას ადგილს არ იყო სოფელი:
სულ კლდიან გორა მინდჳრიანი იყო. ღამესა ერთსა
ტისკრისა ჟამსა ოდენ, ამოუშჳეს რკინა და განმართეს
აფრითა, და შევედით დიდსა მას ზღჳასა, მოგჳბერა
ქარმან ძლიერმან და შეამრწუნა ნავი იგი, და მას შინა
მსხდომნი და ყოველთა კაცთა მათ სულთ-ითქჳნეს წინა-
შე ღჳთისა. ვსთხოეთ დანთქმისაგან ხსნა ჩჳენი და გან-
თავის-უფლება და გჳსწრო ღამემ და არა სადა ჩნდა
ხმელი. ხოლო იყო ნავი ესე მცირე და ღამე ბნელი
მოგზაურთათჳს, რომელნიცა ზღჳასა შინა იჭირჯან. ად-

კონსტანტინოპოლისსა. ჩჳენ ქართჳელნიცა ესრეთჳე ხში-
რად ვიტყჳთ ნაცჳლად «თფილისსა» «ქალაქსა». — რომაელ-
ნიცა პატივად დიდისა ქალაქისა რომისა, ოდეს იტყოდენ წარ-
ვალ «ქალაქად», იგულისხმებდენ რომისა მხოლოდ ქალაქსა
(urbs in orbe) — ესრეთსა ფრაზსა უწოდებდენ ბერძენნი
«კატ-ექზოხინ» (par excellance). პ. ი.

(34) მართლ-მადიდებელთა ეკკლესია დღესასწაულობს მას
ივნისს 26.

ვიდრე კაცი ერთი ბერძენი ნავისა მის მმართებელი თავსა მას ისრისასა, რომელ არს დირეკი ნავისა და უკმო-იქცა უიმედო და შეწუხებული. მანამდის იყო მხიარულად და ნუგეშინის-მცემელი ჩუენი. შემდგომად მცირედისა ჟამისა აღჳდა სხუა მენავეთაგანი და ხმა ჰყო სიხარულითა: ნისლით რაჲმე ჰსჩანს და არა უწყი ზღუა არს ანუ ხმელი. და მცირედ ამისა შემდგომად გამოჩნდა ხმელი ზღჳსა სწორი მაღალი და თუალ უწთომი მთა და მცირესა ხანსა გამოჩნდა მთა მიდილინისა. იქმნა მწუხრი, და მივედით მთისა ძირსა და შეღამდა. იქმნა გარდაშუცბა რკინისა და დავდეგით ძირსა მის მთისასა ნავთ-სადგურელსა. მთაა საშინელი და მაღალი. ჯერეთ არ მისრულმან ვიხილეთ მთა დაბალი და ზღუა მაღალი და რა მივახლოვდით, ამაღლდა მთა და დილასა ოდენ აღმოუშუცს რკინა და განვემართენით, და მივედით ჰკალაკსა მოსკონისად წოდებულსა. მუნ არს ქალაქი ერთი და მას შინა მსახლობელნი კაცნი კეთილნი და ეპისკოპოსი ერთი კირინე, კაცი კეთილი და კაცთ-მოყუარე. შემიტკბო მან ვითა ძმა და შჳლი; აღარსად გამიშო, რამეთუ იყო დღესასწაული იგი მოახლებული ქრისტეს-შობისა. და დავეყავ მუნ ნათლის-ღებამდინ ანუ განცხადებამდინ. კურთხეულც იყოს სახსენებელი მისი. იტკივა ჩემთჳს ყოვლისავე გარემოებათა. და შემდგომად მუნით მოველ ჰკალაკსა მიდილინს, ქალაქსა კრცელსა და დიდსა. მუნც მიმიღო ვითა ძმა თჳსი მიტროპოლიტმან იერონიმემ, კაცმან კეთილმან, გონებამ მყუდრომან და იზრუნა ჩემთჳს ყოვლისავე გარემოებითა. ნოლო ჰკალაკი მიდილინისა არს ნაყოფიერი ყოვლისავე ნაყოფითა და ზეთისხილი მრავლობს, და არს უკეთესი სხუათა ადგილებთაგან ზღ-

თი ამისი. ჭალაკსა ამას შინა არიან ქალაქნი და სო-
ფელნი სამოცი და მიტროპოლიტი ორი.

და რაოდენისამე ხანისა შემდგომად წამოველ მიდო-
ლაბით და მოველ ხიოსს, რომელსა აწ ეწოდების საყი-
ზი, ქალაქი დიდი, შენობა ქუთ-კირისა, მდებარე ზღჳსა
პირსა, კაცნი მდიდარნი, ვაჭარნი დიდნი და ჭკჳანნი და
მიტროპოლიტი ერთი. მრავლობს ჭალაკსა ამას შინა
აბრეშუმი. მასტაკი, პორთოკალი ესე იგი აპელცინი, ლი-
მონი, ზეთის-ხილი და ღჳნო კეთილი, და ხალხი მშჳე-
ნიერი. ხოლო დღესასწაულისა ჟამსა და ყოველსა კჳ-
რასა შეკრბებიან კაცნი და ქალნი პირსა ზღჳსასა და
დადიან მორთულ-მოკაზმულნი, და მათგან იქმნების ნე-
ბით თჳსით შეუღლება ცოლ-ქმართა წესით ქრისტია-
ნობითა და მზითჳთა დიდითა, შემძლებისა-მებრ თჳსისა.
ქალნი ამის ქალაქისანი თეთრნი, რომელთაცა «სპარსთა
მომღერალნი შეასხმენ ქებასა ქალისა ამათსა სითეთრით
საყიზელნი». ესენი ვაჭრობენ ყოველსა ქუეყანასა. და
ვჰყავ კჳრა სამი, და შემდგომად წარველ იზმირს, ესე
იგი ზმირინი, რომელსაცა თურქნი უწოდებენ გაურ-იზ-
მირს. კვლე რაოდენიმე ხანი და მიველ მე, და მისჳლა-
სავე ჩემსა განმაკჳრვა ნავთა სიმრავლემა, და ხმელთა
მოქარვანეთა, აქლემ ჯორ-ცხენთ აღტჳრთულთა ღამე და
დღე მოუწყჳეტლად სლჳა მოქარვანეთა ანატოლ ბაღდად
სპარსეთით, ანუ სხჳთ ვიდრე ინდით ქარვანთა მავალთა.
და მიველ უცხოთა სადგურთა პანდახეთს, რომელ-არს
ქარვასლა, რომელთაცა შინა მოსრულნი რომაელნი ცხო-
ვრებენ ესე იგი ბერძენნი. და მესწრაფელ მოვახსენე
თაყჳანის-ცემა მიტროპოლიტსა ზმირინისისა და მყის
კაცი მივზავნა: მმაო, შენი სადგური ჩემთან არისო,

და არს სხჳსსთან. ვიახელ მიტროპოლიტს გრიგორის. იმან მიცნა, ხოლო მე ვერ ვიცან, და მითხრა: ადელფოს, რომელ-არს ძმაო, მე შენ გიხილე კონსტანტინოპოლსა, სადაცა მოსულისა პროკოპიოს პატრიარხად, მე იმისი პროთოსინგელოსი ვიყავ და ექსარხოზი. და გამზრდელ-ისა ჩემსა მუნ თან მოვჰყევ, და მაკურთხა მიტროპოლი-ტად და ახლა აქ ვიპოები და მეც გამახსენდა რომ მენა-ხა. ამან შემიტკბო, ვითარცა მამა და ძმა, არ გამიშო, და იზრუნა ჩემთჳს ყოვლისავე გარემოებითა, რომლისა-ცა არ მალ-მიძს ქებად ანუ მადლობად მისსა. კაცი ღჳთის, მეცნიერი, გონიერი, მყუდრო, კაცთ-მოყუარე, უზაკჳელ. იხილა ღმერთმან გონება მისი და გამორჩეულ იქმნა პატრიარხად კონსტანტინოპოლისა და აწცა არს პატრიარხად კონსტანტინოპოლისა.

შემდგომად ორისა კჳრისა, მებნა ნავი, და ვერა ჰპო-ვა წარმავალი იერუსალიმს, და ხმელით ინება ჩემი გა-გზავნა, პამფილიით, რომელსა აწ ეწოდების ატალია. და გამოარჩიეს კაცი გონიერი და მიმაბარეს ყოვლისავე თავის ხარჯითა, და დამიწერა წიგნი: ძმა ჩუენი ორ-თოდოქსოს მოვა, ესე იგი მართლ-მადიდებელი, უცხო-სა ქჳყანისა კაცი და ენისა არ მცოდნე, იზრუნეთ ამის-თჳს ყოველთა კეთილ-მსახურთა. ჯერეთ ზმირინს ყო-ფასა შინა ჩემსა მოვიდა ანატოლიით მიტროპოლიტი იაკობ აიოს ალოვესისა, კაცი კეთილი. მიბრძანა მიტრო-პოლიტმან: წავიდეთ ნახჳად მისსა. რა მივედით, მოეგება კარსა მისსა წინა. რა შევედით და დავსხედით ურთი-ერთარს მოიკითხეს და წარმოიყუანა თჳსსა სადგომსა. და მეორესა დღესა იყო სადილი, რომელ-არს დანიშნჳა ორთა მათ დიდთა ვაჭართა, ქალ-კაცთანი. არიან იზმირს

ვაჭარნი დიდნი ყოველსა გრეციის ქუეყანასა, (ესე იგი საბერძნეთსა), არსად არ იპოება არცა ამოდენი აღებ-მიცემა, და არცა ქარვანი ზღჳთა და ხმელით მავალი, არცა კონსტანტინოპოლეს და არცა ალექსანდრიას ეგჳპტისასა, და არცა სხუათა ადგილებთა, თუმცა მრავალნი დიდრონ-ნი ქალაქნი არიან და არა ესეთნი ვაჭარნი. არს აქა ჩუეულებაი: მივა მიტროპოლიტი ვაჟის სახლსა და გა-მოართმევს ბეჭედსა ვაჟსა მას და მიუტანს ქალსა, და ქალისას მიუტანს ვაჟსა და აქმნებს შაქარლამას ხონჩე-ბითა მრავალი რიგი, რომელიცა არის სანუკუარი. მიტროპოლიტმან ზმირინისამან აღასრულა ესე წესი და წარვედით ერთად სამნივე, და პროტოსინ-ჯელის ერთი ზმირინისა, და გარდაიხადეს დღესასწაუ-ლობა. შემდგომად ხუასლთსა დღესა გამოგზავნა ჩუენ-თჳს თითო კალასხოცი რჩეული, და თითო ხონჩა შა-ქარლამა (რომელ-არს სანუკუარი), ორისაგანვე მხრით.

იზმირი არს ნავთ-საყუდელი გემთა მავალთა ევრო-პით და ხმელით ანატოლით, სპარსეთით და ჰიდრე ინ-დოემდე. იზმირს არს ხალხი მშუენიერი და კეკლუცი, რომელთათჳს სპარსთა მომღერალთ უთქუამს; იზმირუნ ბეიზლარი, რომელ-არს ქებაჲ იზმირისა და ხალხისა მა-თისა. და გამოვეთხოვე და წამოველ პამფილიად, და გა-მოველნე მრავალნი ქალაქნი, და სოფელნი, რომელისა სახელ-დებად თჳთოეულად არ მალ-მიძს, ანატოლისა. და მოველ პამფილიას ესე იგი ატალიას და მოემხადებინათ ქრისტიანეთა სადგური დავხსდეგ რა სახლსა შინა, მოვიდენ კაცნი კეთილნი ქრისტიანენი და მიმიღეს ვი-თარ თჳსი არხიერი. კურთხეულმცა არს სახსენებელი მა-თი, და მათთანავე მოვიდენ კაცნი კეთილნი პროთო-

სინგულთ და პროიღუმენი იერუსალიმისა. და ვიკლომო-ნასტრისა ნახჳად ჩემდა. დავჰყავ მუნ კჳრა ორი, და განვემზადე ალაიად წოდებულსა ქალაქსა, და ვჳძიე ნავი, და ჩავჰსხედით მე და პროტოსინგელოს იერუსალიმისა. ნავი ძჳჱლი იყო, რომელსა შინა წყალი შემოდიოდა, და ვვლეთ ნაპირსა ზღჳსასა ნავის სიძჳჱლის-გამო, და მცირე ნავი იგი არა გჳტევებდა წარსჳლად. ჟამი იყო თთჳსა ფებერჳლისა, და ქარი მრავალი, რომელიცა არ გჳტევებდა ზღჳთ აღელჳჱბულით მისჳლად, და დიდისა ღონის-მიებით ძჳჱლსა მას პამფილიისასა, რომელ-არს ძჳჱლი ატალია, მივედით პირსა ზღჳსასა. აქა არიან მრავალნი სახლებ-პალატნი დაქცეულნი და დირეგნი (ესე იგი სჳჱტნი) მარმარისა წაქცეულნი, მრავალნი მშჳჱნიერნი მარმარნი, რომელსაცა ამ-სხრჳევენ და მრავალს ადგილს მიაქჳსთ ვიდრე კონსტან-ტინოპოლსაცა, და თიატრი ქჳთ-კირისა და ხარისხად დაფენილნი ქჳთა სადგომნი მაყურებელთანი. დავჰყავ კჳრა ერთი წჳმა ქარიანშია. არა იშოვებოდა რა, თჳნიერ ზღჳსა მიდია, სტრიდია და სპიტალია, რომელიცა არს ქჳაზედ მიკრული ცხოველი, და გამოვიზარდენით ამით. ზეთი და პური თან გჳჱდო ნავსა შინა. და მერე მი-ვედით ალაიას ქალაქსა, შეფენილსა კჳჱრდსა მთისასა. და თხემსა მას მთისასა არს ციხე საკჳრჳჱლი, და უწთო-მო მაღალი; ყოვლის მხრით ზღჳა, არა რომელიმე ზარ-ბაზანი და ყუმბარა ვერ მისწჳთების. არს გზა ხმელით ციხისა ჯმის, ქალაქით განივლების და მაღლა მთაში ერ-თისა კაცის გასავლელია, ხოლო ციხესა ამას შიგან ვე-ლი დიდი, სახნავი. მემან რაჭის ერისთჳსმან გიორგი მომითხრა, თუ არისო ციხე ქაჯეთისა, ეს უნდა იყო-

სო, რომელსაც აცხადებს ქართჳელთა გარეშე წერილი რუსთაველისა წყობილთა ლექსთაგან. არს ხსენებულსა ციხესა ქაჯეთისასა პატიმრად ქალი მშჳენიერებით მდიდარი მეფა ინდოთ-ერთანი, განზრახ მაცთურობითა მამისა თჳსისა დისა, დიდისა მეფისა ინდისა ჴელმწიფისათა არს შეპყრობილი სატრფიალო, ტარიელ მხნისა, სპასპეტ ინდთა სამეფოს მონაწილესისა; და ის კულად განჭრილი, თჳსისა სატრფოს დაკარგჳს მიზეზით, ქართჳელთ ერთაგან; სასიამოვნოდ მიდებულია ლექს-წყობილ ისტორია. ხოლო მე ვსდუმებ.

ამა ციხესა შინა არიან მცხოვრებნი გუშაგნი, და არა უტევებენ კაცთა მას შინა შესულად. ხოლო ქალაქსა ამას შინა კაცნი ქრისტიანენი. ღმერთმან აკურთხოსთ. შემდგომად ამისა განემზადა ნავი კიპროსით, და მრავალნი ქრისტიანენი პამფილიით და ალაიით, და გარემოს სოფლებით ანატოლით მამრნი და მდედრნი კიპროსით, თაყუანის-ცემად კიკოსა მონასტერსა, და ბრწყინუალესა მას დღესასწაულსა პასქისასა დახდომად. ჩავჰსხედით ნავში და გავვლეთ ზღჳა და მივედით ადგილსა პამფილოსა მიტროპოლიტისასა ეპარხიასა შინა. იყო წინადღე ხარებისა. ხოლო ადგილი ესე პამფოს ეპარხია დიდი და სრულებით მართლ-მადიდებელნი და სრული მკა და ლეწუა იყო. დიდათ განკჳრჳებელ-ვიქმენ, და მივედით მთასა კიკო მონასტრისასა. აღგჳჩნდა ხეობა და მას ხეობასა შინა, იყო მომდინარე წყალი მსგავსი პერკოსის წყლისა, და რა დასცილდებს ხეობასა და განივაკებს, დაინთქმის წყალი იგი სიცხისა გამო. და მივედით მონასტერსა მას. მემთხჳვნენ ეპიტროპოსნი მონასტრისანი, და შევედით ეკლესიასა შინა და ვიხი-

ლუ ხატი მაცხოვრისა, ლუკა მახარებლისაგან დახატუ-
ლი (35) და ეკლესია მშვენიერი და მდიდარი და ახალ-
ნაშენი. ხოლო მუშაკნი მუშაკობდენ ზღუდესა მონასტრი-
სასა, და სახლებ პალატსა კელია თურთ. უწინარეს ამისა
უფრორე ხათა შენობა, და ახლა ოდენ ჟამსა შინა ქვით-
კირითა. მონასტერი ესე ლავრა დიდი და თაყვანის-
მცემელნი ქრისტიანენი, ანატოლით, და ზღვისა შინა
ჭალაკთაგან, რომელ-არს არხიპელაგო. და თჳთ კიპრო
ჭალაკისა დიდათ თაყვანის-მცემელნი, და შესავალი მრა-
ვალი, და მონასტერსა შინა აღირაცხება მონაზონი,
ექვსასი და უფრორე მეტი. მთასა ამის თხემისასა თოვლ-
აუღებელი ზაფხულ-ზამთრითა. შემდგომად ამისა მითხრეს
მამათა ამის მონასტრისათა: თხა ჩვენი ამა მონასტრი-
სას ჰსძოვს სიახლოვეს ოცი ათასი ჭალაკსა კიპრისა
არს თხა, და არა ცხვარი. ხოლო ცხვარი დიდათ მცი-
რედ, და ზროხის ჴამსა ერიდებიან კაცნი ამის
ქვეყანისანი.

შემდგომად ამისა წამოველ, დედა ქალაქსა კიპრიისასა,
რომელ-არს ლევკოსია, სადაცა ცხოვრებს არხიეპისკო-
პოსი მაკარიოტატოს, რომელ-არს უნეტარესი (36) ხვ-

(35) ხატი ღვთის მშობლისა ჲ არა მაცხოვრისა. ხატსა ამას ვერა იხილვენ მლოცველნი: ჲ არის მარადის დაფარუ-ბული. მას უწოდებენ ენკავსტიკისა ხატად. პ. ი.

(36) ტიტული უნეტარესობისა, კჳპრიისა მიტროპოლიტსა ებოძა ძველად იმპერატორისა იუსტინიანესგან. — შესამოსლად აქვს მას პორფირისა ბისონი ჲ უპყრიეს კვერთხი სკიპტრა სამეფო, ნაცვლად კვერთხისა. მელანისა ხმარობს წითელსა. აქვს საკუთარი სინოდი, რომელსაც შეადგენენ სამნი მიტროპოლიტნი. განაგებს მრთელსა კიპრიისა ჭალაკსა თანარჩევითა მუნებურისა ფაშისა. ამორჩევისა ჟამსა მღვდელ-მთავრისსა, ეპისკოპოსნი არა აცნობებენ პატრიარხსა კონსტან-

რისანთოს, კაცი გონიერი, პროკომენოს ესე იგი მეც-ნიერი და გონიერი, მყუდრო ცხოვრებისა, მდიდართა ვაჭართა ჩამომავლობისა, კაცი სახიერი, და უცხოთა კაცთ-მოყუარე, და ნათესავობით მრავალი ძმითა და ძმის-წულებითა. პირუელი დრაგუმანი ([37]) კიპრი-ისა არს ხიმე იმისი. ძმის-წული მისი წუავს. დრა-გუმანსა აქუს პირუელობა ქუეყანასა კიპრიზისა. არ გა-მიშვა იერუსალიმს, სნეულების-გამო თავისთან დამაყე-ნა. საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი. და ოთხი თთუე მასთან დამაყენა. ლევკოსია ესე ქალაქი მოზღუდულ-არს, ქუთ-კირითა, და ზარბაზან წყობილი მრავლად და დიდ-რონნი. დროსა რომელსამე კიპრისი ესე ჭალაკი მივლო-ბელობასა ველსა ქუეშე ვენეციის რესპუბლიკისასა ყოფი-ლა, და ამათგან არს ქალაქსა ამას შინა განწყობილება. ხოლო მდებარეობს ქალაქისა ამის ვაკე და დიდად ცხე-ლი, და ნაყოფიერი ყოვლისავე დროსა ზაფხულისასა. ღჳნო ამისა უკეთესობს და ქებულ-არს სხუათა ადგი-ლებთაგან, და უფრორე უმანდარია და იტყჳან, შემ-დგომად ორმეოცისა წლისა ღჳნო ესე უმანდარია და-

ტინოპოლისა. მხოლოდ აღუჴსნილი ხარისხზედ თჳთ მღუდელ-მთავარი აცნობებს პატრიარხსა. აქუს მიწერ-მოწერა პირდა-პირ სოხნთქართან ანუ ვეზირთა და კარის-კაცთა მისთა თანა.

ქსრეთი თავის-უფლებითი ჴელმწიფეს ეკკლესიის განმგე-ობისა, ძუელადგანვე აქუნდათ კიპრესა, ბოლღარიასა და საქარ-თუელოსა. — უკანასკნელთა დროთა შინა, აღებამდე თურქ-თაგან კონსტანტინოპოლისა, მიეცა ქსრეთივე უფლება ინე-კიისა, ალბანიაში, არსიეპისკოპოსსა, რომლის დამოკიდებუ-ლებასა ქუეშე იყო სერბიაცა.

პ, ი.

([37]) მთარგმნელი ანუ ტოლმაჩი.

პ. ი.

ნით საჯრელი არისო. და ამათი ისტორიას მოუთხრობს: პირველსა ჟამსა იყო ცამეტი ათასი ქალაქნი და სოფელნი. სიგრძე და სივრცე არს შჳდასი ათასი მილი. და აწლა იტყჳან ორმოცი ათასი მართლ-მადიდებელი ქრისტიანე სახლობსო, თჳნიერ თურქისა. ერთი მაკარიოტატოს, და სამი მიტროპოლიტი ამის მონებას ქჳეშ არიან. მიტროპოლიტი პამფოსი, კირინისა და ტუზლასი. ამ ქჳეყანას ესენი განაგებენ თჳნიერ ვაჭრისა. სოფლებში არს მემკჳდრე ორმოცი ათასი გლეხნი მამულიანნი. ეს ოთხნი არხიერნი, დრაგუმანითა მუსალიმს თურქისას რასაც ეტყჳან, მოუსმენს, და გარდა ამათსა მუსალიმს არა შეუძლიან რა. ესენი აძლევენ ათას ქისასა წელიწადში სულთანსა სტამბოლისასა, რომელ-არს ხონთქარი. ქჳეყანა ესე შეწუხებულ-არს მკალთაგან. მოიტანეს წყალი სევასტიით, და მოწყჳდა ტარბი და ვერ უძლეს გამოსწჳლად ზღჳად, რომელ-არს სამოცი მილი ანატოლიით, მრავალნი ზღჳაში მოირჩჳნენ და უკანვე იქცნენ. ადგილი მოისაა, სოფელნი ნაყოფიერებენ პურითა და ღჳნითა, აბრეშუმ-ბამბითა, ლიმონ-აპელცინითა, ნარინჯ-თურინჯითა. ხოლო მაკარიოტატოსს ესე იგი უნეტარესსა აქჳს სხჳათა უნეტარესთასა უდიდებულესად სკიპტრა, რომელიცა მიცემია იუსტინიანე კეისრისაგან, აგრეთვე მანტია წითელი, და წითლითა აწერს ჴელსა. იტყჳან კიპრიელნი მოთხრობითა თჳსითა: მარკოზ მახარებლის სახარება ჩჳენ ვიპოვეთო, რომელიცა აქ იყო დამარხული, და ავხადეთ რა კუბოსა გულზედ ედვა თავისი სახარება, და ნაცვლად ამისა აქჳსთ პატივი ესე. ჟამსა მას იყო გამოძიება დიდი. სამი თავი იყო სახარება და მეოთხე არ იყო და იპოვეს. ხოლო მაკარიოტა-

ტოსა ჰყავს ექსარხოსი არხიმანდრიტი. ეს წარიგზავნე-
ბის ეპარხიაში და არხიდიაკონი განაგებს სულიერს საქ-
მესა, და სახლსა მაკარიოტატოსსა და არს დიაკონი
დეკთერი, და ტრიტი, (რომელ-არს მეორე და მესამე),
ესენი პატიოსანნი და პატივ-ცემულნი და ამ სამთაგანი
გამოირჩევის არხიერათ.

მაკარიოტატოს ხრისანთოსმან მიამბო ესე ამბავი,
რომელიც მეუცხოვა. ქალაქსა კირინისასა წარვიდნენ ყრმა-
ნი ყმაწვილნი ტყეში გუდურას მოსატანათ. და ერთი მათ-
განი უფრორე ყმაწვილი შეჰკრებდა შეშასა. უსწრო და-
ღამე, მოშორდა მოყმეთა თჳსთა, შეშინდა, და დამალულ-
იქმნა ნაპრალსა რომელსამე. და ამხანაგნი მოვიდნენ, და
მოიკითხეს. მშობელთა და ნათესავთა მებნეს
მრავალი და ვერა გაიგეს რა. ყმაწვილი ესე
მწუხარებით და შიშით შემრწუნებული, იყო რამდენიმე
ხანი. მერე იპოვა სორო, და იქიდამ ვერ გამოვიდა. მხეც-
თაგან ეშინოდა, და კაცთაგანცა დაფუთხა. თუ კაცს დაი-
ნახევდა, გონებდა მომკლავსო, აგრევე მხეცთაგან. ამისი
მარად მგონებელი იყო. სამოცმა წელმა განვლო, მოი-
პოვა დანა, და ცეცხლი თჳსად აქუნდა, და რა მწყემსნი
მივიდოდნენ და ამოებდენ თხასა მისს სიახლოვესა, გამო-
ვარდებოდა თავის სოროდამ, თხას მოიტაცებდა, შეჰსჭამდა
და ტყავს ჩაიცუამდა, და ასე ცხოვრებდა. შეშინდნენ
მწყემსნი. ის რაგამოვარდებოდა, მწყემსნი გაიქცეოდნენ.
ამა მთისა თხათ სამოვარსა, არს კიპრის მთა კლდიან-
ტყიანი, და შეჰსჩივლეს მიტროპოლიტსა კირინისასა,
და იყო ისტორია ამ ქალაქში, დაკარგვა ყმაწვილისა. და
უთხრეს: გამოვარდება კაცისა მსგავსი ბალნიან-
ბდარჯვანი, მჩისხანედ მოიტაცებს თხასა და წავა

მიტროპოლიტმა კირინიისამ, მოუწოდა ქალაქისათა, და აცნობა ესე ამბავი, და უთხრეს, ვითარმედ ჩუენცა გუე-სმის ამბავი ეგე. და შეიკრიბეს კაცი ოთხმოცი, და თჳთ მიტროპოლიტი ამბობს კაცი არს ესე, და არა სხუა რაჲ-მე წარიღეს თან თოკები საგდებელად, პური და ღჳნო, და მივიდნენ, სადაცა იყო სადგური იმა კაცისა. და უდა-რაჯეს მდუმრიად, და რა გამოვარდება, შეჰმოეხჳვნენ, და უგდეს საგდებელი, და შეიპყრეს. მიმოეკუეთა კაცი იგი შემრწუნებული. მყისწრაფლად მოვიდა მიტროპო-ლიტი და უთხრა: ჩუენ კაცნი ვართ შენნი მონათესავენი და შენნი ძმანი, ნუგეშინის, ნუცა შემრწუნებულ-ხარ. და-სცხრა; მყის მიუტანეს პური და ღჳნო და არ მიიღო, და დაიწყო თავისი ამბის თქმა და გარდასავალი თავისა თჳსისა და იკითხეს ქალაქსა კირინესსა, სამი თაობა ნა-თესავი მისი, მშობელთაგან მოკლება. და შემდგომად მია-ლო მონაზონება, და ჩემს მონასტერში ირაკლი წმიდი სამში იცხოვრა იმ კაცმან ასოცდა თხუთმეტი წლისა, და შარშან მიიცვალა სიბერით აღვსებული.

შემდგომად ამისა თთჳესა აგჳსტოსასა გამოვეთხოვე უნეტარესსა და ჩამოველ ტუზლას ქალაქსა, ნავთ-საყუ-დელსა გემთასა, და დავდეგ მონასტერსა წმინდისა ლა-ზარესსა, სადაცა არს გუამი წმინდისა და საფლავი, რო-მელსაც იქმნა ეპისკოპოსი კიპრიზისა და თაყუანის-ვეც საფლავსა მისსა. კაცნი ამის ჯალაგისანი არიან მშუე-ნიერნი დიდად და კეკლუცნი ქალნი, და მშჳდნი. შემ-დგომად ამისა შევედ კუალადცა ზღუად, და განვემზადე-ნით იერუსალიმს, დღესა მექუსსა ვვლეთ და არა გამო-ჩნდა ხმელი თჳნიერ ცისა და ზღჳსა. დღესა მეშჳდესა გამოჩნდა ხმელი და მივედით ოპჱდ, რომელსაცა აწ

უწოდებენ იაფას. ქალაქის ესე ჰირსა ზღჳსასა. მუნ მონასტერი წმინდის გიორგისა, და განჳსუენე კჳრა ორი. და მოვიდენ ნავით, თაყუანის-მცემელნი წმინდისა საფლავისა, კონსტანტინოპოლით და არხიპელაგით და ქრუმელით ანატოლით და ფარსით ვიდრე სამი ათას ოდენ სულნი, და წარვედით იერუსალიმს და დამესა მივედით ქალაქსა დაზის, და მონასტერსა შინა დავდეგით. და წარვედ მე ქალაქსა ლიდის და თაყუანის-ვეც საფლავსა წმინდისა გიორგისასა, თავსა მას შიგან დამარხულსა, სადაცა აღშენებულ-არს ტაძარი ეკლესიისა ამის, თრონოსს ლიდის მიტროპოლიტისა (38) და ხუალისა დღესა შეუდგით მთასა და გავიარეთ რა, ვიხილეთ მთასა ზედა დაშენებული იერუსალიმი და განვლეთ რა ნაღუარევი, შევედით კარსა დავითისასა. მივედ მონასტერსა კეთილსა კონსტანტინე და ელენესსა. მონასტერი ესე არს მიდგმული დიდსა ეკლესიასა, და საფლავსა წმინდისსა. მიმიღეს ვითა ძმა და შვილი და დამაყენეს თჳსთან ახლო კელიაშია, დიკეოსთან ახლო სიახლოით. არს განმგებელი მონასტრისა და საპატრიარხოსი დრაგუმანი ერთი ბერი მწირი და პატივ-ცემული ვითა არხიერი. ყოველნი საქმენი გარეშესანი, წამსულელ-მომსულელნი იმას ეკითხება, და ნასასხჩიცა იმის ჴელთ არის და კარიცა მონასტრისა. ვიყავ ნუგეშინის-ცემაში არხიერთაგან და პროტოსინგელთაგან, და ყოველთჳს დიკეოსთან ვჰსცხოვრებდი.

---

(38) ესე იგი საკათედროს სამღუდელ-მთავრისა ეკლესიასა.
პ. ი.

## მიმოხილჳა იერუსალიმისა, და ქრისტეს საფლავისა.

განაღეს რა დიდი კარის ბჭე ეკკლესიისა ქრისტეს საფლავისა, მიბრძანეს შესჳლა და დადგომაჲ თოჳწე-სა ერთსა, და წირჳა ყოველსა დღესა კათოლიკესა ეკ-კლესიასა და წმინდასა გოლგოთასა და მორჩილცა ვე-ქმენ. და კჳალად დახშეს კარი და არს განდებულა. და თოჳწსა ერთსა კიუკ, რომელსაცა ნათელი მზისა არა მისილავს. ხოლო ტრაპეზსა ზედა, სახლსა ჰკეთოვილატ-ტესსა, ენთებოდა სანთელი, და სანთლითა იყო ჩუჱნის სანოვაგის ხილჳაჲ, და საზრდოჲსა მიღებაჲ, შემდგომად სამღრთოსა ჟამის წირჳსა ჩამოუშჱბდენ თოკითა საჰ-კმლ ·დამ, სიმაღლე მისი მლივას იხილჳწბოდა კაცისა, და ხჳალისავე დღესა აგრეთვე ჰყოვდიან. კეთილი მონა-სტერი ესე, არს აღშენებული კონსტანტინე და ელე-ნესგან, რომელიცა მიდგმულ-არს იერუსალიმის ქრის-ტეს აღდგომისა ეკკლესიასა. არს მრავალი შენობა ქვით-კირისა და თლილისა ქვითა დაფენილი და დახურვლი, ამენ წყალსა წჳმისასა ტბილ-გემოანსა, თლილსა ქჳს გამო, და აუზსა შინა არს ქჳშა, და ამის გამო არს გე-მოვანი წყალი. შემდგომად წირჳსა სამღჳთოსა ჟამისა, დასხდებიან დაფენილსა ზედა ქჳსა მამანი და ძმანი, არხიერნი, დიკონს, პროთოსინგელოს და სინგელოს, და ასჳანი ყოველნი ვიდრე სამასადმდე, და მიიღებენ თი-თოს კრენდილსა და ერთს რუნკას ოტკას, და ერთს

ფინჯანნი ყავის. თჳთ მეცა შევერთდი გუნდსა ამას ესე-ვითარსა. და შემდგომად განაღეს კარი და გამოველ. და მოვილოცე მონასტერნი ქალაქსა ამას ყოველნი, და განველ ქალაქით და თაყუანის-ვეც გეთსიმანიას, სადაცა უფალი ჩუენი ილოცვდა. ადგილსა ამას წარვთქუ მამაო ჩუენო, და თაყუანის-ვეც საფლავსა ღუთის-მშობლისასა, და ადგილსა, სადაცა ქ̃ა დასჭრიბეს პირუელსა მოწამესა და არხიდიაკონსა სტეფანეს. კუალად ავედ მთასა მას ზეთის-ხილთასა, და თაყუანის-ვეც, სადაცა უფალი ჩუენი იესო ქრისტე ამაღლდა. და კუალად მივედ ბეთანიას და თაყუანის-ვეც სადაცა ლაზარე აღადგინა საფლავით, დაბლა ჩასავლელსა კლდეიანსა და უკუნ ვიქეც. და მოველ ნადუარევსა მას, და ვიხილე ჯურღმული იერემიასი და ისაიასი. ორისავე წყლით ირწყუებიან მტილნი, და მიველ ძირსა მთისასა, სადაცა იერუსალიმი დაშენებულ-არს. ვიხილე წყარო სილოამისა, და სიონი, რომელიცა გარემოს იერუსალიმისა თურქთა ხელშია. და წარვედ გარეშე იერუსალიმისა, ხილუად და თაყუანის-ცემად ჯუარისა მონასტრისა, რომელსა შინა დასხატულ-არიან მეფენი საქართუელოსანი და დადიანი. საშუალ ეკკლესიისა-არს დაწერილი: «ვდგეთ კეთილად» და შემდგომი.

კუალად წარვედ მონასტერსა ილიას წინასწარ-მეტყუელისასა, სადაცა გამოზარდა ყორანმა, და მივედ იერუსალიმადვე. შემდგომად კჳრისა ერთისა, წარვედ ბეთლემსა ქალაქსა, სადაცა იშუა უფალი ჩუენი იესო ქრისტე. და ვიხილე საფლავი რახილისა შორის იერუსალიმისა და ბეთლემისა ცხენთა სარბიელი. და მივედ ბეთლემს ქალაქსა შინა, ესე არს მონასტერი კეთილი და მშუენიერი, და თაყუანის-ვეც ქუაბსა და ბაგასა, და სამ-

ღ̂თოჲსა წირვის შემდეგ უკმო-ვიქმეც, და კუ̂ალად მოველ იერუსალიმსა, რამეთუ მიწურვილ-იყო თთუჱ სეკდემბრისა, და განვჰჳრახე დამასკინოს წარსულად და თაყუანის-ცემად ანტიოქიის პატრიარხისა. და მისგან მოვიღე კურთხევა და შენდობა ჩემ ცოდვილისა, რამეთუ შორს იყო დღესასწაული პასექისა და მსურდა დღესასწაულისა ამის ხილუად, და იორდანეს წარსულად და უკუ̂ნ ვიქეც. და კ̂ალად ჩამოველ იოპჱდ, და განვემზადენით აკრისს (39) და მივედით ზღვით აკრიას, რომელსა ეწოდების პტოლემოიდს. ქალაქია კეთილი ზღვის პირსა და კაცნი კეთილნი. დავდევ სადგომსა საარხიეროსა, რამეთუ არხიერი მისი იყო იერუსალიმს, და ვისადგურე მუნ კვირა ორი. და შემდგომად ორისა კვრისა განვემზადე ნაზარეთით, და ჩემთან იყო მოგზაური მღ̂დელ-მონაზონი იერუსალიმისა, და კაცი ჩემი, და ვიმგზავრეთ ქარავანთა-თანა. მივედით სოფელსა კანნას გალილეასასა, სადაცა სარწყული არს ქვისა, და სადაცა წყალი ღვინოდ შეჰსცვალა უფალმან ჩუ̂ენმან იესო ქრისტემან. და მივედით ქალაქსა ნაზარეთის ეკკლესიასა შინა მართლ-მადიდებელთასა, მშუ̂ენიერსა და მდიდარსა, სადაცა არს წყალი წყარო კეთილი მუნ ეკკლესიასა შინა, სადაცა მიკიდა მთავარ-ანგელოზი გაბრიელ, და ახარა ღ̂თის-მშობელსა, და სახლი იოაკიმ და ანნასი, სადაცა იშვა ღ̂თის-მშობელი მარიამ. მუნით განვვლეთ მთასა თაბორისასა, და ძირსა მის მთისასა, და მივედით ტბასა ტიბერიისასა უშენსა, და

(39) აკრა ანუ პტოლემაიდა მეწლთა, სადაცა არს დიდი სიმაგრე ციხისა დ̂ რომლისაცა აღება ვერ შეჰძლო ნაპოლეონმან ბონაპარტე

მეორესა დღესა მივედით პირსა გენესარეთისასა, და მსგე-ცა ტბა საშინელი ვითა ტიბერიისა, და ნავით ვლიან კაცნი მის ქჳეყანისანი. და განვედით ხიდსა ქჳთ-კირი-სასა, და განვვლენით მრავალნი სოფელნი, რომლისაცა არა მალ-მალს მოხსენებად, და სახელის-დებად. ხოლო ადგილნი ესე უფრორე მთიან-გორა-კლდიან ქჳანნი.

მივედით რა დამასკინოს საპატრიარხოსა ტახტსა გათენდა და ვიხილე რა პატრიარხი ანტიოხიისა, მიმიღო და შევყუჰარდი, ვითა მართებდა კეთილ-მსახურსა გონე-ბასა. იგი აქა ჰსცხოვრებს და არა ანტიოხიასა; კაცი მშუდრო და წმინდა, პატრიარხი დანიილ, და ექსარ-ხოსი არხიერი მისი, რომელიცა განაგებს საპატრიარ-ხოსა. და დავჰყავ რა ორი დღე, მიბრძანა საღმრთოჲსა ჟამისა წირჳა; თავისი კრებულნი და თავისავე შესამოსე-ლი ჩამაცჳა, და მიტრაცა თჳსი ჯუარიანი დამხურა, რამე-თუ ჩუეულება არს ანატოლიისა, და პალესტინოის ეპარ-ხიასა, რომელ ყოველნი მიტროპოლიტნი, არხიეპის-კოპოსნი და ეპისკოპოსნი იხურვენ ჯუარით მიტრასა. და კუალადცა მიბრძანა წირუა საღმრთოჲსა ჟამისა და ვსწირეცა კუალად სახლსა შინა საპატრიარხოსა. სანო-ვაგე დილასა და საღამოს განმზადებული იყოფოდა. ვა-ახლებოდით ექსარხოსსა, მე და ერთი მგალობელი თა-ვისი დიდათ გამოცდილი, და პატრიარხისა საყუარელი თავისი ქჳეყნისა, და თჳთ პატრიარხი მჯდომი ერთად. შემდგომად სადილისა ეზოსა შინა იყოფოდის სიარული და ვლენა. ბაღი და აუზნი დიდნი, და მას შინა შადრე-ვანნი მომდინარენი მილით. ჵ, ვითარი საკჳრველი და დიდი ქალაქია და მას შიგან მრავალნი ათასნი სახლნი დაშენებულნი! ყოველსა კაცსა აუზი და წყალი, და

სახლსა შინა ეზოსასა ბაღნი მაღრევნებითა. ქალაქი ესე დაშენებულ-არს ვაკესა ზედა წალკოტ-მტილიანი. ქალაქი დიდი და მრავალნი მართლ-მადიდებელთა ეკლესიანი: თჳთ საპატრიარხოსა ეზოსა სამწირჳელო თორმეტი. კაცნი ამის ქჳეყანისანი დამასკინოელნი, რომელ-არს შამი (40); მოსილნი არიან ქრისტიანენი ვითა ბერმენნი; ტანსა და თავთა ზურჳა ამათი ვითა თურქთი. თურქთ ყიუზი ხურავსთ და თეთრი ფოში ახჳევიათ თავზედა. და ქრისტიანეთა ამათ ლურჯი ფოში აწჳშინდის-ფერისა, და სხჳა თჳნიერ თეთრისა. თეთრი მიჭსცემიათ თურქთა ვითა რჯული და არაბთა. შინაც აგრე რაცხე ქრისტიანენი, ანტიოქიით, შამით, ალაბით (41),

---

(39) თურქნი უწოდებენ შამად დამასკესა. ამა ქალაქიდამ იყო დიდი იგი მამა ეკლესიისა და სჳეტი მართლ-მადიდებლობისა იოანე დამასკელი, ეკლესიისა საგალობელთა აღმწერელი. პ. ი.

(40) მისირისა ადგილთა წოდებასა ამას და სხჳასაცა ამისა ქჳემორე «მაღრიბს» მოიხსენებს შავთელი შესხმითისა თჳსისა ლექსსა შინა, პატივად დიდისა დედოფლისა თამარისსა თქმულსა:

შემოკრბით ბრძენნო, ათინელთ მენო, თამარს
ვაქებდეთ, მეფეთ ცხებულსა.
კრიტს ალაბს მაღრიბს, ეგჳპტეს მაშრიბს, ჩი-
ნეთ ჩინეთსა, თარშის ქებულსა.
რომელნი ელნით, რომელნი ელნით, თავს
სოკრატისებრ, სწავლით გებულსა.
ვარსკჳლავთ-მრიცხჳმელნო, სხჳათ ბრძენთ-მკი-
თხჳმელნო, ვერ ძალ-გიძსთ ქებად, თავს
ჰყოფთ ვნებულსა.

იხილე დაბეჭდილი ჩემგან წიგნი ესე ქალაქსა თფილისს 1838 წელსა, გჳერდი 7. მუხლი 2. პ. ი.

ბირუთით, რომელ-არს ფინიკით და ტირონით, და სი-დონელთა და იოპელთა, ლიდელთ და დაზელთ და სხჳთა ადგილებთა, რომელთაცა მოხსენებს არ მალ-მიმს, სურიით, აკრიით ტრიპოლელთა, ფვაროსით და პალესტინით, მო-სიათ, ვითა ზემო მოვიხსენე, მრავალთა ქრისტიანეთა. ენა ამათი არს არაბული სირიის. მრავალსა ქუეყანასა აქუს ეს ენა, ეგჳპტით მაღრიბით, რომელსაც კინა ეწო-დების და ბარბარია. ვიდრე ბაბილონადმდე ეს ენა არს, ყოველგან.

მიბრძანა პატრიარხმან დანიილ, არს მონასტე-რი ერთი უცხო და საწყალთ-მოქმედი, გთხოვ იქაცა სწიროთ და მჱსწრაფელ მორჩილ ვექმენ. და ყოფასა ამას შინა მემოხჳა მძიმე სნეულება და კაცსაცა ჩემსა, თერმს ლიმიკი სნებს, საოფლე ციებს შეყრობილი. და იზრუნეს ჩემთჳს კაცმან ღმრთისამან მკურნალთაგან ლხენა ჩემი. და შემდგომად ორისა კჳრისა უკეთ შევიქენ, და მიბრძა-ნა ბეირუთს გაგზავნა ჩემი ზღჳსა ნაპირსა, და ჭაერი კეთილი, და მიჰსწერეს მეფესა და კათოლიკოსსა, წიგნები საქართველოდ და ერთი წიგნი, რომელიც მე აწცა მა-ქუს. ჩუენ სპასი ყოვლისა ანატოლისა პატრიარხი გი-წერთ ყოველთა მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა, მმა ჩუენნი არხიერი ორთოდოქსო, ესე იგი მართლ-მადი-დებელი, წარვიდა იერუსალიმს, და რომელიცა ქრისტია-ნე ამას მიიღებს და შეიწყალებს ქრისტეს შეიწყნარებს და შემდგომი. მაკურთხა და ლოცვა წარმიკითხა ჩემ ცო-დჳლ თავზედა, და მიმაბარა კაცსა გონიერსა მგზავრსა.

მუნით მიველ ბირუთს მიტროპოლიტს მაკარიოზთან და შემიტკბო ვითა მმა და შჳლი, და წიგნიცა მოეწერა პატრიარხსა, რამეთუ სამწყსო ანტიოხიის პატრიარხისა

არის; მოვა ძმა ჩჳჱნი შენდა იონა მიტროპოლიტი გურჯისა ანუ ივერიისა, და ეტადე მაგის მოვლასა. შემდგომად დეკემბრის თთჳსა განვთავისუფლდი მოვლითა მიტროპოლიტისათა. ღმერთმან აკურთხოს მაკარი მიტროპოლიტი ბირუთისა, კაცი კეთილი და სახიერი. და დღესასწაულსა შობისა ქრისტესსა მთხოვა წირვა, რამეთუ ასურსთ წირჳაჲ შენით ქრისტიანეთა, და მორჩილ ვექმენ. და შემდგომად ნათლისღებისა წარმოვედ იერუსალიმადვე, და მოველ ქალაქსა ასურსა. და შემდგომად ერთისა დღისა აუშჳჱს რა ნავი და განვემართენით, ემთხჳა კლდესა ნავი იგი და შეიმუსრა და წარვიდა მირსა დასანთქმელად. მასწრაფლად ვთხოვე სულთქმა-კვნებით სულისა ჩემისა მიბარება კეთილად. და მყის თანა, ვიხილე მცირე ნავი მობმული ნავსა მას დიდსა, და გარდავხედ მცირესა ნავსა. მცირისა ნავისა მეპრორეს ვუთხარ, მასწრაფლიად განსწჳლა ხმელად, და შეწევნა ნავისა დიდისა და ისმინა კაცმან, და იხილეს სხჳსათა ქრისტიანეთა ვაჭართა ჩემი ესე საქმე და იწრაფეს ჩემდა, ვიდრე კაცთა ექჳს ოდენთა. გავედით რა ხმელად, თაყჳანის-ვეც ჩემს დამბადებელსა დანთქმისა მისგან ხსნა ჩემი, და კაცთა მათ განადიდეს ხმა თჳსი, გჳშჳჱლეთო გჳშჳჱლეთო: ჩჳჱნ განვერენით დანთქმისაგან, და ნავი შეიმუსრა და კაცნიო ინთქჳჱბიან ზღჳასა. მასწრაფლ შეეშჳჱლნენ მრავალნი მცირენი ნავნი და კაცნი იგი ყოველნივე იხსნნეს დანთქმისაგან; არცაღათუ ერთი მოიშთო მათგანი, და ნავი იგი დაიღუპა ზღჳასა შინა, და რაჲცა იყო შიგან მდებარე და ჩემი თუ რამ მქონდა ყოველივე. მეორეს დილას ვაწირვინე და პარაკლისი გარდაიხადეს სამადლო-

ბელი და რაჲცა უბით ანუ ჯიბით გამამყჳა განუყავი,
სხჳათა, და წარველ აკრიას.

მიესმათ ჩემისა თავისა გარდასახადი. ღმერთმან აკურ-
თხოს მალი იოსებ მმით, ცოლით და შვილით. ყოვე-
ლივე ჩემი დასაკლისი იმათ აღმისრულეს და აკურთხოს
ღმერთმან იქ მსახლობელნი ქრისტიანენი. და შემდგო-
მად კჳალადცა ვვლე ზღჳთა, რამეთუ თთჳჱ იყო ფებე-
რჳალი და მივახლოვდით, რამეთუ იოპედ დიდად მოსურნე
ვიყავ ხმელეთად განსლჳსა; მოვიდა გრიგალი ქარი ბო-
რია, და იხილა მენავემან მან მეპრორემან, შეუშინდა
და განაბრუნა ნავი იგი; წამოგჳწყია ქარი იგი მჱსწრა-
ფლიად, განვვლეო კესარია პალესტინი და მივედით ერთ-
სა ქალაქსა მახლობელად აკრისა, რომელიცა არს ჩჳე-
ნისა უკმო-ქცევისა მილი ოთხმოცი, რომელ-არს ორას
სამოცი ვერსტი. და შემდგომად დღისა ორისა კჳალად-
ცა ვვლეთ ზღჳთ, მოჭბერა ქარმან კეთილმან, და მოვე-
დით იოპედ, და მუნით წარველ ხმელით იერუსალიმად.
და შემდგომად კჳრისა ერთისა წარველ ლავრასა წმინ-
დისა საბასსა. მონასტერი, კეთილი, და ეკკლესია დი-
დათ შემკული და მშჳენიერია, ზღუდე შემოვლებული ქვით-
კირისა, სასახლე და ეკკლესიანი და კელიანი ქვით-კი-
რისანი, და სახლი წმინდისა იოანე დამასკელისა და
წყალი ცრემლისა, რომელიცა ჰსწჳეთს კლდიდამა, ვითა
მრავალ-მთისა დავით-გარესჯისასა. ლავრა ესე შორავს
იერუსალიმს ექჳსის საათით და იხილვება ადგილითა
ამით სოდომ-გომორი, და ზღჳა მისი, რომელსა უწო-
დებენ მკჳდრად. და შემდგომად ამისა ყოველნი ქრის-
ტიანენი წარველით იერუსალიმით იორდანედ, და დრო-
გუმანი იგი ბერი მწირი რახტისა ცხენითა და მარქაფი-

თა და ნასახჩი თურქთა ვიდრე ათამდე იმის კელ-ქუეშე-ნი და მუსლიმნი უკან ჯარით და მრავლის მაშხალებით წინ მღოლით, და განვვლეთ ტიბერია და გარდავვლეთ მთა, — გამოჩნდა იერიქო, სოფელი მდებარე ველი დიდი, და კარავნი მრავალნი დადგმულნი, ბრძანებითა ბერძენ-თა დრაგუმანთაგან, და აგრეთვე სომხის დრაგუმანთაგან. მივედით რა, განვისუენეთ და მივედით წყალსა იერიქოს-სა, რომელიცა ილია წინასწარ-მეტყუელისაგან არს და-მტკბარი და არა დიდი მცირე ხევი, და წყლისა ამის სათავე არს მირსა მთისასა, სადაცა იმარხა უფალმან ჩუენმან ორმეოცი დღე. ხოლო თხემსა მას მთისასა, მონასტერი უშენი ნათლის-მცემლისა. შუა-ღამის ოდენ ჟამსა აღიყარა თაყუანის-მცემელნი, რომელნი თავსა თჳსსა უწოდებენ აჯსა. იყო კურა ვნებისა, ოთხ-შაბათი. მივედით პირსა იორდანისასა, ადგილსა მას, სადაცა უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან ნათელს-იღო, ახ-ლოს მონასტერსა ღერასიმესსა, იორდანე-პირელისასა, ხოლო აწ უშენი და მოვედით იერიქოდ. კაცნი ამა ქუე-ყანისანი არაბნი, ქურდნი, მტაცებელნი, ავაზაკნი, კაცის-მკულელნი, გლახაკნი არიან.

შემდგომად იერიქოსა მოვედით იერუსალიმად და დღესასწაული მოახლოვდა პასექისა და პარასკევი იგი, რომელი განთენდებოდა, გარდამოხსნითა და ჯუარის-წინ-მდომითა გარდაიხადეს ლიტანია და შემოსილი იყო მიტროპოლიტი სკიტეპოლეოსი ანთიმოს, რომელიცა აწ არს პატრიარხი იერუსალიმისა და ჯუარი იგი დასუეს გოლგოთას, ადგილსა მას, სადაცა არს ნიშანი იგი, საცა ჯუარს აცუეს უფალი ჩუენი იესო ქრისტე. ჯუარსა ზე-და ოქრო-ცურკლი მომრგუალებული და მას შიგან

რქმული ჯუარი და სიტყუა ითქუა სკიტეპოლეოსისგან განგრძელებითა. და შემდგომად მწუხრისა შაბათსა და-იხშო თათართაგან საფლავი ქრისტესი და მივიდა შემო-სილი სრულიად შესამოსლითა მიტროპოლიტი ნაზარე-თისა და ეპიტროპოსი (ანუ დიკეოს) დერასიმოს და წაიღეს კანდელი და განაღეს კარი და შევიდნენ საფლავ-სა ქრისტესსა, და გამოიტანეს აღნთებული კანდელი. ხოლო სანთლები აღნთებული, მიტროპოლიტ-მან ორისავე ჴელითა მიჰსცა მართლ-მადიდებელთა, და მარცხენისა ჴელითა სომეხთა, რომელ არიან ერმან-ნი. ხოლო დღესასწაულსა მას ბრწყინუალესა კჳრიაკესა, ჰსწირა სკიტეპოლეოს მიტროპოლიტმან, და ლიდიისა მიტროპოლიტმან და მე, და ჩემსა შემდგომად სევასტიე-ლისამან. ოთხთა არხიერთა ვჰსწირეთ. შემდგომად ჟა-მისა აღსრულებისა ჩაველ და თაყუანის-ვეც, სადაცა ძე-ლი ჭეშმარიტი იპოვა წმინდამან კონსტანტინე და ე-ლენემან. წმინდასა საფლავსა არს მცირე ეკკლესია მო-დგმული კოპტებისა, და მარცხნივ მონასტერი ფრანგთა, და მარჯუენეს მხარეს მაღლა გაკეთებული ეკკლესია სო-მეხთა, დასავლეთით ასურთა და მარონიტელთა კოპ-ტელთა. ხოლო მართლ-მადიდებელთა აღმოსავლით დიდ ა იგი ეკკლესია, კათოლიკო, და წმინდა გოლგოთა, რომე-ლიცა მჯრ-თვასობს და არს ფას-დაუდებელი. ხოლო სა-ფლავსა ზედა წმინდასა არიან აღნთებულნი კანდელნი (41)

(41) ქართუელთა კანდელნი, მეფეთა წარსაგებელით, ენთე-ბოდენ მარადის თორმეტნი მეფისა ვახტანგის VI დრომდე; — ამ შემდეგთა დროთაცა შინა, სამწუხაროთ ქართუელ-თათჳს, ოხრებისა გამო ხშირადის მტერთაგან, ოდესმე გა-ნასლებოდა ძუელი ესე ჩუეულება. —

სამარადღეოთ ყოველ-ჟამ თექუსმეტი ჩუენ მართლ-მადიდებელთანი; თორმეტი ლათინთა და რუა სომეხთა, ოთხი კოპტელთა, ორი მარონიტისა და ერთი ასურისა. ხოლო წმინდასა ამას დიდსა ეკკლესიასა აღდგომისასა აქუს თავი გუმბათისა ახდილი, და საფლავსა წმინდასა ქუა წმინდა მარმარილისა საშუალ ეკკლესიასა, და თჳნიერ ერთისა კაცისა შეუძლებელ-არს შესულად. ხოლო პირუმლსა კარსა ბჭისასა შესულ რა, მდებარეს წინა ნიშანი, სადაცა გარდამოხსნეს ძელისაგან უფალი ჩუენი იესო ქრისტე, მირს მის გოლგოთისასა. და მოვლენ რა თაყუანის-მცემელნი, განიზომენ სუდარასა თჳსსა წმინდასა მას ადგილსა. გამოხუალ რა, ახლორე მონასტერი აბრაამისა მართლ-მადიდებელთა. ხოლო ქალაქსა შინა ათორმეტნი მონასტერნი, მამათა და დედათა.

შემდგომად ამისა განვიზრახე უკმო-ქცევად ჩემსა მშობელსა ქუეყანასა, არამედ ფრიად მსურდა სინისა მთისა თაყუანის-ცემად, რამეთუ ჟამსა ამას შევიდა კაპიტან ფაშა ლაშქრითა დიდითა, და არა მიტევებდა მიზეზითა თაყუანის-ცემად, რამეთუ ეგჳპტე შეირყია, და არა ჰქონდა დაწყნარება. და კუალადცა ჩამოველ იოპედ, და განვვლე ზღჳთ მრავალნი ჭალაკნი და ქალაქ-სოფლები და მიველ პატმო ქალაქსა, და თავსა მას მთისასა ქალაქი დაშენებული, და მონასტერი კეთილი, და მუნ მონაზონნი მცხოვრებნი მრავალნი, და მირს შკოლა და მრავალნი

---

დავიწყებული ჟამთა ვითარებისა გამო ქართუელთაგან თაყუანის-ცემისათჳს წარსულა იერუსალიმად, აწ განახლდა. ამას წელსა რამდენთამე ეკკლესიისა გლეხთა ხაშმისა სოფლიდამ მოიწადეს მუნ წარსულა და წარვიდნენცა იერუსალიმად დღისათჳს დიდისა დღესასწაულთა, ქრისტეს აღდგომისა, დღესასწაულისა. პ. ი.

მოსწავლენი. დასავალით კეთილი ეკკლესია და პალატნი უცხონი, სადაცა იყო იოანე ღმრთის-მეტყველი, და აღწერა წმინდა სახარება: მუნ კიდე ნაპრალისა, და სახლი მისი. ხოლო აწ არს ეკკლესია და სკოლა დიდი და აწცა იხილვების სადგური მისი. ქალაქსა ამას და მთასა ცხენი ვერ ვლის; არამედ კაცნი და ქალნი დატჳრთულნი ვლენან.

შემდგომად ამისა მოველ ჭალაკსა ზღჳთ სამუსს, სადაცა მრავლობს ღჳნო მუშაკეთილი. ქალაქნი და სოფელნი თოთხმეტი, და არხიეპისკოპოსი ერთი დანიელ, კაცი ღმრთისა, კეთილი ფრიად და დავჰყავ ერთი დღე. და ხვალისა ვკლე და მოველ ქალაქსა პეტრას, ანატოლისა მხარესა. და იქიდამ მოველ კჳალადცა ხიოსს, და აშლილ იყვნენ რუსნი და თურქნი და დაეხოცათ სამი კაჭარი რუსისა. და საქართველოთ ამ ჟამად რუსის მხარე ეპყრათ, და მხედრობა რუსისა საქართველოში იყო (42) და მთხოვეს ვედრებით ქრისტიანეთა არა წარსულა ჩემი კონსტანტინოპოლით, არამედ წარსულა ჩემი ევროპით, მიზეზისა ამისთჳს რათა არა მოვიკლა თურქთაგან გზასა ზედა და გრანიცაზედ, ანუ სამძღვარსა. ჟამსა ამას თურქნი განძჳნებულ იყვნენ რუსეთზედა, და ამის მიზეზისათჳს რჩევასა მათ ქრისტიანეთასა დავემორჩილე და უკმოვიქეც ნავით, რომელიცა სულთან ფადიშასი იყო, სათმარი ნავი, და მას შიგან განმგებელნი ნავისა ქრისტიანენი და დიდათ ვუყვარდი, და მოვარავდენ ვითა გუგა

---

(42) ესე იყო 1789 წელსა, ოდეს რუსთა ჯარმან დაიპყრა ყარაბაღი და სიმტკიცისათჳს ადგილთა ამათ შინა მთავრობისა, განამაგრეს შუშისა ციხე.

პ. ი.

თჳალისა თჳსისა; და მივედ ურუმელით ელადას, რომელ არს ათინა. ქალაქი მდებარეობს ვითა გორისა ციხე. შესავალსა ქალაქსა გორი და მას შინა დაშენებული ციხე და დაბლა ქალაქი შემოზღუდული და არა ფრიად სიმაგრე. ქალაქი დიდი და მრავალი ხალხი; ხოლო კაცნი ამის ქჳეყანისანი ამაყნი და მეშფოთარნი, ვიეთნი ავაზაკნი და ძნელათ დაშთება მიტროპოლიტი ამა ათინისა უშფოთარი და შეუწუხებელი, რომელიცა მე ვიხილე კონსტანტინოპოლს, საჩივარსა და განჰსჯასა შინა. და კიდევ ვიხილე მთასა წმინდასა ივერიისა მონასტერში ათინელთა მიტროპოლიტი მოხუცებული, გარდამდგარი მათგან, და დავჰსდეგ საიღუმნოსა მონასტერსა. იღუმენი კაცი კეთილი და მდიდარი და მისი მონასტერი ცხჳრით, მროხით და ჯოგით, პურით და ღჳნით სავსე. დიდათ პატივ-მცეს, და მოვლნე გარემონი და ვიხილე გარემოს ათინისა, შკოლა ყოფილი პლატონ (43) და არისტოტელისა (44), და ახლორე ათინისა ველსა ზედა სჳეტნი აღმართებულნი თექჳსმეტნი, ხრახნილად მოჭრილნი, დიდათ მაღალნი, მარმარისა ანუ მჰსგავსი მარმარისა (45).

---

(43) შკოლისათჳს ანუ აკადემიისა პლატონისა, იხ. მოხილჳა ტიმოთესი, გჳერდი 181. პ. ი.

(44) არისტოტელისა შკოლასა ეწოდა ლიკეი, რომელიცა იყო შენობა დიდი და მიჰსცეს იგი მას სასწავლებელად ათინელთა, შემდგომად მეფობისა ტახტზედ აღსჳლისა დიდისა ალექსანდრე მაკედონელისსა, მოწაფისა მისისა. პ. ი.

(45) ესე იყო ტაძარი დაფუძნებული 530 წლით წინათ ქრისტესსა სახელსა ზედა იუპიტერ ოლიმპიისა ანუ ზევესისა. დამაფუძნებელი მისი იყო პიზისტრატი, განმგე მჳწლისა ელლადისა. პიზისტრატმან ვერ ჰსრულ-ჰყო შენობა მისი სიდიდისა-გამო და ამისთჳს განგრძელდა მუშაობა მისი 600 წელსა. ტიტოს ლივიოს ჰსწერს, რომელ დიდ-მაღლობისათჳს თჳთ

ხოლო მე ვერა მცნობმან, ვჰკითხე მათ, რაჲ არიან სუეტნი ესე და ანუ მიზეზნი აქა დგომისა? ხოლო მათ მრქუეს მე: მჳფლთა მეფეთა ელინნთა სადგური და ტალავარია და როდესაც ნებავლდათ, ვითა ჴაკე ისე ვლიდნენ ციხესა ამას შინაო. ხოლო მე განკჳრვებამან შემიპყრა,

---

ღმრთისა, რომელსაცა მიუძღუნეს იგი, და განუსაზღვრებელობისათჳს მისისა, ვერ განსაზღვრეს და ვერ სრულ-ჰყვეს აღშენებაცა მისი შესრულებით (unum in terris inchoatum pro magnitudine Dei). სპარსთა ივარ-ჰყვეს ტაძარი ესე ქსერქსისა დროსა. რომისა განსრულმან სილლა, წარგზავნა მუხით რომისა ქალაქად რავდენნიმე მარმარილოჲსა სუეტნი და ბრძანა აღმართება მათი კაპიტოლიასა. მოციქულისა პავლეს მიერ, ქადაგებულმან აქა ათინას სიტყუამან ჭეშმარიტისა ღმრთისა, დაასრულა პატივი საკერპოჲსა ამის. იმპერატორმან ადრიანე ბრძანა განახლება და შესრულება მისი, გარნა დროთა დიდისა კონსტანტინესსა გაუქმდა სრულიად. ყოვლადისა შენობისა მარმარილოსა სუეტნი, სიმაღლით თჳთოეულისა 5 საჟენისა მქონნი, იყვნენ 120. აწ დაშთენილნი ჰსდგანან 76 გარე ქალაქისა. ქუეშე მათსა განისუენებენ ზაფხულს ათინისა მცხოვრებნი და აქუსთ ჩუეულება ყავისა სმისა მწუხრისა დროთა.

სხუანი სუეტნი 1760 წელსა, ბრძანებითა ათინას მჯდომარისა ფაშისა, გარდატანილ-იქმნენ აქედამ აღსაშენებლად თჳთ ათინაში თურქთა მეჩითისა. — შემდგომად ათინისა განახლებისა 1834 წელსა ბერძენთა გარდააქციეს შენობა ესე ეკკლესიად და აქა ვიხილე ესენი 1849 წელსა, თავებ-მოკუეთილად, განრყუნილად, უგუანად შემცირებულად და უადგილოდ აღმართებულად

აქავე ათინას ვიხილე მარმარილოჲსა ქჳთა აღგებული ტაძარი ეოლისა წარმართთა ღმერთისა. ესე აღუშენებიათ 35 წლით წინათ ქრისტესსა ანდრონიკე კირისტელსა, ვითარცა ჰსწერს მუწლი მწერალი ვარრონიოს. სახე მისი გარე არის რვა-კუთხე, ხოლო შიგნით მგრგვალი. სიგანესა მისსა შინა-შენობისა აქუს სუთი საჟენი დიამეტრი, სიმაღლე ტაძრისა არს 6 საჟენი.

და აწცა ვდუმებ. ქალაქი ესე ათინისა არს გარეშემო-თი დიდათ ნაყოფიერი პურით, ღჳნით, ზეთის-ხილით, აბრეშუმ-ბამბით, და მრავლის-პირუტყჳთა. ათინა ესე არს ელლადი, (რომელ-არს საბერძნეთი) ესე იგი რომეჲ. რომელსაც ბერძენსა ჰკითხავ: ვინა ხარ? მო-

პლანი ამა ტაძრისა მოვიტანე ათინიდამ ქ. თფილისს და აქა სოლოლაკისა სეობისა თავში ვიწყე აღშენება მსგავსე პლანითა ეკკლესიისა, სახესა ზედა ქრისტეს ამაღლებისა. ყოვლად მსგავსსა, ელინის ტაძრისა არხიტექტურისა შენობასა ამას, განდიდებისათჳს მივუმატე კარის-ბჭე

ელლი, ბერძენთა მითოლოღიისა მოთხრობითა, ჰსცხოვრებ-და ტროადისა ბრძოლისა ჟამსა და მეფობდა ელლისა ქალაქსა შინა, ახლოს სიცილიისა, მუნ, სადაცა ვულკანისა აქუნდა სამჭე-დურთა თჳსთა საბერჳლნი. დიდად იყო ელლი ესე დახელო-ვნებული ზღჳსათა მხედრობისა ნავით ჰსწავლასა შინა; უწყო-და ქართა ბერჳსა თჳსება და ჟამი განძლიერებისა მათისა. ამის-თჳს ძველთა ბერძენთა მეფესა ამას მიუძღვნეს წოდება ქართა ღმერთისა. ღმერთამან იუნონა ჰსთხოვა მას მიცემა ძლიერი-სა ქარისა, შესამუსრველად ენეისა ნავთა. ესრეთისა მისა-სა სურვილისა აღსრულებისათჳს, მიჰსცა მას ცოლად მშვენიე-რებითა ბრწყინვალე ნიმფა დეიოპია, რომლისათჳსცა იტყჳს ვირგილი:

> Quarum quaė ſorma pulcherrima,
> Deiopeiam connnbio jungam stabili,
> *Aeneid lib. 1, v. 76 etœ.*

მოსახსენებელად დროთათჳს ვიტყჳ ამასცა, რომელ სახესა ზედა ელლისა ტაძრისა ვიწყე აღშენება, სოლოლაკისა ადგილ-სა ზედა, რომელიცა გამოვითხოვე საქართველო-იმერეთის სინოდის კონტორიდამ. 12 მარტს 1951 წელსა ყოვლად სა-მღდელომან ნიკიფორე ეპისკოპოსმან გორისა და ვიკარიმან სა-ქართველოსამან, აწ გარდაცვალებულმან, აკურთხა საძირკვე-ლი მისი. სადაცა ოთხსავე მხარისა კუთხეთა შინა დავჰსდევ თჳთო მცირედი ქვა, რომელიცა მოვიტანე ათონისა მთიდამ, როიასნის ზღჳსა პირით ჩუენ ქართველთა პორტაიტის მო-ნასტრისა. ვჰგონებ, ღვთისა შეწევნითა ჰსრულ-იქმნას ეკკლე-

გიგებს კუალად: ეღო-მე-რომეოს, (ესე იგი რომაელი). ახლოარე აქუს ზღუაჲ, ვითა გორსა მტკუარი, [46] და შემდგომად რაოდენისამე ხანისა ჩამოველ ზღუად. პირი-სა ზღჳსასა არს მონასტერი წმიდისა ლაზარესი და და-ვჰყავ დღე ორი, და შეველ ნავსა და მიველ ჭალაკსა ჩა-მუსად წოდებულსა, რომელ-არს ანდრა, რომელშიაცა მრავლობენ ნავნი მრავალნი და ვლენან ყოველსა ქუე-

სია ესე ამაღლებისა ამავე წელსა, სადიდებელად ჭეშმარიტისა ღმრთისა.—მარმარილოთა განწითლებულთათჳს და ფერ შეცვლილ-თაესრეთ იტყჳს იონა ამისთჳს, რომელ ნამდჳლ, დროთა სიგრძი-სა გამო შექცვლილია ფერი სითეთრისა პენტელიკისა მარმარსა, და დაჰსცემს მოწითურად, რეცა დამწუარად ცეცხლისაგან. თჳთ გან-საკჳრუელნი პართენონისა და მინერვისა ტაძრისა, მასვე ათი-ნასა, სუეტნი, არიან ესრეთისავე ფერისა. პ. ი.

[46] ორნი არიან ზღჳსა ყურენი და ნავთ-საყუდელნი ახლოს ათინისა. ერთი პირეისა, სადაცა მოვლენ ცეცხლისა გემნი და შორავს ათინასა 1 საათის სავალით, და მეორე ფალერისა, სა-დაცა იყო ძუელად დიდი და ჩინებული შკოლა დიმიტრი ფა-ლერიელისა, მოწაფისა დიდის არისტოტელისა. ამა გზით, რომელიცა შორავს ერთისავე საათის სავალით, მცირედნი შე-ვლენ ათინასა.

დაუვიწყებელად მაქუს დროჲ იგი, ოდეს ბრძანებითა კელ-მწიფე იმპერატორისა და სურჳლისამებრ კნიაზის მ. ს. ვო-რონცოვისა წარგზავნილ-ვიქმენ ათონისა მთად მოსაძიებელად ძუელად აღწერილთა შუნ წიგნთა და მერეთ მიველ ათინას, სადა-ცა ელლადისა კოროლმან ოტთონ ინება მიღება ჩემი სასახ-ლესა თჳსსა ათინაში 2 ივლისს 1849 წელსა და მკითხჳდა ქარ-თუელთა ერისათჳს, თუ ვითარსა განსათლებასა შინა იპოებიან აწ; რაოდენ განმტკიცდა კეთილ-დღეობა ქართუელთა, მტერ-თა დაუძლებითა რუსთა შეწევნისა გამო; ვითარ დაჰსცხრა დევნა ქრისტიანეთა ქართუელთა, სპარსთა და ოსმალთა ზედა-დასხმითა. მკითხა ძუელად ნათარგმნისა დაბადებისათჳს ქართუ-ლად, რომელიცა ჰპოვე ათონისა მთასა; მონასტერთათჳს, რო-

ყანასა. ზღჳთ ანატოლ-ევროპასა, აფრიკასა და ამერი-
კასაცა, მიიწევიან მხნენი და მცდელნი მოგებისა. ენა ამა-
თი არს არნაუტისა; ბერძენთა ენასა ესხჳაებს. დავდეგ
მონასტერსა ღჳთის-მშობლის მიცვალებისასა. მონასტე-
რია მდიდარი და მშჳენიერი, და სამრეკლო მარმარისა,
დასაწყის დასასრულადმდე; ქალაქი კეთილი; სულ ქრის-
ტიანენი მსახლობელნი სამი ათას ოდენ და უმრავლესი
სამღჳდელოთა. იციან ენა ელენთი (რომელ-არს ბერძნუ-
ლი). შემდგომად დღესასწაულისა განვვლე ჭალაკი და
მიველ საულის ადასა, და ესეცა ჭალაკი, და ქრისტია-
ნენი არნაუტნი და აქაც ნავნი მრავალნი, და განვვლე
ზღჳა და მიველ პირსა ხმელისასა, მახლობელად სო-
ფელსა რომელსამე ქჳეყანასა მორისასა. მღჳდელნი,
კაცნი და დედაკაცნი სოფლისა ამის მომეგებნენ და მო-
მიმღჳნენ სოფელსა შინა თჳსსა. ღმერთმან აკურთხოსთ

---

შელნიცა აღუშენებიათ მუნ ქართჳელთა მეფეთა; ბრძოლისათჳს,
რომელიცა ჰგიეს კავკასიისა მთათა შინა; კნიაზის მ. ს. ვო-
რონცოვისა კელმწიფისა მოადგილისათჳს კავკასიისა და სხჳა-
ნი ესე ვითარნი.

მოხილჳა ათინისა სიძჳელეთა, ძჳელთა დროებისა ნეშტთა,
ესოდენ დასაფასებელ-არიან, რომელ ფრანცუზთა მწერალი შა-
ტობრიანი იტყჳს: საფრანგეთისა მონუმენტნი მეჩჳენნენ ცუ-
დად, ოდეს ვიხილე რომისა მონუმენტნი და მხილჳელი სა-
ბერძნეთისა მონუმენტთა, უცუდესად მეჩჳენნენ რომისა მონუ-
მენტნი.

Si aprés avoir vu les monuments de Rome, ceux de France m'ont paru grossiers, les monuments de Rome me semblent barbares à leur tour, excepté point le Panthéon que j'ai vu ceux de la Grece: je n' en excepte point le Panthéon, avec son fronton démesuré.

Itinéraire p. 143

პ. ი.

ჩემისა ასე მიღებისათჳს. და დილასა ადრე ცხენითა წარველ და ჩემთანა მხლები კაცი, და მივედით ნიაპოლად (47) წოდებულსა ქალაქსა მორისასა. და მიტროპოლიტს ეთხოვნა ღამე წარსჳლა ჩემი იდუმალ, და არა გამოცხადება, რამეთუ ზარ-ცემულ-იყო მორისა ქალაქი და შეშინებულ: დროსა ამას ორლოვი ალექსი გრიგორიეჩი (48) იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნისაგან იყო წარგზავნილი ადმირალად ზღჳსა შინა არხიპელაგოს, და მრავალი სახელოვანი საქმეები ჰქმნა, და მორეელნი ესე მოელოდნენ წარტყუჱნჳასა თავისა თჳსისასა თურქთაგან. და ღამესა ამას წარველ ცხენით კაცითურთ ჩემით. და რაჲცა გჳჱსაჭიროებოდა თან-ტანით, ღამესა ვიდოდით და დღე ვიდეგით ნუგეშინის-ცემითა კმა-საყოფელითა თანა-ტანითა. და მივედ ნავთ-საყუდელსა კორინთისასა (49). ხოლო კორინთე ქალაქია დიდი, კლდიან-გორიან-

(47) ნავპლის ქალაქი. ესე იყო ელლადისა სატახტოდ ქალაქად დრომდე განახლებისა ათინისა. აქა მოჰკლეს, თურქთაგან გამოხსნილისა საბერძნეთისა განმგე, იოანე კაპოდისტრი 1831 წელსა. კოროლმან ოტტონ სატახტო ქალაქად აღადგინა ძუელივე ათინა. პ. ი.

(48) ღრაფმან ალექსი ორლოვმან დაჰწჳა ყოვლადი ფლოტი თურქთა ახლოს ჩესმის ჭალაკისა 1770 წელსა. პ. ი.

(49) კორინთე, რომელსაცა ძუელად უწოდეს ილიოპოლისი ანუ ქალაქი მზისა. მისრული მუნ ათინით, დიდ-დროს შემაყენეს ნავთ-საყუდელისა მცუელთა, და მომაგონდა ლექსი ღორაცისა:

**Non cuivis homini contingit adire corinthum.**

არა ყოველთა კაცთათჳს არს, მისულა კორინთას.

მე ვიყავ აქა 5 ივლისს 1849 წელსა და დიდისა ლმობიერებითა წარვიკითხე აქა ეპისტოლენი პავლე მოციქულისა, მიწერილნი კორინთელთა მიმართ. მოციქულმან პავლე დაჰყო აქა წელიწად-ნახევარი. მოციქულისა პავლეს ჟამსა კორინთე იყო სატახტო ქალაქი ყოვლისა საბერძნეთისა. წმინდა ერასტი,

ზედ სახლებული. მუნ ციხჱ მაღალი, მაღალს კლდესა ზე-
და დაშენებული, თჳალთაცა ძლივას სახილჳჱლი. და მუ-
ნით ვიძიე თავისა ჩემისათჳს ნავი და წარველ და მი-
ველ, პალეონ-პატრას, ხოლო აწ წოდებულად, პატრად.
და მიველ პროთოსინგელოსთან სახლსა იერუსალიმისა-
სა. მორა ([30]) ესე არს ყოვლისა ნაყოფიერებით სრული
და პირუტყჳთა სიმრავლით. მორისა ამის მდებარეობა არს
საკჳრჳჱლი. შემოსული არს ზღჳა მრავალსა ადგილსა
გრძლად და გაღმა-გამოღმა ქალაქ-სოფლები დაშენებულ-
ნი, და წამდგარან ზღჳაში გრძლად მთანი, და ქალაქ-
სოფლები დაშენებულნი. მორასა ამას ჳვლის ზღჳა
ყოვლის კჳთხითა. ხოლო არს ერთი გზა ვიწრო ხმე-
ლით. ქჳჱყანა ესე მორა არს ვრცელი, შჳდი სამთავრო.
ხოლო აწ არს საფაშო შჳდი. კაცთა ამის ქჳჱყანისათა
იციან ენა ელინთა, (რომელ-არს ბერძული) და მსახ-
ლობელთა თურქთა იციან ბერძნული და არა თავისი ენა
კარგათა; ამისთჳს რომ ბერძენნი მრავალნი არიან და
ამის გამო არ ესმისთ თათრული ყოველს სოფლებსა და
ქალაქებშია. შემდგომად რაოდენისამე დღისა ვსმებნე ნა-

---

წმინდა კაიოს და წმინდა კრისპოს იყჳნენ ქალაქის ამის
მცხოვრებნი. კაიოს და კრისპოს იყჳნენ ნათელ-ღებულ
თჳთ მოციქულისა პავლესგან, რომელიცა სადგურებდა
კაიოსთან. ამა დიდის ძჳჱლად და მშჳჱნიერისაგან ქა-
ლაქისა, არღა რა დაშთნენ სამკაულნი. დღეს არიან მუნ
მცხოვრებნი 2,000 სული.

პ. ი.

([30]) მორეა არს ძჳჱლი სპარტა.

პ. ი.

ვო, მიმავალი ჭალაკის ზანტას, რომელიცა არს ვენეციანთა სამფლობელოთა რესპუბლიკისა ([51]). ჩავ-ჰსხედით ნავსა, ვვლეთ მილი ასი და მივედით ქალაქსა ზანტას.

---

([51]) 1815 ეპყრათ ესე ვენეციის რესპუბლიკისა განმგეთა, რომელთაცა ეწოდებოდა დოჟი. შემდეგ მიიღეს ზანტა და სხჳანიცა ექჳსნი ჭალაკნი ანგლიელთა და აქამდე მათვე უპყრიესთ, სახელ-წოდებით: იონიის ჭალაკნი.

პ. ი.

## მიმოხილჳა ჭალაკთა ზანტასი, კორფუსი და სხჳათა ქალაქთა და ადათა მრავალთა რესპუბლიკისა ადგილთა.

ხოლო ქალაქი ესე ზანტა არს დიდი. მუნ მრავალნი ეკკლესიანი მართლ-მადიდებელთანი, ვითარმედ იტუჯან ასსა ეკკლესიასა. ქალაქსა ამას შინა სახლობენ ბერძენნი, ადასა მას შინა ანუ ნისსა ესე იგი ჭალაკსა არს სამოცი ქალაქი და სოფელნი, ხოლო აწ უპყრიესთ რუს-თა ([52]): ზაკითო, აიე, მავრა, კეფანოლა, კორფუ და სხჳა-ნი მრავალნი, რომელთაცა სახელები არ ვუწყი. ჟამსა ამას იყო მფლობელობასა ვენეციანთ რესპუბლიკობისა ქჳეშე. და მივედ ნავთ-საყუდელსა დიდსა ქალაქი-სა ამისასა, შეგჳყუჳანეს ლაზარეთ წოდებულსა, რომელ-არს კარანტინი. და ესმა ჩუმი მისულისა რა კონცოლოს რუსისასა, ისწრაფა ჩემდა, და მოვიდა, და მცა ნუგეში ჯუროანი, რომელსაც არ მოველოდი. და სიხოვა ქალაქი-სა შინა სენათისა მმართებელთა: ჯორჯიანსა, რომელ-არს გიორგიანი, მივიღებ სახლსა შინა ჩემსა, და სნეუ-ლების გამო თუ ვნება იქმნეს, მე თანამდებ ვიყო თქ͞ნისა აპოკრისისა, (რომელ-არს პასუხისა), და ნება ჰსცეს, და მოვიდა ჩემდა, და მითხრა: აიე დესპოტი, (რომელ-არს წმინდაო მეუფეო), სახლსა შინა ჩემსა

---

([52]) რუსთა ეპყრათ დროებით: რავდენსამე თთჳსა იდგა მუნ მჴედრობა მათი. პ. ი.

ინებე მოსჳლად, რამეთუ სენათთა რესპუბლიკისათა ნება მცესო. და მიველ სახლსა პალატსა ქჳთ-კირისასა. თჳთეულსა ერთსა ვიყოფოდი სახლსა მის კონცულისასა, და მოვვლე ზაკითო, რომელ-არს ზანდა, კეთილ-ვენახ-წალკოტიანი, ქალაქი ვრცელი და ვაჭარნი მდიდარნი, და არხონდარნი ფრიად მდიდარნი, რომელ-არს კეთილ-შობილნი, ეჰა საკჳრველებას! თჳთეულსა ერთსა მრავალ-ჯერ იძრა ქუეყანა, და ამის მიზეზით ეკლესიათა თავი გუმბათისა არა აქუსთ შეკრული, და არს ქუეყანასა ამას ხშირად ძრუა, და ვნებს არაფერი. და თაყუანის-ვეც გუამსა დიონოსისსა (53). ყოველნი ოსტროვნი, რომელ-არს ჭალაკნი, მთიან-გორიანნი და კლდიანნი. მდინარე წყალი არა მრავლობს. ვითა ხმელთა ქუეყანასა, კლდესა შიგან ნაყოფიერებს კლიმი, (რომელ-არს ვაზი), და ხეთა მრავალთანი ნაყოფნი, და პურისა მცირედ-მოსავალი, და მცდნელნი ვაჭრობისა ზღჳსა შინა მავლობითა. შემდგომად ამისა გამოვეთხოვე კონცოლს ზაკითოსასა, კაცსა კეთილსა ქრისტიანესა, და კაცსა კეთილ-მოქმედსა, და მართლისა გულისა მქონებსა. საუკუნოდმცა იყოს სახსენებელი მისი. და მოვედ ჭალაკსა კეფალონიას, დიდსა ჭალაკსა, სახლსა კონცოლოსასა, და ამანცა მიმიღო ვითა ზაკითოსამან, და დავყავი რავდენიმე დღეა, და წარველ

(53) წმინდა დიონოსიოს, არხიეპისკოპოსი ეგინისა და მაკინთისა ანუ ზანტესი არა-არს მოხსენებული ქართულსა და რუსთა ჟამნთა შინა, ამისთჳს რომელ მიმდევნი დიდისა საქმისა დიდსა მოღუაწებასა შინა და სიწმინდით გარდაიცვალა 1624 წელსა და არს დღედმდე უხრწნელად წმინდა გუამი მისი. ბერძენთა ეკკლესია დღესასწაულობს ხსენებასა მისსა 17 დეკემბერს.
პ. ი.

მონასტერსა წმინდისა გერასიმესსა (54). ქალაქით კეფა-ნოლით არის საათით ათით სავალი. მონასტერი მშჳე-ნიერი, და მაღალს ადგილს დაშენებული, და თაყჳანის-ვეც წმინდასა გერასიმეს გჳამსა.

განვვლე კეფალონოს საშუალ მრავალნი სოფლები კე-თილნი და მშჳენიერ-სანახავნი. ჭალაკი ესე (რომელ-არს ნისი) კეფალონისა შემკულ-არს ყოვლითავე ნაყო-ფითა ვითა სხჳანი ჭალაკნი, და ჭალაკსა ამას შინა არიან ქალაქნი და სოფელნი, ნავნი მრავალნი; მუნ მე-ომარი ნავი ორასი, და უფრორე მეტი, და ვაჭართა მრა-ვალი. კაცნი ამის ქჳეყანისანი მხნენი, მამა-კაცობაში გამოცდილნი, და იტყჳან ზღჳასა შიგან ამათ ავაზაკო-ბასა, ვითა ყურსანდლისა, და მე არა ვუწყი: ვდუმებ. და გა-მოვეთხოვე კონცოლოს და წამოსრულმან კეფალონიით, გამოვვლე ზღჳა და მოველ აია მავრასა და აქაცა ნისი, (რომელ-არს ჭალაკი), ოცდა ათი ქალაქი და სოფელები. და აქედამ მიველ კორიფუს, ნავთ-საყუდელსა კეთილსა ჭა-ლაკსა კორიფუსისასა. ქალაქსა ამას აქუს ციხე მაგა-რი და საკჳრ-ჳელი-ქალაქია დიდი და სასახლე ქჳთ-კირი-სა და ეკკლესიანი მრავალნი. მუნ არის საკჳრჳელთ-მოქმედისა სპირიდონისა წმინდა გჳამი (55), და

(54) ესე კეფალონიისა წმინდა ჲ ღირსი მამა იყო, რო-მელიცა შემდგომად დიდისა მოღუაწებისა გარდაიცჳალა ამი-ერ სოფლით 1579 წელსა. ეკკლესია ბერძენთა დღესასწაუ-ლობს ხსენებასა მისსა 20 ოკდომბერს, ჲ დროთა სიახლოჲ-სა გამო, არცა რუსთა, არცა ქართჳელთა წმინდათა შორის არა შერაცხსა.

პ. ი.

(55) წმინდისა სპირიდონ ტრიმითუნტელ ეპისკოპოსისა საკჳრჳელთ-მოქმედისა დღესასწაულობასა მოიხსენებს წმინდა

ეკკლესიას სობორო დიდათ დიდათ მშვენიერი და მდი-
დარი; მრავალი ხომლი ვერცხლისა, და წმინდა სპირი-
დონის გუამი ასუენია წმინდას ტრაპეზის გუერდით
მცირესა ეკკლესიისა; გუამი მისი არს ფვერხ ხელ-მდგომი.
თაყუანის-ვცე და ვემთხვიე, და გავსინჯე, და აკლია კბი-
ლი ერთი მხოლოდ, და ყოველივე გუამი მისი უკლებე-
ლად სძევს. ჩემსა მუნ ყოფასა შინა, კორფუ იყო მფლო-
ბელობასა ვენეციის რესპუბლიკისასა. აქა პროთოპო-
პი, მბრძანებელი სულიერის საქმისა, გამოარჩევს მღუ-
დელსა და დიაკონს, და გაუგზავნის მღუდელ-მთავარსა
აიე მავრას მცხოვრებსა არხიეპისკოპოსსა. კორფუს და
აიე მავრა ეპარხია ამისი და ამ არხიერისა, და პროტო-
პოპი განაგებს კორფუს; რამდენსამე წელიწადში ერთ-
სელ მოვა, ვითა სტუმარი. ხოლო პროთოპოპსა ჰმოსავს
ანაფორა წითელი და თავსა მისსა იარაღჩინა წითელი,
რომელ-არს სკუფია, და ორისავე ჴელითა ჯუარსა ჰს-
წერს ჯუარის სასანთლეებითა. კორფუსა ამას ჭალაკს
არს ას ორმოცნი ქალაქნი, და ზოგიელნი ნაყოფიერნი,
ვითა სხუანი ოსტროვნი, ესე იგი ჭალაკნი, და თევზი
კეთილი და მრავალი, მერმე ვიხილე ალვანის ახლოს
კორფუსისა, ვჰგონებ მილით ოცით ანუ მცირე რამე
მეტით. ნავთ-საყუდელსა ამის ქალაქისასა იდგნენ ნავნი
საომარნი ვენეციისა, მშვენიერნი და კატარღანი მო-
ჭურვლნი ოქროთი. დღესასწაულსა ამას წმინდისა
სპირიდონისასა, დეკემბერს თორმეტს, შეჰკრბენ სრუ-
ლიად კორფუს სამღუდელო და საერო, და გამოასუენებენ

---

მართლ-მადიდებელთა ეკკლესია 12 დეკემბერს. იგი ცხოვრებ-
და 325 წელსა, დროსა იმპერატორისა კონსტანტინესსა და
იყო პირველს ნიკიის კრებასა შინა. პ. ი.

წმინდა გუამი, და მოკლეს ზღუდე ქალაქისა დიდისა დღესასწაულობითა და ლიტანიის ჴარაკლის გარდახდითა, და გაიცალა ყოველნი ზარბაზანნი ციხით და ზღჳთ საომართა ნავთაგან.

და შემდგომად ამისა გამოვესალმე კონტროლოსსა კორფუსისასა, კაცსა კეთილ-გონიერსა და წამოველ ნავით, ანდრიატიკის ზღჳსსა (56). და რაოდენსამე დღესა აღგჳდგა ღელჳა ზღჳსა და მივიწიენით სულ-მოკლეობასა, და სასო-წარკუეთილებასა, და გჳხსნა დანთქმისაგან ღმერთმან, რამეთუ ჟამი იყო თთჳსა-დეკემბრისა, იქმნა დაყუდება ზღჳსა და აღგჳჩნდა ქუეყანა ნიაპოლისა და გამოჩნდა მთა იგი, ახოპისა ( ), რომელსაცა აღმოსდის ცეცხლი. და მივიდეს მენავეთა მთასა ამას, რათა არა შევემთხჳათ ჴნებაჲ, და მოვედით ზღჳსსა ვენეციისასა, და მივედით სტრიესტს ( ), ქალაქსა მშუენიერსა. ვითა პეტერბურღისა, ჰგავს შენობით, და არიან შემოტანილი კანავები მირსა მთისასა. თჳნიერ ზღჳსა არა მრავლობს წყალი მდინარე. ზღჳს-პირსა ნავთ-საყუდლისასა საკელმწიფო სასახლეა ლაზარეთი, რომელ-არს კარანტინი, ფრიად მშუენიერი და მრავალი სახლები. მოვიდა კონტროლო რუსისა, კაცი კეთილი, მყუდრო-გონებიანი და კაცთაგან საყუარელი. და შემდგომად ოთხისა დღისა გამომიყუანა. ჩუეულება აქუსთ ამათ; შემდგომად ორმოცისა დღისა გამოიყუანენ კარანტინით სხუათა, და მე პატივს-მცა, და ოთხისა დღისა გამომიყუანა. დავდეგ სახლსა მართლ-მადიდებელთასა,

(56) ადრიატიკის ზღუა, რომელიცა განჰყოფს საბერძნეთსა და იტალიასა. პ. ი.

(57) ვეზუვის მთასა უწოდებს მწერალი. პ. ი.

(58) ტრიესტი. პ. ი.

და მჯრო ბდაცა. ჴოლო-არს სტრიესტს, მარჯთლ მადიდებელთა ორი მშჳენიერი ეკკლესია, სპირიდონ საკჳრჳელთ-მოქმედისა და ნიკოლოოზ საკჳრჳელთ-მოქმედისა, და მას შინა კიდებული ხრმლი დიდი ჳერცხლისა, რომელიცა შეჰსწირა პავლე პეტროვიჩმან ცესარევიჩობაში, და ხატნი მდიდრად მოჭედილნი მაცხოვრისა და ღჳთის-მშობელისა და აგრევე ნიკოლოოზ საკჳრჳელთ-მოქმედის ეკკლესიაშია. სპირიდონის ეკკლესია ეპყრათ სერბთა, და ნიკოლოოზისა ბერძენთა, რომელ-არს რომეოს. და შემდგომად ერთისა თთჳსა წაველ ნავით ვენეციად, გვლეთ ჟამი რაოდენიმე და მიველ ვენეციას.

მიმოხილუა ვენეციისა და გარემოთა მისთა.

რა მოვედ, მრავალმან სანახავებმა გამაკჳრვა. არს ქალაქი ერთი ზღჳასა შინა დაშენებული თჳნიერ ხმელისა რომელ-არს მიწაზედ დაფუძნება. რა მივახლოვდი, ვიხილე ყოველივე კუთხე ჩასხმული მუხით ზღჳასა შინა და თჳნიერ კოლოფზისა ვერა ვლის უცხო ნავი ზღჳასა შიგან. კუნძული ესე ქალაქისა მშჳენიერი, მრავლისა მარმარით სასახლე ნაშენი და სხჳასა ქჳთა მჳწლნი სასახლენი, და კაცნი მდიდარნი. ვიხილე სასახლე მეფეთა ვენეციისა, მარმარის ნაშენები, და შიგნიდამ სახლი ოქროთი მოცურვილი. წინაშე სასახლისა ეკკლესია სანკტ-მარკასი დიდად მშჳენიერი, ზევით გუმბათზედ მოაჯირი ოქრო-ცურვილი თითბრისა, ანუ რკინისა და ცხენნი ოთხნი წინა ფეხ-აღეპულნი ერთისა და დამყურებელი ქალაქისა; ოქროთა მოცურჳწბულნი ეკკლესია შიგნით ზევიდამ ვითარმე მიწადმდე ხოფიის კენჭით მოჭედილი, კანკელი მარმარისა დახატული, და ეას შიგან ვლახეთისა (59) ღჳთის-მშობლისა ხატი დაშჳწნებუ-

---

(59) ვლასერნისა დ არა ვლახეთისა. ხატისა ამის მჳწლთა დროთაგან სასწაულ-მოქმედებათათჳს მისთა ხატჲა ეკკლესიათა შინა დ კარის-ბჭეთა, მიიღეს მართლ-მადიდებელთა ერთა. ესრეთივე სრულ-ტანად დახატული ჰსჩანს დღესცა ასტალისა გაუქმებულს სეჰპისკოპოზოს ტაძარში დ განუმარტეცა მნიშჳხელობა მისი კნიაზს მ. ს. ვორონცოვს, ოდეს მიახლა თჳსთან (1850 წელსა), დროსა ამა ეკკლესიისა დ სხჳათა ადგილ-

ლი, სადაცა მართლ-მადიდებელთა და ფრანგთაგან, ყოველს დღეს პარაკლისი და ვედრება არის. თაყუანის-ვეც და ყოფვასა ჩემსა მუნ ყოველ-დღეს პარაკლისს ამის-წინ ვიტყოდი. ეკკლესია ესე ყოფილა მართლ-მადიდებელთა ვითა არჩენს განკელი ეკკლესიისა, ვითა არს მართლ-მადიდებელთანი, და აწ უპყრიეს ლათინთა. ეკკლესიისა ამის სობოროსა სამრეკლო მაღალი თჳნიერ კიბისა. ასასულელი უკლის შიგნიდამ გარე შემოვლით და ადვალს თავსა ამის სამრეკლოისასა. წინაშე სასახლისა და სობოროსა (პიატო), რომელ-არს მოედანი დაფენილია ქჳთა და მგურგულივ სასახლე, ყოვლის კუთხით მშუენიერი, რომელ გონება კაცისა განკჳრუებაში განათლდება. საათის სასახლე ვითა გოდოლი, და თავსა გოდლისასა საათი დიდი, და ორნი კაცნი აქეთ და იქით მდგომარენი ჩამოსხმულნი. ჟამსა ცემისა საათისასა მი-

---

თა მოსახილუელად. (იხ. წიგნაკი ჩემი რუსულად ბეჭდილი): *Путевыя записки отъ Тифлиса до Ахталы. Тифлисъ. 1850 стр. 29.*

თჳთ ნამდჳლი ტაძარი ვლასქერნის არს კონსტანტინოპოლეს, გარნა თურქთაგან საძირკუელადმდე შემუსრვილ. დაშთენილა მხოლოდ მცირე ეკუდერი წყაროსა ზედა, რომლისა ქუეშე არს დიდი აუზი საიაზმედ. აქა ასუენიან სანთნი და ჯუარნი, უვის მღუდელი და მიმსულელნი თაყუანის-ცემად მოისმენენ პარაკლისსა. 1849 წელსა მისრულსა მუნ, თანამზრახუფა ყოვლად-სამღუდელო თაბორისა არხიეპისკოპოსი იეროთეოს, რომელმანცა გარდაისადა თჳთ პარაკლისი ქრისტოსისათჳს ჩუენისა ისიდორესა, მოსკოვსავე მცნობისა მისისა და ჩემთჳს, ესე იეროთეოს 1854 წელსა აღუფუანილ-იქმნა პატრიარხად იერუსალიმისა. — დიდ-ნეტარად მჴოფა იგი კონსტანტინოპოლეს და დაუვიწყებელია, მრავალ-დღე და ღამეცა მასთან ყოფნა და საუბარი რუსულისა ენით, რომელიცა უსწავია მას მოსკოვს მრავალ-წელ ცხოვრებისა დროთა. პ. ი.

ჭჳრავს დიდსა ენასა ზარსა, ფეხ-ჴელით მომრავნი. ვი-ხილე მე ესე: ვჰგონებდი კაცთა მართლ-ცოცხალთა. აქა დუქნები ორისავე მხრით. ყოველივე კუთხე მინითა და სასანთლენი აღნთებულნი სახლის სავაჭროსასა. ქალნი და კაცნი მსყიდჳელ-განსმყიდჳელნი ბაზარსა ამას. ნავნი მრავალნი მშჳენიერნი, მდგომნი. ხოლო ქალაქი ესე არს დიდი. ყოველსა ადგილსა არს შემოსული კანა-ვა ზღჳს და ვლენან მცირითა ნავითა, რომელ-არს შლუკა და ხმელითაც გასავლელი ორისავე მხრითა. ქუ-ჩის შიგან ყოველნი ქუჩანი და ზღჳს პირნი თლი-ლის ქჳთ ამოტანილნი და მოაჯარ მოვლებულნი. ყოველსა ქუჩასა ხიდი კანავასა ზედა თავსა ქუჩისა და ბოლოსსა ქჳთ-კირისა თლილის ქჳსაგან და მოაჯარ მოვლებული. ეკლესიანი მრავალნი და მშჳენიერნი მარმარითა და სხჳსა და სხჳს ქჳთა ნაშენნი; მონასტერნი მშჳენიერნი; პრიხოდის ეკლესია ბერმენთი დიდათ მშჳენიე-რი და მდიდარი წმინდის გიორგისა. რამდენიმე ქალნი და კაცნი აღიზრდებიან და გაათხოვებენ ეკლესიისა ამის შემოსავლითა არხონდათა. ესე იგი კეთილ-შობილთა სახლი შჳდასი. ამათ აცჳათ შენდორი შავი და თმა დი-დათ გრძლათ გადაშჳენილი· თჳნიერ ამათისა ვერავინ ჴელ-ჰყოფს ჩაცმად. ამათგან გამოირჩევა სეკლატარი, სჳდია ზენათშია, სენატორნი, კამენდანტნი, ღუბერნა-ტორნი, მინისტრნი და მეფე. კაცნი ესე ყოველნივე კე-თილნი და მყუდრონი. ყოველთა ამათ ვაჭრობისა მამართ აქჳსთ მიდრეკილება. ეჰა საკჳრჳელი! შუა-ღამეს უკან შემოვა ზღჳა და გაივსება ყოველი ქალაქი წყლი-თა და შემდგომად ჟამსა შუადღისასა წავა ზღჳა და გა-მოჩნდება ხმელი. ქალაქსა ამას შინა არს ყავათა სახლი

ოთხასი. ქალაქისა ამის გარეთ ზღჳასა შინა არს მცირე მონასტერი სომეხთა-კათოლიკისა. ეკკლესია ერთი მცირე მონასტერში; სახლები მცირე და გარეშემო ზღჳა და აქჳსთ თავიანთს ენაზედ წიგნის საბეჭდავი სტამბა. მინისტრი რუსისა იმპერიისა ცხოვრებდა, კაცი ფრიად კეთილი, მართლ-მადიდებელი, მდიდარი საცხოვრებელითა. ეკკლესია სასახლესა შინა თჳსსა აქჳს, არხიმანდრიტით და მგალობლებითა თჳსითა. და დავჰყავ თთჳჱ სამი ვენეციასა შინა და უკუნ-ვიქეც ქალაქსა ტრიესტს. ქალაქი ესე არს რიმისა იმპერატორისა. ხოლო განზრახჳა ჩემი იყო სინის მთის მონასტრისა და წმინდის მოწამის ეკატერინას თაყჳანისცემა ნაწილთა მისთა და სინისა მთისა წმინდათ ადგილებთა მოხილჳა. დავჰყავი თთჳჱ ექჳსი ტრიესტს და ვუყურებდი ეგჳპტის დამშჳდებასა. რა მომესმა მშჳდობა და დაწყნარება ეგჳპტისა, ვიმიე თავისა ჩემისათჳს ნავი და განვემზადე. ხოლო ჩემს ტრიესტს ყოფაში მოვიდა იმპერატორი იოსებ და ვნახე. მომიკითხა და მიბრძანა: ვიენასა გნახავო, შენი გზა იქით არისო. ფრიად მდაბალი, ვითა ერთი კეთილთა შობილთაგანი, და წარვიდა ფიუმეს და ფიუმიდამ არმიაში, რამეთუ იყო თურქთა და მათ შორის ბრძოლა. და ჟამად ამად მოვიდა ნავი კეფალონით, ღერასიმე კრასავა და წარვედით ეგჳპტედ. გავგზავნე ნავით ჩემი ბარგი ფიუმეს, და მე ხმელით ფოშტით წაველ, რამეთუ ზღჳთ ტრიესტით იყო ორასი მილი და ხმელით სამოცი ვერსი ანუ ცოტა რამე მეტი. რა მიველ ფიუმეს, შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ფრანცისკოს, მემკჳდრე კეისრისა, რომელიცა არს აწ

იმპერატორი (60) ავსტრიისა და რიმისა. განიხილა ქალაქი; ვიხილე, მდაბლად მომექცა; უწინარეს ჩემსა თაყუანის-ცემა იმან დამასწრა, თავისა დაავჭრა და მოკითხვა. ფიუმე არს კეთილი ქალაქი. მუნ შეკა ერთი, (რომელ-არს ქუჩა), ორისავეს მხრით სასახლე ქვითკირისა და გრძლად წარსული. გარდა ამისა არც ქუჩა და აღარც სახლი. ფიუმე ესე არს მთისა ძირსა და ზღვის პირსა, ნავთ-საყუდელსა დალმაციისასა. წყარონი მრავალნი და კეთილნი. აქა არს ერთი მდინარე, რომელსა შინა ნავნი შემოვლენ და წვრილნი წყარონი მრავალნი. ვიყავი სახლსა რომეორისასა (რომელ-არს ბერძენი). მოვიდა ნავი სტრიესთით და წარვიდა დობრო ვენედიგსა, არა-უზად წოდებულსა; და შემდგომად კვრისა ორისა, წაველ გზით დალმაციით. ღმერთმან აკურთხოს დიმიტრი ბერძენი! რა მიველ დალმაციას, კონცულომ დალმაციისამ მიმღვნა რაკი ერთი, რომელსაც ეწოდების სტაკო, რომელ-არს მსგავსი რაკისა: იქმნებოდა ლიტრა ხუთი და არა ნაკლები; თორმეტთა კაცთა მივიღეთ სადილ-ვახშმათ და კმა-საყოფელ ჩვენდა იქმნა. არაუზსა ჩემი ვლა დალმაციით ზღვით იყო: თორმეტი კაცი უსომს და ჩქარად ვლის ნავი. მესწრაფველ მიველ ნავად და წარვედით გზალადცა კეფალონიას, რამეთუ იყო ნავი იგი კეფალონელი გერასიმ გრისასი. ივნისა

(60) ესე იყო ფრანცი მეორე. ვერ გამოვიძიე, რათ უწოდებს მემკვიდრედ იოსებისა ფრანცისა. ვიცი მხოლოდ ისტორიიდამ, რომელ შემდგომად იოსებისა, ალჯდა იმპერატორობისა ტახტსა ლეოპოლდე მეორე ძე იმისა 1790-გან 1792 წლადმდე. ხოლო ფრანცი მეორე გამეფდა შემდგომად ლეოპოლდისა. პ. ი.

სა პირჳელსა კეფალონიას ვიყავი, და დღესასწაულსა პეტრე-პავლესსა ყურძენი მიიღეს ახალი (61). წარვედით ქეფალონიით და მივედით კრიტს, რომელ-არს კანდია. წყალი ავიღეთ კრიტსა. ხოლო კრიტი გსე ჭალაკი, რომელ-არს ნისი, დიდათ დიდი, ვითა კიპროსი და იტყჳან სამითა მილითა კიპროსი უდიდესი არსო. შემდგომად მწუხრისა მოვიდა ქარი და აგჳტანა ზღჳსა, ზღჳსა მას დიდსა უკიანესსა, მისირის ეგიპტის ზღჳასა. ესა საკჳრჳელი ხილჳა. ამ ქარის ამოსჳლაზედ ვერ

(61) 20 ივნისს ვიყავ ქალაქსა სმირნას, და დიდად განვიკჳრჳე სიმრავლე დიას მწიფისა ახლისა ყურძნისა და ნესჳთა. აქედამ ცეცხლის გემით წარსრული მივედ ათინას და მივიტანე ყურძენი და ნესჳ, სადაცა ჯერეთ არ არისო, როგორც მითხრეს, მოწეული. ჩჳენში თფილისს, რომელიცა არის სხჳსათა ადგილზედ უთფილესი, ყურძენი ძნიად მოიწევის 6 აგჳსტოსათჳს, რომელსაცა დღესა, ჩჳეულებისაებრ მართლ-მადიდებელთა, აკურთხევენ ყურძენსა და სხჳსათა ნაყოფთა. დიდად გამიკჳრდა, რომელ ათინას არა იყო 24 ივნისსა ყურძენი, ხოლო ლელჳ მრავლად, და ლელჳ ამა ქჳეყანისა დიდ-მარცჳლოვანი და ფრიად ტკბილი.

დაუვიწყებელად მაქჳს კეთილობა, რომლითაცა შემიწყნარა მე მეუღლემან კონსულისა ჩჳენისა პაპარიღოპულოსა. მასთან მაქჳნდა მე სადგური, სნოვაგე და ეკიპაჟი და სიცხისა ჟამსა ძნელი იყო ჩემთჳს მიმოვლა ათინისა ვრცელთა გარემოთა ქჳეით, უკეთუ არა მქონოდა მის კეთილისა გჳამისაგან ესოდენი შეწევნა. — მეუღლე ამა ქალისა, თჳთ კონსული პაპარიღოპულო, ჟამთა ამათ იყო წარსრული ს.-პეტერბურღს.

პ. ი.

გაასწრო ნავსა თევზმა და მრავალი მოაკჳდინეს; რამეთუ მჭსგავსი ბარჯისა ეპყრათ ხელში და იმითი მრავალი თევზი ამოყარეს. რა გათენდა, ვიხილეთ ქჳეყანა ხმელი ბარბარიისა, რომელ-არს მაღრიფი (62), გინად წოდებული, და მივედით ალექსანდრიას.

---

(62) მაღრიფისათჳს იხილე სხოლიო ამავე წიგნისა 40. სხუასა ადგილსა მოუხმარია ჩახრუხაძეს ლექსი ესე:

მაღრიფს დაუენენ, ჟამნი მრავალნი; აბხაზს მოსულსა, ქჳა ოქროდ ჰქონდის. § 56.

შავთელიცა კჳალადვე მოიხსენებს ამას:

ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინჳალება, მუშკს სუნნელება, შენგან მიეცა.
ყანდა-არს შაქარს, მაღრიფს ოქროს ქანს, ბარანს მარგარიტს, ეს დაფი ეცა. § 58.

ორნივე ესე წიგნნი, ლექსად ქმნილნი შავთელისა ჲ ჩახრუხაძისაგან პატივად დიდისა დედოფლისა თამარისა, დავჰბეჭდე ქალაქსა თფილისს 1838 წელსა.

პ. ი.

## მიმოხილჳა ალექსანდრიისა, ეგჳპტისა, რომელ-არს მისირი და გარემოთა მისთა.

ხოლო ქალაქსა ალექსანდრიისასა ([63]), რომელ-არს ეგჳპტიისა, არს მონასტერი წმინდის გიორგისა, სადა-ცა ხალხნი ალექსანდრიისანი მართლ-მადიდებელნი ვლიან ლოცჳსათჳს. მონასტერი არს კეთილი, ქჳთ-კირისა შენობა, ზღუდენი ანუ კედლის ყოველივე ქჳთ-

---

([63]) ქალაქი ესე დაფუძნდა ალექსანდრე მაკედონელისაგან. ქრისტიანეთა დროსა შეიქმნა იგი სატახტო ქალაქად ალექ-სანდრიისა მსოფლიოთა პატრიარხთა. მოციქულთავე დროსა იყო აქა დაწესებულ სასწავლებელი დიდი ყრმათათჳს ქრისტეს აღმსარებელთა. თჳთ მოციქული მახარებელი მარკოს იყო და-მაფუძნებელი მისი ქრისტიანეთათჳს, რომელთაცა დაბნელეს მჴცლი სიცრუითი ჰსწავლა ალექსანდრიისა, პტოლომეოსთა დროთაგან ქებული და დიდებული. სასწავლებელსა ამას ეწოდე-ბოდა ქრისტიანეთა მასწავლებელთაგან შკოლა კათაკმეველთა ე. ი. განმზადებულთა ნათელ-ღებისათჳს. აქა აღიზარდნენ დიდნი მეცნიერნი და ეკკლესიისა მოძღჳარნი პანტენ და კლი-მენტი. აქავე იყო განჰსწავლულ აღმსარებულნი: დიონისი ალექ-სანდრიელი, გრიგორი ღჳთის-მეტყჳელი, ათინაგორი და სხჳა-ნი. მეოთხესა საუკუნესა სასწავლებელი ესე გარდაიტანეს ალექ-სანდრიით პამფილიას.

ათინაგორი იყო ფილოსოფოსი ათინისა, რომელმან დაუ-ტევა წარმართობა და იქმნა მღჳდელ და მოძღჳრად ალექსან-დრიისა სასწავლებელისა. წერილთაგან მისთა მოაწია აქამდე აპოლოგია ანუ სიტყჳა, მიწერილი მარკოს-ავრელიისა იმპერატო-რისადმი რომისა, რომლითაცა მოასხენებს უსამართლოდ ქრი-სტიანეთა დევნასა წარმართთაგან, იგი მოკუდა 170 წელსა ქრისტესითგან.

კირითა შენნი და არს მას შინა ბდუმენი და იერო-
მონახნი. შემდგომად რამდენისამე ხანის წარველ
ალექსანდრიით რეშიტის ქალაქსა: მდინარით ნილო-
სით არს სამოცი მილი იტალიისა. რა მიველით მდი-
ნარესა ახლორე ნილოსისა, იქმნა განმკაცრება დიდი.
მდინარე იგი ერთვის ზღუასა; სძლევს ზღუა და უკუნ-
აქცევს მდინარეს; დაადგების ადგილსა და ქჳშა ჰჩანს და
არა წყალი. და აგრეთუე,რა მძლავრავს ზღუასა მდინარე
დაუყუდების გამო, გამოჩნდების ქჳშა საშუალ მდინარისა
და საშუალ ზღჳსა, ხოლო ნავი იგი დარჩების ქჳშასა
და ნავი შეიმუსრების. იღუწიან მენავეთ მომღუარნი,რათა
ესწრონ შეერთებულ ზღუასა მდინარესა თანა და მია-
უღონ ზღუას ნავი ნელად და მდინარეს შერთონ ნა-
ვი. იქმნა ფარუა ღუთისაგან და შეველით მდინარესა
ნილოსს.მდინარეა ფრიად კეთილი. და მიველით ქალაქსა
მცირესა რეშიტს, კეთილსა და მშუენიერსა პირსა მდი-
ნარისასა.

მისულსავე მუნ, მესმა პატრიარხისა ალექსანდრიი-
სა მმიმეთ სნეულება და სიკუდილათ მიწურუა. და მი-
ვისწრაფე, და ვიხილე დიდათ სნეული პატრიარხი დე-
რასიმოს, კაცი სახიერი, და მაკურთხა და თავზედ წამო-
კითხა შენდობისა და კურთხევისა ლოცუა. რამეთუ იყო

---

კლიმენტი, ალექსანდრიისავე სასწავლებელისა მოძღურისა
პანტენის მოწაფე, გუარით ათინელი და მღუდელი ალექსან-
დრიისა, აღსრულდა 270 წელსა ქრისტესით.

დიონისი ალექსანდრიელი, შჳლი მაღალის გუარისა და მო-
წაფე ორიგენისა, იქმნა ქრისტიანე და ეპისკოპოსი ალექსან-
დრიისა; — დიდი მბრძოლი პირის-პირ მწუალებელთა ნოვა-
ტიელთა, საბელისა და პავლე სამოსატელისა და მაღალი
მწერალი. პ. ი.

სწყულებს მისი კისრისა მუწუკითა. ვიხილე შეწუხებული. მრავალთა მკურნალთაგან ეწამლა და არა შეძლებოდარა. შემდგომად მეორისა დღისა მიიცვალა ამიერ სოფლით, სოფელსა მას ზეცათასა. და შემდგომად ამისა წარვედ ეგჳპტედ, რომელ-არს მისირი, ხოლო რუსნი უწოდებენ კაირს. ქალაქი ვრცელი; მრავალთა ხალხთა სიმრავლე პირუცლსა შუკასა ანუ ქუჩასა შეუძლებელ-არს განვლა სწორედ, არამედ გჳცრდზედ მრავლისა სულისა გამო. ხოლო ალექსანდრიისა პატრიარხისა ეკკლესია არს ორი, და მამათა სინისა მთისა მონასტერი ჯოანია და შეკრებულნი მას შინა მამანი და ძმანი პატიოსანნი. დიჭეოს,მთეოფილაკტე, პროიღუმენი და სხუანი და სინაჲსი შეკრებულებს მათი. ესენი უბრძანებენ და განაგებენ მთლის სინისასა და ყოველსა მეტოქსა მთისა სინისასა. რა მიველ, დიდათ მოწლეთ და სიყუარულით მამიღეს და კეთილად. ხოლო საშუალ ეგჳპტიისა წარმოვლის მდინარე ესე ნილოსი, რომელსაცა უწოდებენ თურქნი ბუნბარაქსა: მდინარისა ამის გაღმა და გამოღმა ქალაქნი და სოფელნი ორისავე მხრით დაშენებულნი.

ქუეყანა ესე დიდად ნაყოფიერებს ბრინჯითა, პურითა, აბრეშუმითა, ბამბითა, ლილითა, შაქრითა, კანაფითა, ოსპითა და მრავალსა ნაყოფიერებასა მოუთხრობენ ეგჳპტიისასა. და გარდა მდინარისა ამის არა იპოების. სოფელთა და ქალაქთა, ჰრწყავს მდინარე ესე ნილოსი ათსა და თხუთმეტსა ვერსტსა ველისასა, გარდატანით ნაკადულთა, რომელნიცა აღმოაქუსთ მდინარით სხუათა და სხუათა დაბაურთა ჴელოვნებითა. ხოლო კაცნი არიან ამის ქუეყანისანი გლეხნი. მუშაკობენ დიდათ ღარიბნი. ამათ უწოდებენ ფელაჰს, რომელ-არს გლეხნი

კაცნი. ამათ ართმევენ ბეგები და თავისნი უფალნი მჴა-ვალის გარდასახადსა, და ამის გამო არიან უპოვარნი და რომელნიც ართმევენ უფალნი მათნი, ისინი ფრიად მდიდარნი, და საზოგადოთ უფრო ღარიბნი ვიდრე მდი-დარნი. ხოლო ალექსანდრიით და დიმიათით, და სურით, რომელიცა-არს პირსა ზღჳსასა მეწამულისა, იტყჳან, არს შემოსავალით მილიონი ხუთი ოქროსა. ზღჳთ მეწამუ-ლით მოვლენ სუესს ნავნი, ინდით, ქაბით და მადინით. ხოლო ალექსანდრიასა და დიმიათში მოვა ევროპიით, აზიით და ელადიით, არხიპელაგით და ლევანტით. ფიხა-ლე ეგჳპტიისა ხალხნი მუშაკნი ხჳნასა შინა; დედაკაცი შებმული გუთანში ოთხნი და დედაკაცთა მათ ეჭირათ ოთხთა კეტი; უღლად-მოდებულ-ქონდათ მკერდზედ ორ-ორთა და ისე ჰსწევდენ, და ხნავდნენ; და კაცსა ერთსა ეჭირა გუთანი, ამ სახედ ვახილეცა ცხენი შებმული, შებმული აქლემი და ვირი. შემდგომად ორისა და სამი-სა საათისა ველარა სწჳდება წყალი, და სადაცა წყალი არ არის, არს ერმოს, რომელ-არს უდაბური და კაცთაგან უყოფი, და კლდეებისა და მთებსა შიგან შორის არიან მსახლობელნი, ავაზაკნი, მპარავნი, კაცის-მკჳლელნი, უმუშაკონი; თჳნიერ თხისა და აქლემისა არა ეპოებათრა. მდინარე ესე მოდის ეთიოპიით და განვლის ეგჳპტესა და თებაითსა, და მერე ერთჳს ზღჳსასა უკიანესასა. ეგჳპტე არს ცხელი და უქარის ქარი. ვენახი არ არის. ამ ქჳყანასა, იტყჳან, ღჳნო აწყენსო, და სმენ რახსა, რომელ-არს არა-ყი ანუ ოტკა და ქარი აგრილებს მცირედ სიცხესა. მდინა-რესა ამას შინა ნილოსსა დადიან გემნი და ნავნი დიდნი.

კაირს ქალაქსა, რომელ-არს მისირი, არს დედა ქა-ლაქი ეგჳპტიისა; შენობა ქჳთ-კირისა; მჳწლსა მისირსა

შინა საკჳრჳელი დიდი: იტყჳან იოსებისაგან აღშენე-
ბულსა, ([64]), რომელიცა მმათა თჳსთა განყიდეს ეგჳპ-
ტეს,(მე იაკობ მამათ-მთავრისა).—(ჩავიდა მამათ-მთავარი
იაკობ მითა თჳსითა ეგჳპტეს და დაემკჳდრნენ ეგჳპტესა
ვითარმედ გამოსჳლადმდე ისრაილთა წინა-მღომითა წი-
ნასწარ-მეტყჳელისა მოსესითა). — ყოვასა შინა
ჩემსა მყნ იქარავნეს მასირით სუესსა და მე-
ცა მათ თანა ქარავანთან გავჰყევ, რამეთუ სინის მთის
გზა არს სუესი. და ვვლეთ დღე ორი. და უდაბურ-
სა სურისასა არ იპოებოდა წყალი და მივედით ჯურღ-
მულსა მას, რომელიცა უჩჳენა ანგელოზმან აგა-
რის მესა. წყალი გემოვანი და ცივი, და ჯურღმული ესე
მრავალთა ათასთა სულთა კმა-საყოფელი. შემდგომად
სამთისა ოთხისა მივედით სუესს. სუესი ესე არს ქალა-
ქი პირსა ზღჳსასა, რომელიცა მოსემ განაპო და განვლო
ისრაილითა თჳსითა ზღჳა მეწამული. ზღჳასა ამას ამის-
თჳს ეწოდება მეწამულ: ორისავე მხრით იხედება
ზღჳა და არს ვიწრო, გაღმა და გამოღმა წითლობა აქუს
მზისაგან დამწჳარი; მიწა წითლად ჰსჩანს, და ამის გა-
მო ეწოდება მეწამული, რომელ-არს წითელი. და ვიხილე
რა, მომავონდა მრავალ-მთისა გარეჯჳრების ([65]) მო-

---

([64]) შენობათა ამათ, ნამუშაკთა ისრაიტელთაგან ფარაოსთა დროსა, ვითარცა ჰგონებენ ევროპისა მწერალნი, ეწოდება პირამიდი. პ. ი.

([65]) არსად წარმიკითხავს ესრეთი წოდება გარეჯჳსისა მონასტრისა დიდად შესანიშნავია ეტიმოლოღისტთათჳს ლექსი ესე გარეჯჳარი, რომლითაცა უწოდებს ათორმეტთა მრავალ-მთისა საქართუჱლოს მონასტერთა. შაჰაბაზისა და სხჳათა დროთა შემთხჳულებათა მოთხრობაში, რომელიცა დაბეჭდა გარდაცჳალებულმან ნიკიფორე ეპისკოპოსმან, ჰსწერია: «გარეჯჳა-

ნასტერი და წითლობნი. დავჰყავ მუნ თითჳე ორი და წავედ აქლემით, რამეთუ არა იშოვების ცხენი და არცა სხჳს ცხოველი, თჳნიერ აქლემისა და თხისა ადგილებსა ამას შინა. განვვლე ზღჳს მეწამული და მივედით მერანის წყალსა: არს ტბა მცირე, რომელიცა მოსემ დაატკბო და აღვიღევით წყალი, რამეთუ ადგილთა ამათგან სამისა დღისა სავალით იშოების წყალი, და იგიცა უშჳერი. შემდგომად კჳალადცა სამისა დღისა ვვლეთ და მივედით მეექჳსესა დღესა არაბთა ქჳეყანისა ხეობაში. შევედით ვიწროსა გზასა ქჳშიანსა და ნაღჳარევსა; ორისავე მხრით მთა დიდი და კლდენი ქარაფ-ნაპრალიანნი; წყარონი მრავალნი და არაბნი მცხოვრებნი შეეფარებიან ნაპრალსა თჳნიერ სახლისა, და აქჳსთ თავისა თჳსისათჳს ბაღი მცირე, ერთი ანუ ორი ფინიკის ხე, და აგრეთჳე რაცხე მსხალი და კაშლი. ამათ წაიღებენ მისირს და იყიდიან პურსა, ანუ ოსპსა, და იზრდებიან ოსპითა: მოხარშჳენ და გაატ·ვებენ, შესრულდება მაგრად და ჭსჯამენ, ანუ ფინიკითა იზრდებიან· ზაფხულ აქა ცხოვრებენ, და ზამთარ ველად თჳსით ცოლ-შჳლით, თხა-აქლემითა, და ჭყავსთ თჳსსა შორის აღა თჳთოს სოფელსა. ხეობა ესე მტერთაგან შეუვალია; კაცნი ღარიბნი, ავაზაკნი და ქურდნი; მრავალ-გზის სუესის ქარავანს დატჳრთულსა აქლემებით ინდისა და ქაბა-მადინის მავალთა ვაჭართა დაეცემიან,

---

რისა მონასტერი მიეცა ოხრებასა დ ჯჳარნი, სიქადულად მუნ მიმსჳლელთა ვიდრე ორასნი ადგილ-ადგილ გზისა მაჩჳენებელნი, შეიმუსრნენ მოძულეთაგან ქრისტეს სახელისა». — მოვიგონე ათონისა მთათა გზანი, სადაცა ურიცხჳნი ჯჳარნი არიან აღმართულნი თაყჳანის-საცემად დ შესასჳენებელად.

პ. ი.

და იავარ-ჰყოფენ, — არათუ ცოტასა: ხუთასს აქლემს, კიდრე ათასამდე; და აღანი მათნი, რაჟამცადა შეეფერებათ, მდიდარნი არიან. მეორესა დღესა კვლეთ და მივედ სინის მთასა, რომელიცა კალთასა მთისასა დაშენებულ-არს წმინდის ეკატერინეს მონასტერი. ზღუდე იგი მონასტრისა აღშენებულ-არს იუსტინიანე კეისრისაგან, თჳნიერ კარისა (66).

---

(66) კარი არა აქუს მონასტრისა ზღუდეთა შიშისაგამო არაბთა ავაზაკთა, რომელთაცა ეწოდება ბედუინნი. მიმავალნი თაყუანის-ცემისათჳს წმინდისა ადგილისა აღიწევიან თოკ-ბმულის გოდრით მონასტრისა ძმათაგან და ესრეთვე ჩამოიშუებიან ზღუდეთა სიმაღლითგან.

მონასტერი ესე სინაჲსა დაფუძნდა მონასტრად იმპერატორის იუსტინიანესაგან 527 წელსა, მოსახსენებელად ადგილისა, სადაცა იხილა მოსემან ღმერთი. აქა ასუენიან ნაწილნი წმინდისა ეკატერინასი, რომლისაცა გუამი ანგელოზთაგან აღექსანდრიით გარდატანილ-იქმნა მთასა ამას სინასა 307 წელსა, ოდეს მრავალნი დევნილობისა ჟამსა იმპერატორთაგან, განატარებდენ მოღუაწებასა შინა მრავალნი ქრისტიანენი.

ცრუ-წინასწარ-მეტყუელმან მაჰმად, დამაფუძნებელმან მაჰმადიანთ სარწმუნოებისა 622 წელსა ქრისტესით, მიჰსცა სინაჲსა მთისა მამათ გრამატა, რომლითაცა აუწყებს მესარწმუნეთა თჳსთა, რომელ პატივის-ცემისათჳს, ქმნილისა მისდა სინაჲსა მამათაგან მუნ-ყოფასა მისსა, ანიჭებს მჴტლთა მეფისა იუსტინიანესგან ბოძებულთა საბოძუართა და მყუდროდ ცხოვრებისა მუნ ნებასა. გრამატა ესე, დაწერილი კუფის ასოებით ტყავზედ, რომელსაცა ეწოდებოდა «ღაზელი» — დაამტკიცა ნაცულად ხელ-მოწერისა, გამოსატჳთა თჳთ მაჰმედის ხელისა ხუთ-თითიანად გამოსახულისა დადებითა. — სულთანმან სელიმ I შემდგომად დაპყრობისა ეგჳპტისა 1517 წელსაგამო-

## მიმოხილვაჲ სინა მთისა, სადაცა იხილა მოსემ წინასწარ-მეტყუელმან ღმერთი და ათი მცნე-ბა მიჰსცა მას.

მიველ რა მახლობელ ზღუდისა მის, გარდამოვხედ აქლემით. მონაზმა ვინმე ბერმან მის მონასტრისამან სარკმლით გარდმომძახა: აიოს პროთოიღუმენოს, რომლისა მეტოქიდამა ხარო? გონებდა მონაზონი თჳსად მო-

---

ჰსთხოვა სინაჲსა მამათ გრამატა ესე თჳთ მაჰმადისა და ნაცუალად მისა მიჰსცა მათ პირი მისი; ხოლო ნამდჳლი დაჰსდუა კონსტანტინოპოლეს საღაროსა შინა თჳსსა და გაასცა მასთან მცირედნი ბეწუნი მაჰმადის წუერისა. **1810** წელსა, ოდეს სომეხნი მეცადინებდენ ქრისტეს საფლავისა წართმევასა ბერძენთა ჴელთაგან, მაშინ მაჰმადიანთა თურქთა წარიკითხეს გრამატა ესე და მით შეურაცხ-ჰყუეს სიცრუისა დავა სომეხთა.—იეროთეოს-მან არხიეპისკოპოსმან თაბორისა და აწ პატრიარხმან იერუსა-ლიმისა წარმიკითხა გრამატა ესე კონსტანტინოპოლეს (**1849** წელსა), თარგმნილი ბერძულსა ზედა ენასა. — ნაპოლეონმან **1798** წელსა **19** დეკემბერს, მისრულმან ჯარით ქუემოს ეგჳპ-ტეს, მუნ, სადაცა არიან წყარონი მოსესნი, უბოძა მისრულ-თა მისდა სინაჲსა მონასტრისა დეპუტატთა გრამატა თჳსითა ჴელ-მოწერითა, რომლითაცა განუთავისუფლებია იგი ყოველი-საგან გამოსაღებისა და ხარჯისა. მწერალი მისი ბურიენი ჰს-წერს, რომელ ნაპოლეონმან მიჰსცა წერილი ესე: «პატივის-ცემისათჳს წმინდისა წინასწარ-მეტყუელისა მოსესსა და ისრა-ილთა ერისა, მოსახსენებელად ძუელთა წარსრულთა საუკუნეთა და პატივად თჳთ სინაჲსა მთისა სამხოლოჲსა, სადაცა ჰსცხოვრებენ მჰსწავლულნი და განათლებულნი მეცნიერებითა გუამნი შორის უდაბურთა ადგილთა, გარემოცულთა მტერთა და ავა-

ნასტრისა მმათაგანსა, (მეტოქი ეწოდება, სადაც თავისი ბერი ჰყავსთ, მამული და შემოსავალი აქჳსთ, მოსრულსა). ხოლო მე ვუპასუხე: არა ვარ პროთოიღუმენი, მე ვარ პროსკანიმატი, (ესე იგი თაყუანის-მცემელი), მე მოველ მონასტრისა და წმინდათა თაყჳანის-საცემელად. მესწრაფლ მიპასუხა: ვიცით, და მოგჳესმა თქჳენი ამბავი: მივიდა დიკეოზისა და შემოჰკრბენ მამანი და ძმანი, გარდმოუშჳეს თოკი და დავჯექ, დაატრიალეს საჳეტი ერთი. ესრეთ ეხჳეოდა თოკი საჳეტსა მას, და აღუჳანებულ ვიქმენ. სიმაღლე ამის ზღუდისა არს ფრიად მაღალი, არა რომელიმე კიბე არ შეჰსწჳდების. რა მნახა დიკეოს, მოვიდა თაყჳანის-ცემად ჩემდა, არა მიუშჳ და ამბორს ვუყავი პირსა მისსა და მესწრაფლ შემიმღჳნენ გალობით და შევედით ეკკლესიად, და თაყჳანის-ვეც მცირესა კუბოსა, რომელსამე ნაწილსა წმინდისა ეკატერინე მოწამისასა (67), და სხჳათა ხატთა დიდათ შემკულთა. და რა განჯსჳენე, მთხოვეს წირჳა და იერომონახისა და იეროდიაკონისა კურთხევა, რამეთუ მოუ-

---

ზავთაგან ». — მოადგილემან ნაპოლეონისა ღენერალმან კლებერ, სინაისა მთისა მამათა თხოვითა, წარგზავნა კალატოზნი აღსაშენებლად აღმოსავლეთის მხრით დაცემულისა ზღუდის-ქედლისა. პ. ი.

(67) კუბო ესე არს კარარის მარმარილოჲსა. იმპერატორისა პეტრეს დაჲმან ეკატერინა ალექსის-ასულმან, წარგზავნა შუნ-ვეცხლისა მოოქროვილი კუბო ერთის საჟენის ოდენი სიგრძისა და არს ძჳრ-ფასად დაცული მონასტრისა სალაროსა შინა. თავსა ზედა ამის კუბოსსა არს ამოჭრილი სახე თჳთ დიდისა მოწამისა ეკატერინასი.—მრავალნი არიან ქართუჱლთა და სხჳათა მეფეთაგან შეწირულობანი მონასტერსა ამას.

პ. ი.

წერათ დიკეოსს და სხუათა სინაკსტთა ჯოანით (68): მოვა-
არხიერი იონა მიტროპოლიტი გურჯისა, და რომელთაც ჰსურდესთ ჴელ-დასხმა და კურთხევა აკურთხებინეთო. და მორჩილ ვექმენ თხოვასა მათსა; ვჰსწირე დიდსა ეკკლესიასა, და მეორესა კჳრასა ვჰსწირე ადგილისა მას საწირუელოსა სხუასა, წინარე დიდისა ეკკლესიისა.

აქავე ეკკლესიასა, ადგილსა მას მაყლოანსა, სადა ცეცხლი ეგიდებოდა და არა შეიწუებოდა, ვითარცა იხილა მოსე წინასწარ-მეტყუელმან; არს ტრაპეზი წმინდა და ეკკლესია დაოვენილი. მიმსულელი განიხდის ფერხთა საცმელსა და ისე შევალს, დამწირუელიცა განიხდის და ისე ჰსწირავს; რამეთუ ჰრქუა ღმერთმან მოსეს: «განიხსენ ხამლნი ფერხთა შენთანი; ადგილი ეგე წმინდა-არს, რომელსა შენ ჰსდგეხარ». და ემკაცრჳან, ვერავინ შევალს ფერხთ-ცმული. და კუალადცა სხუასა კჳრასა ვჰსწირე კათოლიკესა ეკკლესიასა, (რომელ-არს სობორო), წმინდის ეკატერინე მოწამისასა, და ვაკურთხე დიაკონი და მღუდელნი. მონასტერსა ამას შინა არს წყარო იაკობისი, კეთილი და გემო-ცივანი, და განჯუ-სუენე თთუესა ერთსა; და შემდგომად ამისა წარველ მთასა მაღალსა, თხემსა მას მთისასა, და მივედ რქასა მთისასა. აქა წყარო კეთილი; საშუალ მთისა ეკკლესია ნათლის-მცემელისა. და რა მცირე ჴვლეთ, ადგილსა მას მივედით, სადაცა მოსემ ჴელნი განიპყრნა ჯუარის-სახედ და დაჰსცა ამალეკი. ძირსა მას მთისასა ვაკე, და ნაომარი

(68) ჯოანია არს მეთოქი სინაისა მთისა, ეგჳპტისა ქალაქსა კაირს.

პ. ი.

ამალეკოსაგან, ქჳშა პალასტ-მინდერიანი. და რა მივახლოვ-დით მთასა ამის თხემსა, კიბე ქჳთა დაფენილისა და ბჭე-კარისა ანუ ალაყაფისა, უწინარეს ჟამისა მდგარა მღ̂დელი ოლარ-მოსილი, და რომელნიცა თაყვანის-მცემელნი მივიდოდნენ მთისა ამას, სადაცა იხილა უფალი მოსემ, და ელაპარაკებოდა, თაყვანის-მცემელნი ადგილისა ამის პირუწლად აღიარებდენ აღსარებასა თჳსსა, და მერმე აღჳდოდენ. სადაცა იხილა უფალი მოსემ მთისა ამის თხემსა, არს ეკლესია მშჳენიერი, დაფენილი უცხოს წჳრილის მარმარის ქჳთა ფიგურად. არს ჟამი არა მრავალი, თურქთა და არაბთ შეუმუსრავსთ ეკლესია ესე და აღარ იწოდება, და თჳნიერ ცისა კედლებია და ისევე არს; მივედ და თაყვანის-ვეც ადგილსა მას სადაცა იხილა უფალი, და დაუწერა ათნი მცნებანი. მთასა ამას მრავალნი ეკლესიანი, საშუალ ანუ რქისა ანუ მარს კალთასა მოვიხილე, და მივედ. ორმეოცთა მოწამეთა ეკლესიისა წყალი ფრიად კეთილი, მომდინარე ვითა ერთი ნაკადი, და ბაღი მონასტრისა, და მცუწლი მონასტრისა ამის და ბაღისა არს არაბი. ჩემნი თანამოგზაურნი იყჳნენ იერომონახი და დიაკონი და სამი კაცი სხჳა, რომელთაც ეკიდათ საზრდო ჩჳენთჳს, და თავისა თჳსისათჳს: მღ̂დელ-მონაზონს ვაწირვინე.

მეორესა დღესა გათენებისავე შევუდეგ მთასა მას, სადაცა წმინდის ეკატერინას გუამი მოიტანა ანგელოზმან თხემსა მეორესა მთისასა, და უმაღლესსა სინა მთისაგან, და უწოდებენ მთასა წმინდისა ეკატერინესსა. და არს ადგილსა ნიშანი, სადაც დებულა გუამი წმინდისა და მცირე ეკლესია მთისა ამის თხემით, იხედება ზღჳსა პირსა ინდიისასა, ანუ მეწამულის ზღჳსასა. აქაა

ხენი იგი ფინაკთანნი, სადაცა ისრაილთა დაიბანაკეს-მუნ ეკკლესია და მღჳდელნი ქრისტიანენი ცოლ-შჳლითა-და შემდგომად ამის ხილვისა, ჩამოვედით მირს წყაროსა კეთილსა და განჳსუჱნეთ და მივიღეთ საზრდელი, რამეთუ ჩუჱნი სლჳა იყო ქუჱითა. და მივედით ლოდთან, სადაცა ჰსცა კუჱრთხი მოსემ კლდესა და გარდმოადინა წყალი და აწ არს ნიშანი, და მოვედით ხევსა, სადაცა დაინთქნენ დათან და აბირონ. ხევი ესე არს ნაღუარევი, და ქჳშიანი. ამა პერიპატობასა ჩემსა, რომელ-არს ქუჱითი სიარული, შემემთხუა არაბთაგან განსაცდელი: არაბი მოვიდა გუნდითა ერთითა; რა სიარული ჩემი ნახა, ადგილებსა ამას, გჳთხრა რამდენისამე თეთრისა გარდახდა და განთავისუფლებს ჩემი და მონასტერში წარსულა. ესე რა ესმათ ჩემთანა მყოფთა ბერთა, გჳცნობეთ მონასტერსა შინა მყოფთა დიკეოსს იკონომოსით. იმათ განსაზღურეს, ილუმალ წარსულა შუადამისა ოდენ ჟამსა, და კარსა მცირესა საიდუმლოსა შესულა. კარი ესე მცირე არს რკინისა განსავალი მტილით და საფლავსა მამათასა და ეკკლესიასა. სადაცა არს მტილი, მტილსა მას შინა ეკკლესია სამარხი. მერე ვისწრაფეთ და გარდავხედ ზღუდესა მტილისასა, და მივედით კარსა მას ზემოხსენებულსა, და მიგუჱლოდენცა და განახუნეს კარნი და შევედით მონასტერსა მას. თთუჱ ოთხი მუნ დავყავ, და ვხედავდი არაბთა მოსულთა: რომელნიმე ითხოვდენ პერანგსა, რომელნიმე პურსა, რომელნიმე სარტყელსა, რომელნიმე ნემსსა და ძაფსა, და სხუათა ნივთთა. იყო ყოველივე მზათა, და უყრიდა სარკმლითა იკონომოსი, სამარადღეოთ აგოშკაში ყოველთჳს; და ამით ამშჳდებენ არაბთა. აქა დანთქმულ-არს არაბთა შორის მო-

ნასტერი ესე და არა იპოება არცაღა ერთი ქრისტიანე. იტყჳან მოიყჳანნა კეისარმან იუსტინიანემ მართლ-დებელნი ათას-ხუთასი კომლი ურუმელით, რათა დენ მონასტერსა და არა მძლავრობდენ თურქნი ა- ხოლო აწ ისინიცა თურქ-არაბნი შეიქმნენ, და იტყჳ თავსა თჳსსა ყმად, და ძჳჱლადგან კუთჳნილად თჳ- მონასტრისა (69); და ისინიცა ავაზაკნი და მპარავნი. მონასტერსა ამას აქჳს ბაღი მსხალისა და ვაშლისა არა-ბეთშია თექჳსმეტი და ისინიცა უვლიან და უზიდჳჱნ მონასტერსა ნახევარსა. მონასტრისა სიახლოვეს არს კარსა საიდუმლოსასა, ბაღი კეთილი, სანუგეშო მამათა, ხართუთითა, ლეღჳთ, ატმით და უურძნითა. თოჳჱსა სამ-სა ეყოფვათ ღჳნო ბაღისა ამის ამ მონასტერსა. პური, ღჳნო, ზეთი, ერბო, ბრინჯი, ტანისამოსი და რაჲცა ესაჭიროებათ, მოსდისთ კაიროდამა, (რომელ-არს მისი-რი). ხოლო მისირსა არს მონასტერი ჯოანია, და ისი-ნი განაგებენ სინისა მთასა და ყოველსა მეტოქსა და თევზსა ზიდვენ რაითიდამა. ხოლო რაითს არს ქალაქი, რომელიცა მოვიხსენე პირსა ზღჳსა მეწამულისასა, და ახლორე მადინი და ქაბა. ამითჳჱ ზღჳთ მოვა ინდოთ ნა-ვები, აღჳსებული და ქალაქსა ამას არს ეკლესია და ბე-რები და ბაღი ფინიკთანი მონასტრისა სინაიტისა; და თევზი მოვა შემწჳარი მრავალი ყოველს დღესასწაულ-ზედა, დიდათ კარგი და გემრიელი. და პური მოაქჳსთ, წელიწადში ხუთასი აქლემი დატჳრთული. ამათი ხარჯი,

(69) ესრეთ ჰსწერს ალექსანდრიის პატრიარხი ევტიხი-, რომელიცა ჰსცხოვრებდა IX საუკუნესა.

პ. ი.

რომელ-არს წარსაგებელი არს არაბთა ზედა, იტყჳან, [illegible]ოცი-ათასი რიალისა. რიალი არს რუბლ-ნახევარი ანუ [illegible] და სამი აბაზი. ხოლო მონასტერსა ამას შინა [illegible]სამოცი ანუ სამოცდაათი მონაზონი, და არიან შემ-მწყჳდეულნი. თჳნიერ საიდუმლოსა ამის კარისა და მტი-ალისა, შეუძლებელ-არს კარში გამოსჳლა. ვნახე მონა-ზონნი ოცდაათისა და ორმოცისა წლისა, მონასტერსა შინა მცხოვრებნი და არა გამოსულნი გარეთ, თჳნიერ მა-მათა სასოფლო მტილსა შინა. მონასტერსა ამას შინა არს ოცდა-ოთხი სამწირჳმლო და ჯამი ერთი, ესე იგი (მეჩეთი) თურქთა სამლოცჳმლო. თთჳესა ერთსა მოვა მოლა, აიყჳანენ, ღამეს და-ჰყოფს და წავა ნიჭითა და საჩუქრითა დიდითა, თჳსისა შესაფერითა.

შემდგომად ათჳსა ოთხისა წამოველ სინა მთით სუ-ესსა. ქალაქი სურისა მცირე და არა მდიდარი. არს ერთი ეკკლესია მართლ-მადიდებელთა. წყალი არა კეთილი, და არაფერის მოსავალი, ცხელი და ფესოქიანი. წყალსა ზი-დჳენ ვერსით ოცით და არა კეთილი. ზღჳა შემო-ვა შუადამეს უკან და წავა შუა დღეს უკან, სამოც ვერ-სამდინა და გამოჩნდება ქჳშა. ვით ვენეციასა, აგრეთვე ამა ადგილსაც ისე რაცხე ზღჳს მოსჳლა და წასჳლა. შემ-დგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ქარავანი აქლემთა მრავალთა ათას-ხუთასი ერთი და ხუთასიც ერთი და ბე-გი ერთი კოლაუზი, გუნდითა ერთითა, და არა მრავა-ლითა. აღტჳრთნეს აქლემნი საკლმითა, ყავითა, შა-ლითა და სხჳსა ნივთითა. ვკლეთ და მოველ მისირს კჳალად. დავჱსდეგ ჯოანსა შინა და მა-კურთხებინეს ნეოფიტე არხიმანდრიტი მედჳრევი-

ნისა (70) და განისტუმრეს საქართჳელოში, თჳსსა მე-
ტოქში. მუნით წარმოველ მისირიდამ ალექსანდრიას-
სამი ტყჳე წამოვიყჳანე და ორი ბერი (71). ალექსან-
დრიას ვიშოვე ნავი წარმავალი დობრი ვენეტიკში. ჩავ-
სხედით და განვლო დღემან თჳრამეტმან არ გჳხილავს
ხმელი თჳნიერ ცისა და ზღჳსა; გარნა იყო კაი ჰავა, და
სიარული წყნარი.

შემდგომად თჳრამეტისა დღისა მივედით როდოსს
ჯალაკსა. ქალაქი არს როდოსი დიდი და მშჳენიერი,
ყოვლისავე ნაყოფითა ნაყოფიერი და შესავალსა მას
როდოსისა, ლოდი ქჳსა აღმართული მეგლად და გამო-
ყჳანილნი სახენი აღნთებულნი, მასაჩინოვე გზისა მის
ნავთ-საყუდელისა, რომელსაცა მოუთხრობს ყოველი
ისტორია. ხოლო ქალაქსა ამას შინა არს მიტროპოლი-
ტი ერთი, ქალაქნი და სოფელნი ოთხმოცი. ჯალაკი ვე-
თილი და ნაყოფიერი; ვენახი მრავალი და ღჳნო მძიმე;
თჳნიერ წყლისა შეუძლებელ-არს ამ ღჳნის დალევა. და
ავიღევით ბაქსიმატი, ღჳნო და წყალი და კჳალადცა შეა-
ცურეს ნავი უკიანესა. რა მივახლოვდით კრიტსა, ნა-
ხა მენავეთ მოძღჳარმან მოგზაური მაღრიბით, ესე იგი
კანით, დიდად მცირე ნავი და შეუშინდა მენავე ჩუე-
ნი და მენავეთ-მოძღჳარი. მას ეგონა მალტიისით ყურსან-

(70) ესე სოფელი ქართლს, მჳწლთა მეფეთაგან არის შეწი-
რული; გარდა ამისა ქალაქსა თფილისს დუქნები და მათთან
მეთოქი სინაისს მთისა წინამძღჳრისა და ეკკლესიაცა წმინდი-
სა ეკატერინასა სახელსა ზედა, რომელიცა სიძჳელისა-გამო
დაიქცა და აწ სამირკჳლით ახლდება შენობა მისი. პ. ი.

(71) ერთი ნეოფიტე სინა მთისა არხიმანდრიტი და მეორე
დიაკონი მისი გერვასი. პ. ი.

დი. გაუშვა; იგრძნეს: რიდი რამე ჩუენ აქუთ მენავეთა და შიში და ჴღამაღლნეს ხმა თჳსი; იძახეს მაღლითა და დიდითა ხმითა: ჩუენ მენი მშჳდობისანი ვართო და არა ავაზაკნი და თავისა დამსხმელნი. და გამოაბრუნა ნავი, რამეთუ მენავეთ მოძღუარი ჩუენი უმაწჳლი კაცი იყო და საქმისა გამოუცდელი, რამეთუ არაუზელი იყო; ხოლო არაუზელნი არ შეირაცხჳან მამაცად; იმათი მიდრეკილობა არს ნავით ვაჭრობისა.

მივედით მორას რომელსამე ადგილსა ქალაქსა მცირესა ათონისა, და ტასხტისა ათონის (7²) ეპისკოპოსისა, წყალი ავიღეთ და გუესაჭიროებოდა. წარვედით და მივედით დობრი ვენეტიკში, რომელსაც ეწოდების არაუზალიმანი კეთილი, და ციხე მაღალსა ადგილსა ზედა დაშენებული ქჳთ-კირისა. ქალაქსაცა მას შინა შენებულება ქჳთ-კირისა. პირსა ზღჳსასა და მთისა ძირსა მავრო ფუნოსი, რომელსაც რუსნი უწოდებენ ჩორნა-გორასა. მთას იქით ზამნა და ამერით დობრი ვენეტიკი, კლდიან-რიყანი, მივენილი გუერდობზედ. მცირე მოსახლენი თავისის ვენახებითა და მთას იქით ჩორნა-გორა და ზამნა. ქალაქისა ამის გარეთ მსახლობელნი ხალხნი სახლობენ. ნაყოფიერია ღჳნითა და ხილითა. თჳთ თავით თჳსით მოუგია დობრი ვენეტიკობა. ადგილი კეთილ-ჰაეიანი და კარგათ შემკული; გზანი დავენილნი და შემკულნი და მოიგო დობრობა, რომელ-არს კარგი. შეგჳაყენეს კარანტინში, რომელიც მდებარეობს წარმავალთან მას ხალხ-

(7²) ათონისა ეპისკოპოსისა ტახტი არის ქალაქი ერისო, ვითარცა აღვჴსწერე ტიმოთეს მოსილუჳაში გუერდი 82. ან რომელსა ადგილსა დ ქალაქსა უწოდებს მოგზაური იონა ტახტად ათონის ეპისკოპოსისა, არა ვუწყი. პ. ი.

თანა და დააქჳსთ წინაშე კარის ჩჳენის მამრნი ანუ მდედრნი თავზედ შედგმით თარფითა ანუ მოწნულის ლაკნითა, შოთი, პური თეთრი, ნადები, მაწონი, ატამი, ყურძენი, ლეღჳ. ხოლო თთჳესს აგჳსტოსს გამოარჩევს რესპუბლიკა მეფესა ერთსა. მართლ-მადიდებელთა-არს ეკკლესია ერთი და სხჳანი ლათინთანი. შემდგომად კარახტანის წარმოველ ზღჳთ დალმაცია, დაყოფილი ზღჳს სტოები, შემოსული ვითა დიდრონი მდინარენი, და მას შინა ჭალაკები, ქალაქი, სოფლები. ნახევარი ხალხი მართლ-მადიდებელთა, და სხჳა ლათინთი. მიველ ქალაქსა კეთილსა და თაყჳანის-ვეც მთელსა გჳამსა სიმეონ მიმქმელისსა (73). დალმაციისა უფრორე ხალხი ხმელით მესამდღჳრე უნგარისა და ბოშნისა და მოველ ფიუმეს. რა გამოვედ ხმელად, მადლობა შევჰსწირე ღმერთსა და თაყჳანის-ვეც დამბადებელსა, რომელმანცა მიხსნა ზღჳსა დანთქმისაგან და ავაზაკთაგან და აღუარე აღარა სლჳა ჩემი ზღჳთ და განუსჳენე ზღჳს რყევისა და შეწუხებისაგან. შჳდმან წელმან განვლო და მერჳეში გარდავდეგ (74) და განვთავისუფლდი

---

(73) წმინდანი ნაწილნი სჳმეონ ღჳთივ-მიმქმელისა არიან დალმაციისა ქალაქსა ზადრას.

პ. ი.

(74) აქედამ ჰსჩანს, რომელ მიტროპოლიტი იონა წარვიდა საქართჳელოდამ 1783 წელსა; მაშინ ოდესცა საქართჳელო შევიდა რუსეთისა მფარჳელობასა ქჳეშე და დაიწერა შეკრულობითი წერილი (ტრაკტატი) შორის იმპერატრიცა ეკატერინა მეორისა და ირაკლი მეორისავე.

პ. ი.

ზღჳათა ვლისაგან. ფიუმიდამ სტრიესტს ვიყიდე კარეტა, და წამოველ ფოშტით. არა ვლიან ვითა რუსნი. დიდათ მძიმეთ დადიან, და უწოდებენ ფოშტასა. და იქმნებისცა შემთხჳევა ჩქარა სიარულით.

## მიმოხილვა რომის იმპერატორის პირველისა ქალაქისა ვიენიისა და სხუათა მრავალთა ადგილებთა მისთა.

მოველ რა ვიენას, მესმა ფრანცისკოსი, რომელ-არს აწ იმპერატორი ავსტრიისა, მეუღლე მისი მიიცვალა. მეორესა დღესა მიიცვალა თჳთ იმპერატორი იოსებ (75). უფრორე წუხდენ რძლისათჳს ხალხი ამის ქუეყანისა. ქალი იყო კეთილი და მშუენიერი. და და იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნასი (76) სრულიად როსსიისა. უმაწჳლი ქალი შობასა ურმისასა ექმნა მიზეზ განყრისა, ქუე-მზიდუელისა და ქუე-მთრეველისა მტჳრისა, განყრისა ანუ დატევებისა. ხოლო ვიენა ესე ქალაქია კეთილი და ხალხი კეთილი პირსა დუნაისასა. მდინარე ესე სამ-სტოთ მომდინარეობს, რომელშიაც ნავნი დადიან. ქალაქი ესე მოზღუდჳლ-არს ზღუდითა მაგრითა და უცხოსა თხრილითა. ქალაქსა შიგან სასახ-

(75) იმპერატორი იოსებ გარდაიცვალა 1790 წელსა, ფებერულისა თთუესა. შემდგომად მისსა აღჴდა იმპერატორობისა ტახტსა ლეოპოლდე მეორე, რომელმანცა იმეფა 1790 წლიდგან 1792 წლადმდე; — და ამას შეუდგა კეისრად ფრანცი მეორე. პ. ი.

(76) ესე ბრძანდებოდა მეუღლე იმპერატორისა პავლე პირველისა და დედა იმპერატორისა ალექსანდრე I და აწ სიბრძნით-რუსეთისა ერთ-მთავრობისა მბრძანებელისა იმპერატორისა ნიკოლოზ პავლესძისა. პ. ი.

ლენი მაღალნი და ძველნი ნაშენებნი. სასახლე აქვს თჳთ იმპერატორისა მშვენიერი. ესე ქალაქი ვიენა ძველთა ცესართაგან აღშენებულია, და არს დიდად მოსაწონი კეისრის სასახლე. ყოველნი ამა ქვეყანის დიდნი კაცნი ამა ციხესა შინა ცხოვრობენ და თჳთ პელმწიფეცა. დიდი ცერემონია დღე ანუ დღესასწაული დამარხუსა კეისრის იოსებისასა ზედა, ლათინთა სამღვდელოთაგან და ჯართაგან. ქალაქსა ამას შინა ვიენას, იმპერატორი მსცხოვრებს.

დავჰყავ ქალაქსა ამას შინა თთვე ოთხი სადგომსა ბერძნისასა. ხოლო ქალაქსა ამას შინა აქუსთ ბერძენთა ეკკლესია ორი, და რუსის მინისტრისა მესამე მართლმადიდებელთა. ღუთ დროსა ჩემსა იქ ყოველსა გალიცინი კნიაზნი და ისინი უწოდდენ თავისის ენით პრინცს გალიცინსა. კაცი კეთილი და გონება გულის-ხმის-მყოფელი და სარწმუნო მინისტრი. ეკკლესია მისი გაწყობილი მღვდლითა და მგალობლებითა. მოვვლე ქალაქი და გარემემო ქალაქისა, და ვიხილე პრინც-ევგენიისა სასახლე დიდად მშვენიერი, და კეთილი შიგნიდამ ანუ გარედამ. შიგნიდამ ყოველი კუთხე სახლისა თჳთო-თჳთოსი სრულიად ხატებით შეწყობილი, მარ-თვასისა და ეცხოს პორტრეტებითა, და გარედამს ზევით გარდაჭედილი სპილენძითა და მოცურვილი ყვითლად და თავსა მისასა ანუ დაჭედილსა სახლსა, აღმართული მაღნიტი, რამეთუ ვიენის ქალაქსა შინა არს მრავალი ხშირი ქუხილი, და ცემა მეხისა; და ამის გამო რა წამოვა მეხი, მიიკრავს მეხსა მაღნიტი, რომელ-არს ანდამატის ქვა. და სასახლის წინა, მდებარე არს ბაღი, და მრავალნი აუზნი, და აუზსა შიგან შადრევნები, და ბაღსა შიგან

აღმართულნი ძეგლნი, და გამოხატულნი იგავები, და ბაღისა ბოლოსა ცხენთა სადგომი და ცხენნი დაბმულნი უცხონი და დიდათ ლამაზნი საჴელმწიფო. და ესეცა სასახლე აწცა საჴელმწიფო-არს და ცხენნიცა საჴელმწიფონი. და განვვლე ხიდი დუნაისა, და ვნახე ბაღი საჴელმწიფო საზაფხულოსი დიახ დიდი. და არს მდინარესა ორთა შუა სხჳა ტყეჲ, და მას შინა საგულავო, სასიარულო შესაქცევი. კეთილი ტყეცა და ხენიცა, და მას შიგან ჯოგნი ირემთანი, მოსიარულენი გუნდ-გუნდათა და მათ თანა ღორნი ჯოგთა, და სხჳათა ცხოველთა ნადირთანი. და მას შინა მოსიარულ-მაყურებელნი; და სკამნი მრავალნი გაკეთებულნი დასაჯდომნი და საყურებელნი. ხოლო ირემთა და სხჳათა ცხოველთა ნადირთათჳს არს მიჩენილი საზრდოჲ. ვიხილე კეთილი საქმე: კაცნი ურთიერთარს შელალეჰულნი ანუ ისიტყოებენ საჩხუბრად და უნდათ ბოროტი ურთიერთ-არსი, და რომელიცა პირჳელად ხმას გაჰსცემს, ის არის ბრალისა თანამდები; მეორე დიდად დამნაშავეც იყოს, რომელმაც პირჳელად გაჰსცა ხმა, ის დაისჯება და თავისი სიმართლე ჩაუვლის, და დამნაშავე განმართლდა. შენ რათ გაეც ხმა, აქ სასამართლო არის განწესებულიო, ეს მიეცემა. ოთხი თთჳე ვიყავ და არ მინახავს ჩხუბი ამ დიდს ქალაქშია. და საჴელმწიფოს ტახტზედა, ადგილსა ამას ციხესა არს გულაობა, შექცევა კაცთა და ქალთაგან. თორმეტიდამ პირჳელ, სიარული ერთი საათი ანუ მეტი, ყოველნი კეთილ-შობილნი და ვაჭარნი.

თჳთ მე ვიხილე ფრანცისკოს და ლავდონ ფელთმარშალი მათი მოსიარ-მოგულავნი. ზღუდესა ამას, ეკკლესია არს ბერმნისა ახალი აღშენებული, კარგათ შემკული და

მაჩჳენეს სალარო საჴელმწიფო, და მას შინა წყობილი ნივთნი: სტოლის იარაღი ოქროსი, მდიდარი თჳალი ერთი ყჳთელი, დიას დიდი, და მარგალიტი მცირედ ტრედის ვერცხლის ოდენ; გრენადირის პალატში პირამიდი და დიდად მაღალი და მსხჳლი ვერცხლისა. თჳნიერ ამისა სჳეტი ოთხ-კუთხიანი და აქჳსთ წყაროებზედაცა ანუ სასახლეს წინარე სჳეტი ქჳსა აღმართული, და სხჳანი სანახავები მრავალი, და აგრევე გჳრგჳნი შჳდი და სკიპტრები და სხჳანი სამკაულნი, რომელთაც ვერ მალ-მიძს მოხსენებად, და თჳთოეულისა სახელისა დებად. მაჩჳენებელი ჩემისა სანახავებისა წინამძღომი იყო პოლკოვნიკი, გულ-სავსე ქმნილი ჩემ-მიერ. უცხოსა კაცობისათჳს მწყალობდენ, და ბერმენნიცა იყჳნენ ჩემთანა სამღჳდელო თუ საერონი. დღესასწაულსა ქრისტეს-შობისასა და ნათლის-ღებისასა ვიყავ, და პირჳელსა მარხჳსასა წარმოველ იასით მოლდოვიაში, რომელ-არს ბუღდანი. გერმანიაში რა მოვიდოდით, სადაც რომ გამოვიარეთ, ყოველსა ადგილსა იყო სასახლე, რომელსაცა უწოდებენ ლუსტარიად, ესე იგი ტრახტირი, რომელ-არს უცხოთა სადგური, და უცხოთ მორთული სახლნი, სკამითა, სტოლითა, კრაოტ-ბალდახინფარდით და სარკეებით მორთულნი და განისჳენებს კაცი კმა-საყოფელად ოთხ-აბაზათ, სადილ-ვახშმად, რომელიცა მიერთმევა მგზავრსა წარმავალსა. იქ მყოფს თორმეტიდამ გასულს პირჳელს-საათზედ მიართმევენ, პირჳელად ოტკასა ერთსა რუნკსა და სადილათ მანესტრა, რომელ-არს ბრინჯით უცხოთ გაკეთებული ანუ მჴსგავსა მისთანა ლაბშა და ანუ სხჳა, და ამასთან ცივი და მწჳადი,

პური ჩუეულებისაებრ, და ღჳნო ერთი ბოთილკა; შემ-დგომად წყალი და საპონი; და ვახშმათაც აგ-რეთვე რაცხე. დროსა ყოფისა ჩემისასა იმ ქუეყანასა ასე იყო და ახლა არს ვუწყი, რამეთუ შეირყია ავსტრია, ფრანცუზთაგან ზედა-დასხმითა ავაზაკთაებრ. ფრანციელ-ნი საზღვარს გარდახდნენ კაცთ-მოყუარებისასა; დაიწყეს თავით თჳსით ქუეყანისა რბევაჲ და ცრცუა და ქალაქები-სა კონტრი-ბუცია, რომელ-არს თეთრისა აღება.

წამოვედით რა ვიენიდამა, მოვედით ქალაქებსა უცხოსა მშუენიერსა და კეთილსა, რომელსაც არა უწყი სახელის-დებად, თუ რა ქალაქები არის. მოვედით მორავიას. ვი-ხილე ქალაქი ერთი, შემოზღუდული ქჳთ-კირისა გალავ-ნითა, და მას ზღუდესა შიგან ქალაქი და შენობა მშუე-ნიერი, მსგავსი ევროპიისა; რიგითა სახლნი მშუენიერ-ნი, და ქალაქი არა მცირე; ხოლო ქალაქსა ამას უდის გარეშემო მდინარე დიდი, და მას შინა ვლენან ნავები-თა, და არს მტერთაგან შეუვალი. დავყავი რა ორი დღე, წამოველ და რა გამოვსცილდით, მოვედით მთასა მაღალ-სა და ტყიანსა სოფელ-უშენსა, თჳნიერ ერთისა და ორი-სა კაცისა მოსახლისა, დედა-წულითა. ტყესა ამას შინა, რა მივა კაცი, დამაშურალი განისუენებს, და ეპოებათ რაჲცა საჭირო აქუსთ მგზავრთა წარმავალთა. და შემ-დგომად, ამ საშინელისა ტყისა განვლას გუსურდა და რა განვვლეთ, გავიარეთ და მივედით სამძღუარსა პოლშისა-სა. რა ვიენიდამ წამოვედით ვიდრე მთასა ამის მირამ-დინ, იყო გზაჲ დაფენილ ქჳთა; აქეთ, და იქით ხენი მა-ჩრდილობელნი ზაფხულ. ვჰგონებ, გზასა ამას ქჳა-ფენილსა ვერსტსა შჳდასსა, მეტსა ანუ მცირედ ნაკლებ-

სა. რა მოვედით პოლშასა შინა, საბრძანებელსა კეისრი-სასა, აღგჳჩნდა ტვესოქი შორის გერმანიასა და შორის პოლშისა. მცირედ შეგჴაწყესა; მშიშედ სა-ვლელი იყო.

## მიმოხილჳა პოლშისა და სხჳათაცა ქალაქებთა.

მოვედით რა პოლშასა, ვჰგონებდით თავთა შინა ჩუჱნ-თა: ქუჱყანა ესე არცა ავსტრიაა და არცა გერმანია. გუჱ-უცხოჳა: სახლი ხით დახურჳლნი ფიცრითა, ხოლო გერ-მანიასა შინა არს რკინითა, და აგრევე ავსტრიასა შინა. არცაღა ერთი სახლი იპოვებოდა რკინით დახურჳლი, არამედ ხითა და მოვედით ლებერს [77] ქალაქსა. ქალაქი ესე კეთილი და დიდი, და შენობა ქვით-კირისა, და საზრმა-ნებელი კეისრისა მშუჱნიერი. დავჰხედეგ იოვი კურდი-ვიჩის მმის-წულისასა: კაცია კეთილი. ხუალისა დღესა კჳრიაკისასა, წარვედით წირჳსა მოსასმენად ეკკლესიასა მართლ-მადიდებელთასა, რომელიცა უპყრიათ ბერძენთა და სერბთა. მშუჱნიერია და კეთილი, შიგნიდამ გაწყობი-ლი. აქა უნიატისა ეკკლესიანი მრავალნი, რომელნიცა იყუნენ მართლ-მადიდებელთანი, და შემდგომად, არა ასის ჟამნი მრავალნი უნიატნი შეიქნენ. არხიერნი მათნი ვითა მართლ-მადიდებელთანი, და წირუა და ცერემონია ვითა ჩუჱნი და თაყუანის-მცემელნი ლათინთა პაპისა. ხოლო რომელნიცა მფარუჱლობასა რუსეთის იმპერატორისასა არიან, მოიქცენ მართლ-მადიდებელად, ვითა მდინარე თჳსსა ნავალში და ვიეთნი, რომელნიც უნიატნი სხჳსა საზრმა-ნებელსა შინა არიან, არ განიმართებიან, ვითა მაღლისა კუდი. ხოლო ქალაქსა ამას შინა არიან მრავალნი იუდე-

---

[77] ლუმბერღი.

ანნი, აღრეულნი ნემეცთათანა, რომელთაცა, თჳთ მე მი-თხრა, პასტორმა, (რომელ-არს მღუდელი ლათინთა) არა ჰსწამსთრაო ჩუჱნი, არამედ იუდიანნი უყუარსთ ხალხთა ჩუჱნთაო. და თჳთ მე ვხედევდი სმასა და ჭამასა და შექცევასა ნემეცებთანა. და იუდიანთა თანა აღრევასაცა ამბობდნენ ხშირად.

შემდგომად რაოდენისამე ხანისა წარმოვედით და მო-ვედით მდინარესა, რამეთუ ჟამი იყო თთჳსა აპრილისა, და განდიდებულ-იყო მდინარე იგი და ტივითა იყო ჩუჱნი განსჳლაჲ იქითა ნაპირსა. და იქიდამ მოსდგუ-მიყჳნენ პოლშისა კეთილ-შობილნი უცხოთ დართულნი. სარტყლებსა მათსა ვაქებ ვითა ზარბაბსა; ხოლო მე ვიტყჳ უკეთესს: არა არს ზარბაბი ეგეთი, ვითა პოლ-შისა სარტყელი. და ვაქებ ცხენთა კეთილთა, ქორ-მემე-ბარ მწევარითა, რამეთუ გამოსულ იყჳნენ სანადიროსა. ჩუჱნ რა განვვლეთ მდინარე, აღგჳჩნდენ ქალაქნი და სო-ფელნი მრავალნი, და მივედით მთასა ერთსა ტყიანსა. და რა შევედით, ხშირი იყო ტყე იგი, და რა გარდავე-მართენით და ჩავივაკეთ, ჩაქანდა კარეტა და გარდაგჳ-ბრუნდა და არცაღათუ ერთმან მიიღო ვნება. ორი ბერი იყო ჩემთან, არხიმანდრიტი და დიაკონი თჳნიერ ჩემსა. თითმან ჩემმან ივნო და განვთავისუფლდი რაოდენსამე ხანსა. ჩემთან მსხდომნი იყჳნენ ნეოფიტე, სინა მთის არხიმანდრიტი და დიაკონი მისი გერვასი. შემდგომად რაოდენისამე დღისა, მივედით მიწასა მოლდოვისასა, და ესეცა სამფლობელოსა ავსტრიისა კეისრისა ქალაქსა მცი-რესა და შენობა მრავალი საკელმწიფო კაზარმათა: (ესე იგი სალდათთა სადგომი), ანუ სასამართლოები. და არ-ხიერი ერთი მართლ-მადიდებელთა სერბისა ქუჱყანისა.

ხოლო ამას შინა სრულიად მართლ-მადიდებელნი ხალხნი მოლდავიისა, რომელნიცა უპყრიეს ნემეცისა იმპერატორსა. არს ისპრავნიკო ხუთი, (ისპრავნიკო არს თჳთო-თჳთო საერისთო ანუ სამთავრო). ქალაქსა ამას არიან სულ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიანი და ხალხნი მართლ-მადიდებელთანი. ხშირად-არს ამ ადგილებში კრება ხალხისა, (რომელ-არს იარმუკი), მსყიდჳელ-გან-მსყიდჳელთა. ადგილი ესე მთიანსა ადგილსა არს მაღალსა დაშენებული და ამა ქალაქსა ჩაუდის მდინარე პრუტა, რომელიცა განვლის სრულიად ბულღარიას, (რომელ-არს მოლდოვია), და მიერთჳს მდინარესა დუნაიას.

შემდგომად ამისა წარვედით იასსა და რა ჩავივაკეთ, მოლდოვისა ქჳეყანაში გამოჩნდენ მრავალნი უცხო ქჳეყნები და სოფლები წყლითა, მინდჳრითა, მოსავლითა, პირუტყჳთა სიმრავლითა. ხალხი ამათი ჰსჭამს სიმინდსა. ღარიბი ხალხი მოხარშავს ვითა ღომსა და უწოდებენ მამალიგას. სიმინდსა მას შინა მოხარშულსა, აწობენ ერბოში ხსნილითა, და ზეთში მარხჳოს და ისე მიიღებენ. არა-არს სუფრა ჩინებული დიდი კაცისა, რომ არ მიიტანონ სუფრაზედა ანუ ტრაპეზზედა, (რომელ-არს წინა-დაგებული ქორი), ვითა რუსნი შავსა ხლებასა. ღჳნო მრავალობს და იაფად არის და აგრეთვე რაცხე პურის იაფობისა. ღჳნო დუდუპეტშიისა-არს უკეთესი სხჳათა ადგილებთაგან.

მივედ ქალაქსა რომელსამე, და მისადგურა ბერმენმა ერთმა თეოდორემ. ღმერთმან აკურთხოს თჳთ ცოლითა და შჳლით. კაცი ესე მდიდარი თეთრითა პურითა და პირუტყჳთა და მრავლისა საქონლითა. მეორესა დღესა წარმოვედით. გამოვვლე მდინარე დნესტრსა და ესეცა მდი-

ნარე ვითა მტკუარი სადიდითა. და მოველ ქალაქსა ისა-ნსა, და დავჰსდეგ მონასტერსა ტრის-იარხის სახლსა, სახლსა ბერძენისა გიორგისასა. კაცი ესე კეთილი, მდიდარი და ვაჭართაგანი, და მას ჰყუა თჳსი არხიერი ქუე-ყანასა მაკედონიისასა. ვითა შჳლსა და მასთან ისე ვცხოვრებდი. სახლი კეთილი და უცხოთ მოფენილი მდივანითა, და დავჰყავ რაოდენიმე ხანი. ამის მერმე მოვიდა იმერეთის მეფისაგან გამოგზავნილი დესპანი ანუ ელჩი, ბესარიონ გაბაონი და სჳმონ, ბიძისა მისისა, მე, და ვჰკითხე ამბავი მოსულისა მისისა ქუეყანასასა ამას. და მომითხრა ყოველივე: უგანათლებულესის პოტემკინის აქა ყოფნა, და არხიმანდრიტი გაიოზისა, მეფის ირაკლისაგან გამოგზავნილის მდივნის სულხანის, და ისიცა დესპანი თუმანოვი და სხუანი მრავალნი, და არხიეპისკოპოსისა ეკატერინოსლავისა და პოლტავისა, და ექსარხოს მოლდოვ-ვლახისა ამვროსისა. დიდათ მიამა, რა მოვიდა გაიოს არხიმანდრიტი და ვნახეთ ერთმანერთი; გარდავეხჳენით. იტირა არხიმანდრიტმან გაიოს. და ვჰკითხე რაჲსათჳს სტირი მამაო და მმაო? მიპასუხა: სადა ვართო და სად შევიყარენითო, სადაობს და ვინაობს სულთ-ითქუნა და მეცა მასულ-თქმა.

ჯერეთ არხიერი არ მენახა ამბროსიოს, კელისა ჩემისა წულულების მიზეზის გამო, და სერგეი ლაზარევს ბიბილურის-მეს ღენერალს, კაცი ეგზავნა ჩემთჳს: შენ ჯდომა რა არის? კარეტას ჩემსას გამოგიგზავნი, და ნახე არხიეპისკოპოსიო. მე მადლობა აღუარე და შებომა კარეტა და მივედ ამბროსი არხიეპისკოპოსთანა, სიყუარულითა მიმიღო, რომელსა ჰქონდა გონება კეთილი და ლმობიერი, და მიბრძანა: თუ რამე წიგნი გაქუს პატრი-

არხისა რომლისამე? და აღუთქუ მირთმევა. და რა მოველ სახლსა სადგომსა ჩემსა, მივართუ წიგნი იგი დანიილ პატრიარხისა ანტიოხიისა. და რა წარიკითხა ათარგმნინა არხიმანდრიტსა გაბრიელს, რომელ არს აწ მიტროპოლიტი კიევისა, და კაცი ეგზავნა ჩემთჳსა: რაჲცა გესაჭიროების და თხოვა გაქჳსო გამომიცხადეო. მე პასუხი არა ვუწყი რა და არცარა ვიცი: უმჯობესი თქუენ უწყით, პასუხი ჩემი ეს იყო. და იმან იზრუნა ვითა მართებდა კეთილ-მსახურსა გონებასა. მერეთ მიესმა ჩემი იმ ქუეყანაში მისულა უგანათლებულესსა კნიაზსა პოტემკინს გრიგორი ალექსანდროვიჩს. ებრძანა ამბროსი არხიეპისკოპოსისათჳს: ქართუელი არხიერი მოსულა, და კჳრას თან წამოიყუანე და ერთათ მოდითო. შაბათს კაცი ებოძა ამბროსი არხიერსა: კნიაზს შენი ნახუა ნებავს, ხუალ კარეტასა ჩემი მოგერთმევა, დილაზედ მოდი, წირუა მოისმინე და შემდგომად წირჳსა, წარვიდეთო.

რა გათენდა დილა კჳრისა, თავისი კარეტა ცუგ-შებმული გამოეგზავნა და წარველ. რა მიველ, წირუას უკან წარვედით და შეველ სახლსა პალატსა. ჯართა მრავალთა ყრილობამა და ჯრილობამ გონებს ჩემი განანათლა, ესე ვითართა მართლ-მადიდებელთა სიმრავლემან. გამობრძანდა და თაყუანის-ვეც. მოწლეთ მოწყალეებით მომიკითხა, და უბრძანა ამბროსი არხიერსა, ჯერ-არს და თანამდებობაა ამისის ნუგეშის-ცემისა. იზრუნეს ჩემთჳს ვითა მართლ-მადიდებელთა კეთილ-მსახურთა. საუკუნოდ იყოს სავაოთ ღუთისაგან სახსენებელი მათი. რა მიველ კჳრა-ცხოვლობის კჳრაში ვიდრე ამაღლებამდინ ჯერეთ არ მეწირა. კარიდამ მოელოდენ უქაზსა

სინოდისასა. რა მოვიდა უქაზი ამაღლებისა წინა-დღე-სასწაულისასა, ებრძანებინა ამბროსის ხჳალისა წირჳა, და უგანათლებულესი კნიაზიც მოვაო.

ჟამსა ამას გაიოს ჩემთან იყო და შეექცეოდა რომელსამე ისტორიის მოთხრობასა, და ვიხილეთ კაცი იგი მომავალი ამბროსი არხიეპისკოპოსისა. კაცმან მან გამოგჳცხადა ხჳალ აქ გოლოს მონასტერში წირჳაჲ. მჰს-წრაფლიად მიეგება გაიოს არხიმანდრიტი, და აღმოიღო ქისა თეთრის თჳსის, და რაჲცა იყო ქისასა მას შინა, ჴელში ჩაუდო და გამობრუნდა სიხარულის პირითა და ცრემლ-მორეული. და ვუთხარ შენ რაჲსათჳს მიეც? მან მითხრა: მე მამს მიცემად ჟამსა ამას და არა შენ. ხჳალისად ჟამსა წირჳსასა, შევედით მანტიით ეკკლესიასა შინა. მითხრა გაიოს არხიმანდრიტმა: როგორც მინახავს წირჳა შენი ისე ჰსწირეო და მალითა ღჳთისითა აღჳასრულე წირჳაჲ, და შემდგომად წირჳსა ამბროსისთან ზაკუსკა მივიღეთ, და სადილი ექსარხოსთან მოლდოვლასხისასა, და შემდგომადცა ვჰსწირევდი.

ისსა შინა არს ჩჳეულება: ქალაქისა ისისასა უკანასკნელი კეთილ-შობილთაგანი რა მიიცვალება, არხიერმან უნდა დამარხოს. ერთმან წელმან განვლო და ჯერეთ ულუფა არა მქონდა. ვუთხარ სერგის ლაზაროვს, კაცსა გონება კეთილსა, და გულის-ხმის-მყოფელსა, და ქრისტიან-კეთილ-მსახურსა, ვითა მართებს კაცსა, მოქმედსა კეთილისასა; სრული კაცია ღჳთისა. ღმერთმან აკურთხოს ნაყოფითა თჳსითა. მე ვუთხარ: თუ თქჳენ არ იყჳნეთ და აქ მოლდოვიის პრინცი იყოს მეთქი, რომელსაც უწოდებენ მოლდოვიის ბეგსა, ანუ აფენდისა, მე ის ნუგეშსა მცემდა და თქჳენ არაფერი. გულის-

ხმა-ჰყო მოხსენება ჩემი, და მიპასუხა კარგიათ, და აგრეთვე ამბროსის ეკატერინოსლავის და მოლდოვ-ვლახ-ხის ექსარხოსს ამბროსიოსმან პასუხი: ჩემის მხრით მონასტერს მოგცემო, და კნიაზ უგანათლებულესმან იცისო. და მომცეს ათასი ყურუში წელიწადში ქალოვანის და მონასტერი ბანკრატისა. წმინდის ნიკოლოზისა პირჭყლის ეკკლესია, მდინარისა პირსა ბისტრიცისასა. მდინარე ესე მომდინარე, წმინდასა რიყესა ზედა წჳრილ-ქჳშიანსა და ადგილსა ზეით მომდინარეობს ქჳასა ზედა. კალმახ სიმრავლიანი, არს მტკჳრის მდინარესა ზედან ნაკლები და არაგჳს მდინარესა უმეტესი. სოფლები ორსავე პირზედ მრავალნი, მთიანნი და მაგარნი და მტერთაგან შეუვალნი; ხოლო კაცნიცა ამა ქუეყნისანი მაგარნი. ამათი ისტორია მოუთხრობს: რომელსაც აიყარნენ ხალხნი ვოლელები, მოვიდნენ სიმრავლე ერთა, ებრძოლეს ქუეყანასა მოლდოვისა და დაიპყრეს თჳსად; ეპყრათ ორასი წელიწადი და მთასა ამას ვერ შეუვიდნენ, და მთით გამოებრძოლეს ხალხთა მოლდოვიისათა. და შემდგომად ორისა წლისა განიხილეს დუნაისა წიაღ-მდინარისასა გადმართი მშუენიერი, და ნაყოფთაგან უკეთესი. განვიდნენ და დაიპყრეს თჳსად და აწცა სახლობენ, რომელთაცა ეწოდებათ ბულღარი, აყრილთა ვოლებებთა, და ამასაც იტყჳან სიბირიდამ წარსრულან სერბნიო.

რა შეველ ჩემის მონასტრის მამულშია და ხეობაში, მომაგონდა ქართლის ქსნის ხეობა და იმ გჳარი ადგილები. მონასტერსა პანკრატისასა, ჰქონდა ცამეტი სოფელი წჳრილი და მსხჳლი; მათ ჰქონდა ერთი, სამძღჳარ-უნგარისასა; ეპყრა კაცსა ერთსა ცხოვართ სამოვარი და თავისა ცხოვართა ამოებდა. წელიწადში მამლევდა ას

ორმოცდა ათსა ცხჳარსა ბატკნითა, ორასს რუბლს თე-თრსა, და შჳდასსა კალმახსა შემწჳარსა, და შჳდასსა ოჭყასა ყჳელსა. და ერთი სოფელი ყოველისავე მოსავლის ათის თავსა და ოთხი ათას სალიანკოსს, რომელ-არს ლოკოკინა. და კაცნი მსახლობელნი სოფლებსა ჩემსა და ყოველს მოლდოვიაშია და ვლახშიაც ასე რაცხე. ეწოდებათ გლეხთა კაცთა ცარანი და მოგცემს ათის თავსა პურსა, ღჳნოსა. ხილზედ ათს ხეში ერთი, მამულის მეპატრონისა არს. აგრე სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, თუ ყოველივე რაც მოვა სოფელში, ყოვლისავე ათის თავს მიჭსცემს, და თთუეში ერთ-ხელ უმუშავებს. რომელიც იქ თორმეტს დღეს არ უმუშავებს თორმეტს რუბლს მიჭსცემს. ხოლო გარდა ამისა კარზედაც ვერ გაუვალი და ვერც დასტუქსავ, და არც მღუცნს მოგცემს; და თუ უნდა სხუას სოფლებში წავა, ხმას ვერ გაჭსცემ. და არას კაცს ცარანსა გალახავ. ციგანნი მუჳანდა სამოცი კჳამლი. ციგანი შენი არს თუნდა გაჭყიდი, თუნდა აჩუქებ ვისმე, მუდამ ყოველს დღეს შენთჳს მუშაობს, და სასმელ-საჭმელი შენი აქუს. ესე კაცნი ციგანნი არიან ავაზაკნი, ქურდნი. აიყრებიან; უნგარიაში გარდაცჳვნილნი იქმნებიან რამდენსამე ხანსა, და ისევე გარდმოვლენ დარიბნი. ერთი სოფელი მქონდა, ივანიშტა; მოუდიოდა წყალი, მსგავსი თეზისა სიდიდით. წისქჳლი და ერთი ბერი და სახლი იყო იქ, აგრეთჳე ფუტკარი ორასი მირი, ბატი სამასი, ქათამი ვჭგონებ ექუსასი. ის სოფელი მამლევდა ოთხასს რუბლს თეთრსა, პურსა, ქერსა, ოთხი ათას კოდს სიმინდსა და რაც თივა მომინდებოდა. ჩემის მონასტრისა მომბარდა ცხჳარი ოთხ-ასი, ძროხა ას-ოცი, ღორი ორ-ასი და ცხენი მცირე. შემდგომად

ჩემისა წამოსჳლისა, დავაგდე იქ ცხჳარი ხუთას-ოცი, ძროხა ასი ოთხმოცდა თერთმეტი, ღორი ერთი ორად. მირჩიეს და მითხრეს გასყიდჳა სრულიად, და მე არა ვქმენ, ჩემის ავის სახელისათჳს, და მშობელსა ჩემსა ქჳე-ყანასაც არა ვჰკადრე. სულ ჩემი იყო, როგორც უნდა მოვისმარებდი. შემდგომად წამოსჳლისა ჩემისა, იტყო-დენ ავსა სიტყჳასა: ქართჳელი კაცი იყოო და გაყიდა ყოველივეო, და მონასტერი განცარცჳაო. ორი წელი-წადი მქონდა. იმ წელიწადებში შერიგდნენ რუსნი და თურქნი და დავანებე მიტროპოლიტსა ისისასა, რო-გორც გნებავდესთ მეთქი. ორს წელიწადში ერთხელ ვი-ყავ მონასტერსა პანკრატისასა.

მერეთ მომივიდა წიგნი, ახლა მოვიდა უგანათლე-ბულესი კნიაზი პეტერბურღიდამაო, მალე ჩამოდი მივე-გებნეთო. მჰსწრაფულად ჩამოველ, და რა მოველ, ვეღარ მოვუსწარ; ღალაიას ჩასულ იყო პირსა დუნაისასა; ხოლო ქალაქსა ღალაიას ([78]) არს სიმრავლე თევზისა. პელუ-ჟინა, ზუთხი, და ზუთხის შჳლი იქიდამ მოდის ყოველს მოლდოვიაშია. ისასა ყოვნასა ჩემსა მოვიდა ლათინთა არხიერი და თავის ეკკლესიაში მოინდომა წირჳა და კნიაზსა უგანათლებულესს ჰსთხოვა მგალობლები და მუ-ზიკანტები, და ჰსწირა თავისის ცერემონიითა, და ვითა არს ლათინთა ჩჳეულება, საკრავითა. უგანათლებულესი კნიაზი და ამბროსი და სხჳანი, მე და გრიგორი იერო-პოლის მიტროპოლიტი ვიყავით. და შემდგომად კჳრი-სა ერთისა კნიაზ უგანათლებულესმან ინება ცერემონია-ის ჩჳენება და აწირჳნა ამბროსის, მე და იეროპოლის

---

([78]) ღალაცი.

პ. ი.

გრიგოლიოსს. თჳთ მობრძანდა უგანათლებულესი, დაარიგა დილით: აჲე წამოდით, აჲე მოიქეცით. ცერემონია დაარიგა და წარბძანდა. რა ჟამი იქმნა წირვისა დაწყებისა, იცემა ზარი გრძლათ, შემოჰკრბნენ ყოველნივე, და მობრძანდაცა კნიაზი და მოიყვანა ლათინთა არხიერი გოლის მონასტერსა წმინდის გიორგისსა, საცა ჰსცხოვრებდა თჳთ ამბროსი არხიერი. მოიტანეს სამი მანტია ჩუჱნთჳს და არხიმანდრიტნი იყვნეს ექვსნი. ჩუჱნთანა მწირველნი: არხიმანდრიტი მისი, გაიოს, გაბრიელ, იოვ და გოლის არხიმანდრიტი. წავჳძღვნენ მგალობლები, იმას შეუდგნენ არხიმანდრიტნი ორ-ორნი. ამას შეუდგა ლამპარი აღნთებული ვერცხლის სალამპრითა, და იმას ჩუჱნ სამნი არხიერნი. რა შევედით ეკლესიასა შინა, შესამოსელი ახალი შეკერილი იყო ამ დღისათჳს კნიაზისაგან. რა სახარება გამოვიდა, შემოვიდა უგანათლებულესი კნიაზი საყურთხეველსა და შემოიყვანა ლათინთა არხიერი, და ყოველსავე სიტყვასა უთარგმნიდა კნიაზ პოტემკინი ლათინთა არხიერსა. ერთმა პროთოდიაკონმა სახარება წარიკითხა და ყოველივე იმან ჰსთქვა და არა სხვამან. მღვდელთა არც ერთსა არ უწირავს გარდა არხიმანდრიტისა, და არხიმანდრიტნი ექვსნი, რომელნიც წინათვე მოვიხსენე. იყო ფრიად ხალხთა სიმრავლე და ჯრილობა და ცერემონია იყო, ღირსი ხსოვნისა.

შემდგომად სამღვთოს ჟამის წირვისა, წარვედით სახლპალატსა კნიაზისასა, საუზმე მივიღეთ. და მერმე წარმოვედით სახლსა ამბროსი არხიეპისკოპოსისასა, და ამბროსიმ გვსტუმრა ქორ-დაგებული ცერემონიითა, ვითა დღესასწაული. შემდგომად ადებისა წინა-დაგებულისა,

წარვიდნენ და დავრჩით ჩუენ და რამდენიმე არხიმანდრიტნი გაიოს დადგა და თაყუანი-ჰსცა არხიერსა ამბროსის, ამისი მადლობა არ შემიძლიანო, ჩუენის ქუეყნის პატივის-ცემა რომ მოიღე, და ჩუენი არხიერი თავს დაუყენეო ბერძნის მიტროპოლიტს იეროპოლისსა. მე გაიოზს, დიდად თავის ქუეყნის ერთ-გულობაში ჩამოვართჳ და ჩემზედ კეთილ-გულ-მოყუარებად. ამბროსიმ უგო პასუხი: ხრისტე-რადი გაიე არხიმანდრიტო, იონა მიტროპოლიტი არს მოხუცებული, და იეროპოლეოს დიდათ უმაწჳლი.

შემდგომად ამისა მოვიდა შიკრიკი შუეთზედ გამარჯუებისა და მეის თანად შერიგება, რა ბინდმა ჰკრა ზარბაზანთაგან ცემა შეიქნა და სროლა. გაიცალა სამასი ზარბაზანი. მესწრაფლად გავგზავნე არხიერთან კაცი ამბისა ცნობისათჳს. ებრმანებინა სიხარულისა ამბავი, რომელიცა ზევით მოვიხსენე, და ხუალისად ამბროსიმ ჰსწირა და შეკრებულება დიდი იყო და პარაკლისის გარდახდა მუხლ-დადგმით, ლოცვჳს წაკითხუა, ჩუენის თან-დასწრებით: შემოსილნი ვიყავით. შემდგომად ამისა წავიდა კნიაზი და ამბროსი. და აკურთხეს მეჩითება და ჯამები თათარითი ეკკლესიებად, ბენდერს ქალაქსა თურქისასა, და მტირვლის შემდგომად აიღეს ქალაქი და ციხე იზმაელისა ([79]), და დიდი სისხლის დურა იყო, და სომეხნი გამოიყუანეს იქიდამა და კილის ქალაქიდამ და დაასახლეს გრიგორიოპოლეს მახლობელად დუ-

([79]) იზმაილის ციხისა აღება იქმნა 11 დეკემბერს 1790 წელსა, სადაცა კნიაზმან პოტემკინმან და კუტუზოვმან მოსრეს 30.000 თურქი. პ. ი.

ბასარის მდინარეს ნისტრისსა, რომელიცა შეერთვის ზღუასა პონტოისასა (ესე იგი შავს-ზღუასა). შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, წიგნი მოეწერა უგანათლებულესს კნიაზსა, დავგზავნა ბენდერს მე და იეროპოლეოსის მიტროპოლიტი გრიგოლიოს საკუროთხებელად არხიმანდრიტის გაბრიელისა არხიერად და მოგუამზადეს სერგის ლაზაროვიჩსა და მღივანსა მოლდოვიისასა, რომელ-არს რესპუბლიკის მათის ლოღოტეტი და სხუანი შემდგომნი მათნი; მოვუცეს კარეტები; და ორასი რუბლი თვითოსა, და ოთხმეტის ცხენი; წინა-მძღომად კეთილ-შობილთაგანი მოლდოვიისა.

იასიდამ წარმოსულნი, ჩუენ განვვლეთ მდინარე ბრუტისა. და შეუდეგით მთასა მაღალსა და ხშირ ტყიანსა, ვვლეთ დღე ერთი და მას შიგან ტყეში დავჰსდეგით. ტყესა შიგან სახლობენ მცირე სოფლები. მივედით ქალაქსა ოთომხანს. დავყავით ღამე ერთი და დილასხედ წიგნი მოგვივიდა, კნიაზ პოტემკინისაგან, მოეწერა ჩუენი უკან დაბრუნება, და დავბრუნდით, და მივედით ქალაქსა იასსა და მცირესა ხანსა მოვიდა უგანათლებულესი კნიაზი პოტემკინი, და ყოვლად-სამღუდელო ამბროსი და ექსარხოს მოლდოვლახისა და აკურთხეს გაბრიელ არხიმანდრიტი ალ-ქირმანის არხიერად, და ბენდერისადმწირა ამბროსიმ, მე და იეროპოლეოს. თვით კნიაზიცა იქ ბრძანდებოდა.

შემდგომად ამისა წაბძანდა კნიაზი პეტრებურღს, და იმის მოადგილედ დარჩა კნიაზი რეპნინი მხედართმთავარი და სხუანი ღენერალები, და ქმნეს მრავალი გამოცდა ჯარისა, რომელ-არს მანევრა ანუ წურთნა ჯარის შებმისა მხედართა. და მოლდოვიისა ხალხთაგან

იქმნა მრავალ-ჯერ შეურილობა კეთილ-შობილთაგან მა-მართა და მდედრთაგან. ხოლო წარვიდა ღალაციის მახ-ლობელად. დაბანაკებულ-იყო მაჩინსა ვეზირი თავის მხედრებითა და მხედართ-მთავრებით, რომელ-არს სარას-კარი და სხუანი თურქთა მხედრობანი სულთანისანი. და ეწყუნენ ურთიერთ-არს და ჰსძლო კნიაზმა რეპნინ ნიკოლა ვასილიჩმა, უკმო-იქცა ალაფითა დიდითა და მოიტანა ორმოცი ზარბაზანი თურქთა. თჳთ მე ვიხილე ზარბაზნები ესე (80).

და შემდგომად ამისა მოვიდა კნიაზი პოტემკინი იას-სა და ისიდამ წარვიდა ღალიისა ქალაქისა; ხოლო კნიაზ რეპნინმან დაჰსძლო ანაკოსი, რომელ-არს მცირედ მშჳ-დობა თჳს-შორის და თურქთა. შემდგომად სნეულდა მძი-მედ კნიაზ პოტემკინი ცივებ-ცხელებითა და მოვიდა იას-სა ქალაქსა შინა და განვლო ორმოცმა დღემა და არ გა-ნიკურნა. და მახლობელად იასისა არს სოფელი და ვე-ნახები მრავალი და მაღლობანი ადგილი და სასახლე მავრო-კორდატისა, მოლდოვიის ბეგისა ბერძნის სასახ-ლე, რომელ-არს ვოივოდა მოლდოვიისა, და არა იქმნარა

(80) კნიაზმან რეპნინ ქმნა სასელოვანი ესე საქმე დიდის გამარჯუებისა 28 ივნისს და დამტკიცდა პირჭულ, ღალაციის ქალაქში მშჳდობითი თურქთა თანა კავშირი 31 ივლისს და მერეთ შემდგომად გარდაცვალებისა კნიაზის პოტემკინისა, ყოვლადი მშჳდობა ქალაქსა იასს 29 დეკემბერს 1791 წელსა. ამა მშჳდობითისა კავშირისა ძალით იმპერატრიცამან ეკატერინა, მეორემან განათავისუფლა ქართლისა მეფე ირაკლი თურქთა ჴელმწიფობისაგან—ესრეთ დამტკიცდა თურქთაგან ტრაკტატი მეფისა ირაკლისა, რომელიცა ყოვლადით სამეფოთ უკუნისამდე შევიდა მფარველობასა ქუეშე და ქუეშე-ვრდომობასა რუსეთისა იმპერატორთა. პ. ი.

ლხენაჲ. მოიქცა ისსა შინა და წარვედით სანახავად მის-
სა, არხიეპისკოპოსი ამბროსია, მე და იეროპოლეტს
გრიგორიოს და ვნახეთ კრაოტზედ მწოლარე. ცრემ-
ლით ჴსთხოვა ამბროსი არხიერმან თავისა თჳსისა
გაფრთხილება და მოვლა, აქამთაგან კურნება და სა-
წყენის სასმელ-საჭმელ მიუღებლობა. და თქუა პასუხი
კნიაზმან: მნელად იქნება ჩემი მორჩენა და ამდენი ხა-
ნია და არა იქმნა ლხენა ჩემიო; სული ჩემი გებრალე-
ბოდეს და ნუ დამივიწყებო; თჳთონ შენ ჩემი მოძღუა-
რი ხარ და იცი არას კაცის განსაცდელი და უბედურობა
არას დროს მქონებია, თუ არ ბედნიერება. აგჳსტოს,
და რა გამოვედით კარსა პალატისასა, დაგჳხუდა ღენე-
რალ-დოკტორი ოვრანცუცი და ჰრქუა ამბროსი არხიერ-
მა და ჰკითხა კნიაზის სნეულებისა. იმან უიმედობა თქუა
ლხენისა. არასოდეს წამალს არ მიიღებს, რომელიცა ესა-
ჭიროება და არცა ივარგებს, არც უფრთხილდება სა-
სმელ-საჭმელსა და ახლა ჟამი გარდავიდა, და მნელის
წამლისაგან მაგისი მორჩენაო. დიდად შეწუხდა, და იქავე
დაიწყო ტირილი. რა შევედით სახლსა შინა ჩუენსა,
გული დაჯერებული გუქონდა მისის აღარ მორჩენისა. რა
შეწუხდა, თქუა: ქერსონს წავალ, იქ უფრო კარგი ჰავა
არის, იქ მოვრჩებიო. მას არ შეეძლო წარსულაჲ და
უმღერდნენ დის-წული თჳსი (81) და სხუანი მრავალნი
ნათესავნი თჳსნი, და მოაყუანინა კარეტაჲ ჩაჯდა და წარ-

---

(81) დის-წული პოტემკინისა იყო სახელით ალექსანდრა ვასილიევნა; მითხოვილი გრაფის ბრანიცკისადმი. ესე იყო დედა უგანათლებულესისა კნეინასა ელისაბედ ქსავერიევნას-ასულისა, მეუღლისა კავკასიის ნამესტნიკის კნიაზის მ. ს. ვორონცოვისა. პ. ი.

ვიდა, და დის-წული თჳსი მას თან-წაჰყუა, და შეუდგნენ სხუანი კარეტები თჳსისა ნათესავისა და სხუათა თავის ხალხისა. რა განვიდა ბრუტს მდინარესა, და განვლო და მივიდა მთისა ძირს, ველ[illegible] ვაკისასა და კეთილსა ბალახოანსა, ჰსთქუა კნიაზმან უგანათლებულესმან: ჩამამსხით გული მერევა, და მეძინებათ. დაუშალეს ქუეშაგები და მიდო ბალიშზედ თავი. ჰსთქუა: მეძინება, გამეცალენით თჳნიერ დის-წულისა. ხატი მოითხოვა. მოუტანეს, ემთხჳა, პირს დაამთქნარა, პირ-ჯუარი დაიწერა და მყის-თანად სული წარხდა, და მიიცვალა ამა სოფლით იმა სოფელსა (82). საუკუნოდ იყოს ხსენებული მისი.

---

(82) უგანათლებულესი კნიაზი გრიგორი ალექსანდრეს-ძე პოტემკინი ტავრიისა გარდაიცვალა ახლოს სოფლისა საბიენისსა, იასსის ქალაქის უეზდისსა 5 ოკდომბერს 1791 წელისა, ცხოვრებისა თჳსისა 52 წელსა. ადგილსა ამას, სადაცა იქმნა გარდაცვალება დიდისა ამის გუამისა 37 ვერსტით იასსის ქალაქიდამ, დის-წულმან მისმან გრაფინამან ა, ვ. ბრანიცკიმან აღუმართა მოსახსენებელი ძეგლი ბიძასა თჳსსა. (Одесск. Вѣстн. 1850 г, № 60)

გარდაცვალებაზედ პოტემკინისა დერჟავინმან წარმოსთქუა შემდეგი ლექსი:

. . . . . . . .

. . . . . . . .

Какой чудесный духъ крылами
Отъ сѣвера паритъ на югъ?
Вѣтръ медленъ течь его стезями,
Обозрѣваетъ царствы вдругъ;
Шумитъ, и какъ звѣзда блистаетъ,
И искры въ слѣдъ свой разсыпаетъ.

მართლ-მადიდებელი, თავის მშობლის ქუეყნის საიმპე-
რიოს ერთ-გულებისათჳს, მოკუდა უბრალოს ადგილსა.
დილას წარსრულნი იასით უკუნვე იქცნენ ჟამსა ღამისა-
სა. შეიქმნა ზართა ცემა, ყოველსა მონასტერსა, და
სხუათა სამწყოსოთა ეკკლესიისათა. და განხდა ხმა უგა-
ნათლებულესის მიცუალებისა, და უკანვე მობრუნებისა,
და დაასუფნეს სახლსა პალატსა, თჳსსა სადგომსა.
ცერემონმეისტერი იყო პავლე სერგეიჩი პოტემკინი, და

---

Чей трупъ, какъ на распутьи мгла,
Лежитъ на темномъ лонѣ нощи?
Простое рубище чресла,
Двѣ лѣптѣ покрываютъ очи,
Прижаты къ хладной груди персты,
Уста безмолвствуютъ отверсты!

Чей одръ,—земля; кровъ,—воздухъ синь;
Чертоги,—вкругъ пустынны виды?
Не ты ли щастья, славы сынъ,
Великолѣпный Князь Тавриды?
Не ты ли съ высоты честей
Незапно палъ среди степей?

Не тыль наперсникомъ близь трона
У сѣверной Минервы былъ;
Во храмѣ Музъ, другъ Аполлона;
На полѣ Марса вождемъ слылъ;
Рѣшитель думъ въ войнѣ и мирѣ,
Могущъ—хотя и не въ порфирѣ?

Не тыль, который взвѣсить смѣлъ
Мощь Росса, духъ Екатерины,
И опершись на нихъ, хотѣлъ
Вознесть твой громъ на тѣ стремнины,
На коихъ древній Римъ стоялъ,
И всей вселенной колебалъ?

ის განაგებდა ყოველსავე. და უწყის ანატომია, (ესე იგი გაკჳრა აქიმთაგან) და სუნნელებით შემურეს და იყო რამდენიმე დღე და რამდენიმე კჳრა და მოამზადეს ბალდახანი, ანუ ქოლგა; და სხჱანი ცერემონიანი, (ესე იგი დღესასწაულობითნი). და შემდგომად ამისსა იქმნა ცერემონის დამარხვისა. ანდერძი აუგეს: არხიერმან ამბროსი ეკატერინოსლავისა და პოლტავიისა, და ექსარხოსმან მოლდოვ-ვლახისა და ხერსონისა მისემ, და მეცა, და ჩემსა შემდგომად ბერძნისა არხიერმან იეროპოლელის

---

Не тыль, который Орды сильны
Сосѣдей хищныхъ истребилъ,
Пространны области пустынны
Во грады, въ нивы обратилъ,
Покрылъ понтъ черный кораблями,
Потрясъ среду земли громами?

. . . . . . .
. . . . . . .

Се ты, отважнѣйшій изъ смертныхъ!
Парящій замыслами умъ!
Не шелъ ты средь путей извѣстныхъ,
Но проложилъ ихъ самъ,—и шумъ
Оставилъ по себѣ въ потомки; —
Се ты, о чудный вождь Потемкинъ!

. . . . . . .
. . . . . . .

Потухъ лавровый твой вѣнокъ,
Гранена булава упала,
Мечь въ пол-ножны войти чуть могъ,
Екатерина возрыдала!
Полсвѣта потряслось за ней
Незапной смертію твоей!

მიტროპოლიტმან გრიგორიოს, და არხიმანდრიტთა თოთხმეტთა. განაწესეს მრავალი პოლკი მჴედართა და საშუალ დენერალნი ცხენით და ქუჩაით. ვჰგონებ ხუთს ვერსტზედ იყო ორისავე მხრით წყობილნი გუნდნი მჴედართანი. რა მოვიდა ბჭისა კარისა შესავალთან, იყო ცხენსა მჯდომი კნიაზი ვალხონსკი. უყვლა მჴედართა, დაიწყეს საგლოველისა ჴმითა საკრავთა, დასალმობად გულისა, და ზართა ცემა. ყოვლის სახლის სარკმლისა გამოსახედავი მჴრობდა, რომელს გზაზედაც განვვლეთ ქუჩასა ანუ უბანში. და რა მივახლოვდით მონასტერსა გოლისასა, ეზოსა მისსა იყვნენ მრავალ-რიგათ წყობილნი გუნდნი მჴედართანი, და მათ თანა ზარბაზანნი. და რა ანდერძი აუგევით, იყო დიდი ტირილი, და ტყება ნათესავთა, და რომელთაცა მიეღოთ ბედნიერებაჲ. და შემდგომად ამისა გაიცალა მრავალი ზარბაზანი. ჟამსა ამას მოსულ-იყო რეიზ აფენდი კონსტანტინოპოლით მშჳდობისათჳს, და დრაგუმანი მუროზი, რომელიც შემდგომად მოლდოვისა ბეგი შეიქმნა, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ზერმენი. რეიზ აფენდის და იმათ თანა გამოტანებულთა დიდათ მოჰსწონდათ ცერემონია ესე. მეორესა დღესა ვჰსწირეთ და მრავალ-ჯერ ორმოცამდის ანდერძის-აგებისა და წირჳსათჳს იყო გაცემა ოეთრისა ჯეროვნად. მეცა მომცეს ხუთასი რუბლი. შემდგომად კნიაზისა, მჴედართა თავად დაიდგინა მისავე წერილითა განწესებული ვალხონსკი. რაოდენისამე ჟამისა, მოვიდა ბეზბოროდკო მინისტრი მშჳდობისა დადებისათჳს, და მიეგება სერგია ლაზარევი, და ხრულიად მოლდოვისა ბოლიარნი, რომელ-არს კეთილშობილნი. შემოვიდა კაცი კეთილ-გონებიანი და ბრძენი,

იწყო მუჴლობასა ლავარაკი, და მრავალ-სიტყჳები. გა-
წესეს სახლი ერთი, სადაცა შეიყრებოდნენ ყო-
ველს დღესა. რუსეთის მხრით იყო, სამოილ ღენერალი,
და ერთი სხჳა ღენერალი, და სერგია ლაზაროვიჩი. თურ-
ქის მხრით რეიზ-აფენდი, და მდივან-აფენდი, და დრა-
გომანი მურუზი ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე ბერძე-
ნი. გაგრძელდა შერიგება და დაჭყჳნენ ურთიერთ-არს;
რამეთუ ნისტრის გაღმართი დუბასარი, ქერსონი, აღქარ-
მანი და სრულიად ყირიმი დარჩათ რუსთა. და ამისსა
შემდგომად იქმნა მოლევნა მადლობისა გარდახდა, და
ჭისწირა ამბროსიმან ჩჳენის თან-დასწრებითა და თანა-
წირჳთ, და განიცალნეს ზარბაზანნი მრავალნი. და იქმნა
ერთის გუნდისა ცხენოსანთაგან ყოველსა ადგილსა ქალა-
ქისასა მოვლა. ხელთა ეპყრათ რატოჲ და უმღერდნენ წი-
ნა მრავალნი მოსაკრავენი, უკრევდენ ხმასა ძლევისასა,
ნიშნისა ცემითა, რა განაგრძელეს სიხარული, იყო ბალი
და სადილი ტაბლა დიდი, (ესე იგი ქორი დაგებული)
ბეზბოროდკოისაგან, და ბილეთება შემავალთათჳს. ჩემ-
თჳსაც ებოძა ბილეთი წჳევისა. იყჳნენ ამბროსი,
მე და იეროპოლეოს გრიგორი და სომხის არხიერი იოსებ,
და უცხოსა ქჳეყნისა კაცნი მრავალნი, და ღენერალები
სრულიად და პოლშისა კავალერიანნი დიდნი კაცნი. რა
მივედით, შეიქმნა სხდომა ქორსა ზედა. მივიდა ამბროსი,
და დაჯდა მარჯჳენით ბეზბოროდკოისა და მე მიველ და
დავჯექ მასთან, და დაჯდა ჩემთანა იეროპოლეოს გრი-
გორი და იმასთან სომეხი არხიერი იოსებ ([83]). ხოლო

---

([83]) ესე იყო გჳარით ალუთა-შჳლი მსარ-გრძელი. ამან მიიღო კათოლიკოსობა ეჩმიაწინისა და აღჭსწერა რუსულად

მარცხენით ბეზბოროდკისა მოვიდა და დაჯდა ღრაფი პოტოცკი ლურჯის კავალერის მქონე (84). და შემდგომად სხუანი პოლშელნი, და სხუასა მხარესა იქ მყოფნი მკედართ-მთავარნი, ღენერალნი სრულიად რუსეთისა, ვიდრე ოთხასნი კაცნი ოდენ, და მოლდოვიისა ბოიარნი, (ესე იგი კეთილ-შობილნი). ხოლო სასმელებისა სმა მრავალი, და დროსა მრავალ-ჟამიერისასა, გაიცლებოდა ზარბაზნები. არა დიდად უხაროდა რეიზ-აფენდის ესე სიხარული. რეიზ-აფენდი არს უცხოს ქუეყნისა მინისტრი, ესე იგი განმმრახი, რომელ-არს კანცელარი. შემდგომად ამისა უკუნ-იქცნენ თურქნი, და დარჩა მოლდოვიაშია ბეკათა ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე მურუზი დრაგუმანი. უძღუნეს მრავალი და გაისტუმრეს თურქნი ნიჭითა დიდითა და აფენდი მოლდოვიისი იყო რომანს და იმის გარეშემო. და გამორჩეულ-იქმნა არხიერი გაბრიელი, რომელიცა ვაკურთხეთ ბენდერისა და აქერმანისა მიტროპოლიტად, იასისა და სრულიად მოლდოვისა და დადგინებულ-იქმნა სამიტროპოლიტოსა ნებითა ბეზბოროდკინისათა, და ამბროსი არხიეპისკოპოსისათა. იქმნა ცერემონია დიდი, თანა-დასწრებითა ბეზბოროდკისათა. შემდგომად ორმეოცისა დღისა ამოიღეს

---

აღსაარება სომეხთა სარწმუნოებისა და ამასვე წიგნსა დაურთო რუსულად თარგმნილი სომეხთა ლიტურღია, რომელიცა ერთ-წიგნად დაიბეჭდა რუსეთში. პ. ი.

(84) ესე იყო ფელიქსი პოტოცკი, ბრძენი და დიდი მებატონე პოლშელი, რომელმანცა გონიერად მსახურა რუსეთსა **1792** წელსა, ოდეს ქალაქსა გროდნას, სურვილითა იმპერატრიცისა ეკატერინა მეორისა, იქმნა სეიმი და დაუწყეს მდგომარეობა პოლშისა მმართებელობისა. პ. ი.

უგანათლებულესი კნიაზი, და გაუმმღჳანეს ქერსონის არხიერი მისე, და მიიღეს ქერსონსა. და წარვიდა ღრაფვი რუმენცოვი როსსიასა, რომელიცა იდგა მდინარესა ჟაჟასასა. და ამისად ღრაფვი ბეზბოროდკი მოემზადა სამგზავროთ; და მოვედით ყოველნივე სამღჳდელონი, გამოვესალმენით, და ჩუმთჳს ებომებიანათ არხიერი ხომხისა იოსებ: შენი აქ დგომა არს საჯობისო, შემოდი, უმჯობეს-არს რუსსია, ვიდრე თურქია და ქჳყანა მათაო; და ესე ქჳყანა თურქთა ჭრჩებათ, შენთჳს რუსსია უმჯობეს არსო. და მე ნებასა იმისას მივანდე. როდესაც წარვიდა, მიბრძანა: შენი უქაზი მალე მოვაო. მე მდაბლად თაყჳანის-ვეც და გრძლად ვისხედით. მრავალნი იყჳნენ მთხოველნი მოწყალებისა. და ადგა და ამბორი და მიჳდობა მოხსენდა ჩუენგან და წარვიდა სანკტ-პეტერბურღსა. დარჩა ჯერეთ მჴედრობა რუსეთისა იასისა და მოლდოვიასა და ამბროსიცა. ჰქონა ნადიმი და შეკრებილება და სტოლი დიდი ღენერალ-ანშეფმა ვალხონსკიმ, რომელიცა იყო თავი მჴედართა. ამბროსი და იეროპოლელი და არხიმანდრიტი გაიოს (85) და სხჳანი იყჳნენ; ქორი დიდი დაგებული. სრულიად არხისტრატნი, (ესე იგი თავნი მჴედართანი) და მოხსენებულნი ზემორე არხიერნი და არხიმანდრიტნი. შემდგომად რაოდენისამე ხანისა წარვიდნენ მჴედრობანი რუსეთისა, იასხით, სრულიად მოლდოვიით, და შევიდნენ ქჳყანასა ლეხისასა, რომელ-არს პოლშა ანუ პოლონია, და დაიპყრეს თჳსად რუსთა. ჯერეთ ამბროსი არხიეპისკოპოსი არ წარსულ-იყო, და ვჰსთხოვე ამბროსის მდინარისა პირსა

(85) ამისთჳს იხილე ამა წიგნისა ცჳწრდი 21. პ. ი.

ჟიჟისასა, შექცევა და ჩემი სადილი. და მეწჳა არხიე-
პისკოპოსი ამბროსი, და მიტროპოლიტი გაბრიელ და
იეროპოლელის და არხიმანდრიტი გაიოს, და არხიმან-
დრიტი იობ, პოტემკინი და სხჳანი არონოდისი და
ტრიარარხიტი იგულავეს, შეიქცნენ სანოვაგითა და თევ-
ზის ჭერითა, და ძოკედით არონოდის მონასტერში. და
იქაცა იყო შექცევა სულიერი. შემდგომად ამისა წარვიდა
ამბროსი პოლტავასა, და მითხოვა წარსჳლა ჩემი პოლ-
ტავასა, და მე არა ვეთანხმავე: თუ უქაზი და ბრძანება
არ მომივა, არ შემოვალ რუსეთშია მეთქი. და გავჰყევით
ბრუტის მდინარემდინ მიტროპოლიტი გაბრიელ მოლ-
დოვის და მე და გამოვესალმენით. და დარჩა სერგეი ლა-
ზაროვიჩი ისსა შინა, და ჟამსა ამას არცა ერთი რუ-
სი იპოებოდა, თჳნიერ კონცოლისა. მოვიდა სერგია
ლაზაროვიჩი სახლსა შინა ჩემსა და ისიცა გამომესალმა
და წარვიდა პეტერბურღსა, და მე მითხრა ნუ შეჰსწუხ-
დებით, უქაზი მალე მოგივაო, და დავრჩი მარტო. და
მიტროპოლიტი მოლდოვიისა გაბრიელ მეგობარ ჩემდა
იყო. და კელსა მიწყობდა ყოვლისავე თვერითა, მოლ-
დოვისა ბეგი არ შემოსულ-იყო ისსა შინა, და უთჳლი-
და მიტროპოლიტსა გაბრიელს: გამეცალე და რუსეთში
შედიო. კელმწიფესა ჩჳენსა სულთანსა არა ნებავს შენი
ამ ქჳეყანაში ყოფნა, რადგან რუსთა დაგსჳეს და იმათ-
გან ხარ კურთხეული. მიტროპოლიტი გაბრიელ უთჳლი-
და: მე რუსებმა დამსჳეს; იმათგან უნდა ავჰსდგე. არა
ივიქრობდა განსაცდელსა და ხახოება ჰქონდა რუსეთ-
ზედა, და იტყოდა: რადგანაც შერიგდნენ და კავშირი-
თი მშჳდობისა არის რუსთა და თურქთა-თანა, არა ინე-
ბებენ ჩემსა აქედამ მიცვლასა სხჳაგან. და მერუზ

ბეგმა ალექსანდრე კონსტანტინეს-ძემან, გამოუსივა არ-ნაუტი ასის ცხენოსნით, და ყოველი კარი მიტროპო-ლიტის შეკრეს; არც გამს ლელსა და არც შემსჳლელს უშჳებდენ. შემდგომად სუფრის ალებისა ვახშმის უკან ყავასა სჳმდეს, მიტროპოლიტი და ლოღოთეტოს და არხიდიაკონი, რომელნიცა ისხდნენ მიტროპოლიტთანა, და ერთი მათი მონათაგანი განვიდა ალაყაფისად, რომელ-არს ბჭისა კარი, და დახჳდა ჯარი, და არა უტევეს განსჳლად. უკუნ-იქცა და აუწყა მიტროპოლიტსა; და მცირესა კარსა წარავლინეს: განიხილე და შეიტყე ამბავი რა არის? და მოვიდა და აუწყა მჰსგავსადვე: იქა-ცა შესავალ-გასავალი შეკრულ-არსო. მაშინ შეწუხდა, და ჰსთქუა მიტროპოლიტმან: მოიწია ჟამი ჩემისა განცდისა და მჴრის-შემთხჳევისაო. შემდგომად ერ-თისა ჟამისა მოუხდნენ და დაასხნეს ჴელნი, შეიპყრეს და წარსცეს კონსტანტინოპოლის, და მიიყჳანეს პა-ტრიარხისადმი ბრძანებითა ვეზირისათა; ხოლო პა-ტრიარხი აღუთქმიდა სხჳასა ეპარხიასა, ურუმელშია ანუ ანატოლში და ანუ არხიპელაგოშია. ხოლო მან არა ინე-ბა. და მიესმა ესე ამბავი მინისტრსა რუსსიისას, მყო-ფსა სტამბოლში. მყის თანად წარავლინა კაცი და გა-მოითხოვა და მოიყჳანა თჳსთა თანა სადგომსა. მა-თისა დიდებულებისაგან თეთრი ბარტყულა წარსულ იყო და ვერ მიესწრა იასს, ყოფნასა შინა, და მინისტრმა რუსისამან ქეჩუ-ბეიმან მისცა თეთრი ბარტყულა, და იქავე ყოფასა დაიბურა, და გამოისტუმრა ნავითა ყი-რიმსა. და რა მოვიდა ქერსონსა, მიიცჳალა ამბროსი არხიეპისკოპოსი პოლტავისა და ეკატერინოსლავისა და ექსარხოსი მოლდო-ვლახისა, ყმაწჳლი კაცი და ბრძენი.

საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი და მიჰსცეს გაბ-
რიელს მიტროპოლიტსა მოლდოვისასა ეპარხია პოლ-
ტავისა და ეკატერინოსლავისა. შემდგომად ამისა მიი-
ცჳალა ამა სოფლით მიტროპოლიტი კიევისა სამუილ,
კაცი კეთილი და ღირსი ქებისა; კაცი ღჳთისა. და მი-
ჰსცეს გაბრიელს კიევისა მიტროპოლიტობა, და რამდენ-
სამე წელიწადს უკან იქმნა თავისის ეპარხიიდამ; და
წარვიდა და ცხოვრებდა დუბასარს და უბოძეს ულუფა,
ანუ როჭიკი წელიწადში ათასი რუბლი. ხოლო ჩემსა
ყოფნასა იასსავე შინა, შემოვიდა ავჳენდი მოლდოვიისა
ანუ ვოევოდა, რომელსაც თურქნი უწოდებენ ბეგსა, დი-
დისა დიდებითა და დღესასწაულობითა მოლდოვიისა
პრინცი მურუზი ალექსანდრე. და არს ჩჳეულება მოლ-
დოველთა: შეჰკრბებიან ყოველნი კაცნი ბოიარნი ესე
იგი მოლდოვისა დიდნი კაცნი, კეთილ-შობილნი; კამლ-
ზედ ერთს კაცს მოჰკრეფენ და ამას ეწოდება «ალა» შე-
კრებულებასა მათსა. და განვლენ კარეტებითა, და ცხე-
ნოსნითა მთასა მაღალსა, რომლისადგანაცა ჰხედავს
იასსა ამას მთასა ზედა დაშენებულ-არს მონასტერი.
მეუნ წყარო კეთილი და დიახ ცივი. ამა მონასტერს ეწო-
დება კალათა. მონასტერი ესე არს იერუსალიმისა, ფრი-
ად მდიდარი. და იქიდამ შემოიყჳანენ ბეგსა დიდისა დი-
დებითა, და ბეგი ზის კარეტასა ექჳს-ცხენ-შებმულში.
დიდათ მდიდარია კარეტა და ცხენნი დართულნი, და
უძღჳან ცხენოსანნი გუნდ-გუნდათ და მარქაფები მრა-
ვალნი, მძიმედ მორთულნი. (ვიტყჳ მე ოცდა-ათს მარქაფა-
სა წინარე მძღომსა). შემდგომილი კეთილ-შობილთა კა-
რეტებითა და ამა დიდებითა, მოვიდა სადგომსა თჳსსა
სადაცა ახლავან ყოველნი მოხელენი.

არს ჩუეულება: სასახლისა წინაშე დაიდგმიან მრავალნი კარავნი, და შეჭკრბებიან ყოველნი კეთილ-შობილნი და ხსჳანი, ბეგი დაჯდების, და ყაფირი-ბაში პირდა-პირ ბეგისა წარიკითხავს ბრძანებასა სულთანი-სასა, რომელ-არს ხონთქარი, და ისმენენ ბრძანებასა მისსა ენითა ბერძნულითა, თათრულითა და მოლდოვუ-რითა. შემდგომად ამის წარკითხვისა, გაიყარა შეყრილო-ბა, და იყო წჳევა ბეგისაგან კეთილ-შობილთა და იყო ბეგი დიდს დიდებასა და შექცევასა ყოველსა დღესა-სწაულსა, ეკკლესიებში სიარულით წირჳაზედ, მონასტრებ-ში რიგით და აგრეთვე ჩინებულს ეკკლესიებში, საცა სამ-წყსოიანი ეკკლესიაა დიდის დიდებითა. ცხენი და კარეტა მსგავსი საჴელმწიფო. ვიტყჳ, არას საქართჳელოს მეფესა არ შეუძლიან დიდება ესე ვითარი, ვითა მოლდოვიისა ბეგ-სა ანუ ვლახისასა. ჭყავსთ ლაშქარნი უფროროე მეფეთა ჩუენთა ზემოისა ანუ ქუემოისათა და მესხავალთაცა. იასი ესე ქალაქი, ითქმის ჯაობიან გაუშრობელი. იასის გარემემო მშუენიერი მონასტრები მრავალნი, მინა-გან ქალაქისა ანუ გარეთ დიდნი და მდიდარნი და მრავლის მამულის მქონებელნი. და ესე მონასტრენი იერუსალიმისა, სინა მთისა და მთა-წმინდისანი არიან. მოვიხსენებ ერთსა მონასტერსა, რომელიც ღ̂თისა წმინ-დისა არს საზოგადოდ ტრის იარარხიტის, საცა წმინ-დისა პარასკევასი გუამი ასუენია (86), და დიდი სასოება აქუსთ მოლდოველთ დადებული. ამ მონასტერსა აქუს

---

(86) ხსენებასა მისსა დღესასწაულობს ეკკლესია მართლ-მადიდებელთა 26 ივლისს. მოწამეობისა გჳრგჳნი მიიღო მან 140 წელსა ქრისტესით. პ. ი.

შემოსავალი ორმოცი ქისა თუმანი, აგრეთვე გალათასა; და ივერონის მონასტერსა უდიდესი და არა მცირე. ამა მონასტრების შემოსავალი მისდის: იერუსალიმსა, სინაის-მთასა და მთა-წმინდასა. ასი ჭავითა არა არს კარგი. ცივებ-ცხელებს. იცის, ვიტყჳ, საჴლის შინა არ დააგდებს ერთსაცა. წყარონი მრავალნი და კეთილნი და ცივი-გემოვანნი. გარდა ამისა არს მდინარე ქალაქისა ამის წინა-მდებარე მცირე, დამბალი, რომელსაცა უწოდებენ მახლოს, წურბელითა სავსე. მუნ მცირედ თევზი წჳრილი და ამის გამო არა კეთილსა წყავსა და არა შემრგოსა, იტყჳან. ქუეყანა ესე ნაყოფიერი პურითა, ღჳნითა, ხილითა და დიდითა იაფობითა. იაფობა ვიხილე: რუსეთის მკჳდრობა ოთხმოცი-ათასი მდგომი მოლდოვიასა შინა, და არაფერი სიძჳრე იყო თჳნიერ იაფობისა. კეთილ-შობილნი ამათნი, დიდი კაცნი, ბოლიარნი, მდიდარნი, მრავლის მამულის პატრონნი, პატიოსნად მქცევნი, კარეტით მოხიარულენი, სასახლე პალატ-ქჳთ-კირითა, მრავალთა ენათა მცოდნენი: ბერძნისა, ფრანცუზთა, ნემეცთა, იტალიისა და მოლდოვისა, და ვიეთნი იციან ენა ოსმალისა და არა ყოველთა. ესენი არიან მართლ-მადიდებელნი ჩუჱნის სარწმუნოებისანი. კაცნი და ქალნი მშჳენიერნი და კეკლუცნი, და ვიეთნი შემამქცეველნი ვითა ევროპელნი. და ტანისამოსი კაცთა და ქალთა მოსიათ ვითა ბერძნული და მოსაკრავენი მათი ფოვროს ი-ერთი ციგანნი. ესენი დიდათ განსწავლებულნი, და მოლდოვისა ენითა დამღერალნი საკრავსა. ხოლო ტბები გაკეთებულნი; მუნ თევზნი მრავალნი. შჳდს წელიწადში ერთხელ გაწყიდის თევზსა, ტბასა დასცლის და ვაჭარს მიწყიდის ორასს, სამას თუმნათა, ანუ მეტ-ნაკლებათ, რო-

ტროტ შეეყრება ტბასა. და დაცლილს ტბაში მაშენებელს თევზს ჩაუშჳებენ და ისევე მოშენდება. ხოლო კეთილ·შობილთა მოჰყავსთ პური მრავალი. ყიდიან პურსა, თივასა, პირუტყჳსა და ყოველსავე მოსავალსა, და აქჳსთ ეკონომია დიდი, და ამით აქჳსთ სიმდიდრე. თაფლი მრავლობს. პირუტყჳ, ჯოგი ცხენთა, მროხათა და ცხჳართა ევროპასა და სხჳასა ქჳეყანასა, აქედამ მიდის.

როდესაც მიტროპოლიტს დასმენ, ჩასმენ კარეტაში და ორი დიდი კაცი მოლდოვიისა მისდევს აქეთ და იქით, მამესა რახტითა შეკაზმულსა ცხენსა ჰსხედან, და არხიდიაკონი რახტითა ცხენსა-ზის და ხელთა უპყრია ჯოხი სამღჳდელთ-მთავრო, (რომელ-არს პასტერიცა). და მიტროპოლიტი ჯჳარსა-ჰსწერს აქეთ და იქით ერთა, და ყოველსა ქუჩასა ანუ თოლორცსა შემოივლის, და ქრისტიანენი თაყჳანსა-ჰსცემენ, ვითა მართებს მღჳდელთ-მთავართა ერისა თჳსისა შედგომა. ქჳეყანასა ამას თურქი არა მკჳდრობს, თჳნიერ ვაჭრისა და იმათი ადგილი-არს პანდახუ, ანუ უცხოთა სადგომი, ანუ ქარვასლა. ყჳელის ზავოდები არს და აკეთებენ კაშკავს და სხჳას ყჳელსა, და სხჳასა ქჳეყანასა წარიგზავნება. სამიტროპოლიტო დიდათ მდიდარი-არს. მრავლის სოფლებისა, და მამულებისა და ტბების პატრონი არს. მრავალი პური და ღჳნო მოყვა. სამწყსოდ აქჳს თავისი ეკკლესიის ათასი, და მონასტრები მრავალი. ხოლო მე ვერ მალმიძს აღრიცხჳად. ორი ეპისკოპოსი თავის ველ-ქჳეყვითი ჰყავს: რომანიისა და ხუსისა. რომანიისა არხიერსა აქჳს დიდი ეპარხია; არა მცირე ეპარხია-არს მოლდოვიისა მიტროპოლიტისასა, თუ არა მეტობს რომანისა, არცა ნაკლები არს. ხოლო ქალაქი რომანიისა დაშენებულ-არს

მაღალსა ადგილსა და წინარე მისა მდინარე დიდი. და ქალაქსა ამას სახლობენ ვაჭარნი, თჳთ მოლდოველნი, სომეხნი და ურიანი.

იასისა ქალაქი-არს დიდი, რომელიცა ზემორე მოვიხსენე. მას შინა სახლობენ ბერძენნი, ვაჭარნი მდიდარნი. არღასტერსა მათსა მშჳენიერნი ნივთნი, წყობილნი და მდიდარნი დუქანნი, რომელსაც ბერძულად ეწოდება არღასტერი. სახლობენ კაცნი ვაჭარნი ევროპიელნი, სომეხნი და ურიანი და თჳთ მოლდოველნი ვაჭარნი მოსახლენი, ქრისტიანენი და მდიდარნი. ამათი ვაჭრობა არს უფროსი ერთი ევროპისა ნივთითა, რომელიცა ლიფსიანის (87) ქალაქით მოაქჳსთ და ნივთს იქაურსა ჰყიდიან. ესე ვაჭარნი უდიდესნი არიან სხჳსათა ვაჭართაგან, და უდიდესი პატივი აქჳსთ. ვაჭრობენ ურუმელით ქრისტიანენი თუ თურქნი, და რომელნიმე ევროპის ნაწილთაგანიცა და თჳთ მოლდოველნი.

შემდგომად ამისა, რა რუსეთის მჴედრობა წარვიდა ქჳეყანით მოლდოვით, განვლო შჳდმან თთჳემან, და მერჳესა რიცხჳსა დეკემბრისა თჳსასა, დღესა წმინდის სპირიდონ საკჳრჳელთ-მოქმედისასა მომივიდა უქაზი და ბრძანება იმისის დიდებულებისა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა მეორისაგან, და საგზაო გზისა სახარჯო კიევამდის და კიევს ულუფა ანუ როჭიკი საგზაო: რომელიცა მოგჳციეს, გზა გეყავნ როჭიკა შენი და დგომა კიევს, ფეჩერის მონასტერში ლავრაშია. მისის დიდებულებისა მოწყალება, იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნა დიდისა, გამომიცხადა კონცოლომ

(87) ლეიპციგი. პ. ი.

რუსიასა. რა მივიღე ესე ბრძანებაა და დავფიქრდი, ვჰსჯიდი თავსა ჩემსა, განვჰსჯიდი აზრს გონებისა ჩემი-სათა: უმჯობეს-არს ყოფნა ჩემი? რამეთუ ხალხთა მოლ-დოვიისათა ვუყურებდი და მწყალობდენ. ვჰკითხე ჩემთა მწყალობელთა: წარვიდე ანუ არა? ხოლო ვიეთნი არჩევ-დენ მოლდოვიასა შინა ყოფნასა ჩემსა, და ვიეთნი რუს-სიასა შინა. და ბერძენთა მირჩიეს ესე რჩევა: უმჯობეს არს და თემელიანი რუსია, ვიდრე მოლდოვია (88). რუსეთში შესვლას მოვემზადე და ვუთხარ ჩემ თანა-მყოფთა ხალხთა, და ივანე ჩემსამეს, დანილოვის მეს, რაიცა იყოს გზისა საჭირო წარმავალთაგან და გამოვე-მზადე და წამოველ. გამოველ მდინარე ბრუტისა და მოველ ერთსა ქალაქსა მოლდოვისასა; დამასადგურეს კე-თილად. რამეთუ მცნობნი იყვნენ მრავალნი და ვუ-ყურებდიცა ხალხთა მოლდოვიისათა. და მეორესა დღესა შემოველ ეპარხიასა ხუსისასა, გარემოს ხოთინისა.

ხოლო ხოთინი ციხე არს, რომელიცა თურქთა უპყრი-ეს, და მკჳდრობენ დიდა წულითა. სამმთ̂არსა პოლში-სასა არს ეპარხია ესე ხუსისა. ტყითა და მინდვრითა უმჯობეს-არს სხვათა მოლდოვისა ადგილებთაგან. სოფ-ლები თუმცა მრავალნი, გარნა მოსახლენი არიან არა მრავალნი. აქა კეთილნი ველნი. რა გამოვიარეთ, ვი-ხილეთ უმენნი, და მოვახლოვდით ქუეყანასა ლეხისასა, რომელ-არს პოლშა, (ესე იგი პოლონია). შენობა გა-მრავლდა; სოფლები მოლდოვიისა და სხვისა ადგილებისა სავსენი ხალხითა ვიხილე. ეპარხიასა ხუსისასა, არს

(88) თემელიანი, ესე იგი საძირკვლიანი, ანუ ბინიანი და უმჯობესად საიმედო. პ. ი.

აქა-იქი სოფლები და ჭშის-კოშკისი ხუსისა რაცხამს ეკ-
კლესიასა ტრიხოლისს ორასსა, და არა მეტსა. მიზეზი-
თა ამით დაუდგრომლობა არს და შფოთი, და ომი თურქ-
თაგან რუსეთისა ანუ ნემეცის შორის (Sic). და ესენი მესამ-
მღურენი არიან და ამის გამო უმენნი. ხალხნი
ამის ადგილისანი, მარადის განუსუენებლობასა შინა არიან.
ხოლო მიწა ესე არს კეთილ-პოხიერი; მთა და მინდორი
შემკული ბალახ-ყუავილ სუნნელებითა, და უცხოსა წყლითა.
პირსა ნისტრასა არს ქალაქი მცირე, დაშენებული
მოლდოვის მხრითა, მოგილევი და მბრძანებელი ამისი
მოლდოვიისა ბეგი. და გამსა სხჳსა ქალაქისა მოგილევი
დიდი პოლშისა, პირსა ნისტრასა, და განვვლეთ მდინა-
რე ნავითა, და შევედით ქალაქსა მოგილოვისსა. და დავ-
დეგ მეტოქსა მთის-წმინდის ათანასი ათონელისასა,
რომელთაცა აქუსთ ეკკლესია და კელიები და ჯუროანი
შემოსავალი. მოვიდნენ ქრისტიანენი და მთხოვეს პრო-
თოიღუმენისა არხიმანდრიტათ კურთხევა, და დავუმორ-
ჩილე ქრისტიანეთა ქალაქისათა. და მოუწოდეცა პროთო-
იღუმენსა დავითს და ვარქუ: ეპარხის სხჳსა, და მე უცხო-
კაცი, როგორ შეიძლებ? და მიჩუენეს წიგნი მთა-წმინ-
დის მამათაგან და სხუათაგან ადგილებთა წმინდისა-
თა: უკეთუ შეგხუდესთ მღუდელთ-მთავარი და საჭირო
იყოს დიაკონი ანუ მღუდელი, და იღუმენი, და არხიმან-
დრიტი, თხოვნითა მათგან ეკურთხოს. და რადგან მთხო-
ვეს ქრისტიანეთა, დღესასწაულსა ქრისტეს-შობისა-
სა ვწირე და ვაკურთხე არხიმანდრიტად დავით.

ჯერეთ რუსებს არ ეპყრათ მტკიცედ პოლშა. დიდათ
კარგათ დამხუდნენ ქრისტიანენი, რომელნიცა სახლობენ:
ბერძენნი, სერბნი და მოლდოველნი, და აქუსთ თავიან-

თი ეკკლესია ესე, რომელიცა ზევით მოვიხსენე. და წა-
მოვლე ჭოგილევიდამ და გამომეჴნენ ქრისტიანენი, დი-
დის პატივით და სიყჳარულითა და გამომყჳნენ. მთისა
ამის მირსა მოგილევია და იქიდამ წამომსჳლელთა უნდა
შეუდგნენ მთასა და რა ამოვი და გავაკლებას, ველით და
ტყითა ვითა მალა-როსსიის მდებარეობასა, და გამოვკლე
მრავალნი სოფლები და ქალაქნი, რომელისაც არ მალუ-
მიძს სახელის-დებად და თჳთოეულის მათის მოხსენებად.
და მოველ სამმღჳარს როსსიისასა და ქალაქსა ვასილი-
ჲის.

## შემოსჳლა როსსიისა საიმპერიოსა შინა და მიმოსჳლა ადგილითი ადგილად და მიმოხილჳა.

რა მოველ სამმღჳარსა ამას, იყო მუნ სასახლე და ტრაქტირი დიდი და განწესებული დოკტორი და ერთი ღამე დაჭვყავ. და მოვიდა კიევიდამ ბრძანება კიევს მისჳლისა ჩემისა. და რა მოველ კიევს, დავჭსდეგ სახლსა გიორგი ბერძნისასა, მისასჳლელსა ნაპირსა. და თავჳანის-ცემის კაცი ჭასხელ კიევის მიტროპოლიტს სამუილს, და ებრძანა: აგჳსტოს აქეთ მოველით, და ფეჩხისაც კათბობთ და კათოლიკოსი იმერეთისა მაქსიმე აქ არისო. ესე მეფესა იმერეთისასა დავითს გამოეგზავნა ელჩად, ანუ დესპანად, იმის დიდებულების იმპერა[ტ]რიცას ეკატერინესთანა და ზურაბ წერეთელი. და აღარ წასულ იყო კათოლიკოსი მაქსიმე; და ზურაბ წერეთელი კი უკუნ-ქცეულ-იყო ქჳეყანასა თჳსსა. მაქსიმე კათოლიკოსი ასტარხნიდამ მოსულ იყო იქ კიევს.—დიდათ მიამა. ქართჳელი კაცი არ მენახა რამდენმან წელმან განვლო. მიველ ფეჩერისა მონასტერსა ლავრასა შინა, და დავდეგ კელიასა კეთილსა და ვნახე კათოლიკოსი მაქსიმე (89). დიდათ იამა ჩემი მისჳლა და მეორე-

---

(89) უწმინდესის ს. პ. ბ. სინოდის საქმეთაგან (1769 წლისა № 795) ვსჩანს, რომელ კათოლიკოსი იმერეთისა მაქსიმე, მეფისა სოლომონ I-გან წარგზავნილი დესპანად მივიდა ს.

სა დღესა ვნახე სამუილ მიტროპოლიტი. დიდის მოწყა-ლებით შემიტკბო, ვითა მამამან შჳლი და თჳთ დიდათ სნეული იყო სილის გამო, ანუ ჩახოტკისა. და უო-

---

პეტერბურღს 1769 წელსა მარტის 9 დღესა. — დესპანობითა ამით ჴსწადდა მეფესა დიდსა სოლომონს, რათა მოჰჴსცეს რუს-თა ჯარი საბრძოლჳელად პირის-პირ თურქთა, რომელთაცა ეპყრათ დროთა ამათ იმერეთი, გურია ჲ თჳთ ოდიშიცა, ჲ აქუნდათ ბრძოლა რუსეთისა თანა. ესრეთისა დესპანობისა ძა-ლითა წარმოივლინა 1770 წელსა ტოტლებენი ჲ შეერთდა მეფისა ჯარსა ქალაქს ქუთაისს.

შემდგომად გარდაცჳალებისა მეფისა სოლომონისა, მაქსიმე კათოლიკოსი კჳალადვე იქმნა წარვლენილ რუსეთსა დესპანად იმერთა მეფისა დავითისაგან, რათა ითხოვოს კჳალად შე-წევნა პირის-პირ თურქთა. კათოლიკოსსა მაქსიმეს თანაჰყჳა ყამთა ამათ მეფისავე ბრძანებითა თავადი ზურაბ წერეთელი. ზურაბ წერეთელი უკუ-მოიქცა; ხოლო კათოლიკოსი მაქსიმე სნეულ იისა-გამო დაჰშთა მოზდოკსა. აქედამ წარგზავნა იმ-პერატრიცასთან არზა, რათა ნება-ჰსცეს რუსეთსა დაშთომი-სა. ბრძანებითა იმპერატრიცისა ეკატერინა I-სა თანხმად სურვი-ლისა დაჰშთა რუსეთსა; (საქმე 1787 წლისა № 305) ჲ აღი-რჩია საცხოვრებელად ვისოკოპეტროვის მონასტერი მოსკოვ-სა. მოზდოკიდამ წარვიდა მოსკოვს 17 იანვარს 1788 წელსა ასტარხნისა გზით. მისრული ასტრახანს სნეულ-იქმნა ჲ ამის-თჳს არზით მარტის 28 აცნობა სინოდსა დაშთომა თჳსი მუნ შესახუჲნებელად განკურნებადმდე. მაისის 9 წარვიდა ას-ტრახანით ჲ მივიდა მოსკოვისა ქალაქსა ივნისის 8.

უწმინდესის სინოდისა ნება-დართჳთა, ყამსა საღმრთოჲსა მსახურებისა ხმარობდა მიტრასა ჯჳრით დაგჳრგჳნებულსა. ჲ მოიხსენებოდა «ყოვლად-სამღდელოდ იმერეთისა კათოლი-კოსად» ჲ დაუნიშნეს მას ხარისხი იერარხთა შემდგომად მე-ორისა კლასისა წინარე მესამისა. ხოლო უპირატესობა და-ჰშთათ სინოდისა წევრთა, თუმცაღა ყოფილ-იყჳნენ ესენი მე-სამისა კლასისა ეპისკოპოსნი.

კელთჳს იმის თანამდებობასა მე აღვასრულებდი კელმწი-ფისა დღესასწაულთასა, წირვასა ანუ დიაკონისა და მღვდლისა კელ-დასხმასა და კურთხევასა. აქა დავწყა-

---

სჯცასა მისსა შინა იყვნენ:

1) არხიმანდრიტი დიონისი, 55 წლისა, გუარით იმერელი. ერისკაცობისა სახელი იყო დავით და ბერად აღკვეცილი გე-ლათის მონასტერსა კათოლიკოსისა იოსებისა კურთხევითა და არხიმანდრიტისა ხარისხსა აღყვანილი 1783 წელსა კათოლი-კოსის მაქსიმესგან.

2) იღუმენი ანტონი 50 წლისა, მე თავადის ბორის (?) აბაშაძისა, აღკვეცილი ბერად ქუთაისს მეფისა სასახლის ღმრთის-მშობლის მიძინების ეკლესიაში. ერისკაცობაში ერქუა მას როსტომ და იყო ღვძლი ძმა თჳთ კათოლიკოსისა მაქსიმესი.

3) ევთიმი ვასილის-ძე იოსელიანი, რომელიცა სინოდის ნებართვით ეკურთხა მისდა არხიდიაკონად კიევისა ქალაქსა (საქმე სინოდისა 1793 წლისა № 310).

მოსკოვს მოიწადა თჳსისა წარვლენა წინაშე იმპერატრი-ცისა, რათა ნება-ჰსცეს და წარვიდეს ასტრახანს საცხოვრებელად, 28 დეკემბერსა 1789 წელსა აღუსრულდა თხოვა თჳსი და 15 ნოემბერს მასვე წელსა მივიდა ასტრახანს და მუნ მიჰსცეს სა-დგური ღმრთაების მონასტერში (въ Спасскомъ монастырѣ).

შემდგომად ითხოვა იერუსალიმსა და ათონისა მთასა წარ-სვლისა ნება და იმპერატრიცამან 1 მაისს 1792 წელსა ბრძანა კეთილ-ნებობა თჳსი

მისრული ასტარხნიდამ კიევსა ნოემბრისა თთუესა, მოხუცე-ბისა გამო და სნეულებისა ვერღა წარვიდა პალესტინედ და ჰსცხოვრებდა კიევო-პეჩერის ლავრაში. აქა 30 მაისს 1795 წელსა გარდაიცვალა და დაასაფლავა მასვე ლავრასა შინა სა-მუილმან კიევისა მიტროპოლიტმან.

ანდერძითა თჳსითა ითხოვა:

1) რათა დაასაფლავონ არა ეკლესიაში, არამედ გარე, მუნ და გუერდით, სადაცა მარხია ზოსიმე (?) და უკეთუ არა იქმო-ნენ, მიჰსცენ მონასტრისა გარეთ სადამე მიწა მიწასა.

ვი ორი წელი და სამი თთუჱ და წმინდათა გუამ-თა თაყუანის-ვცემ ფეჩერისთა (90). ანტონი და თეოდო-სის ეკკლესიანი განსაკუთრებულნი, ამა ლავრასა შინა არიან შემოზღუდვილნი.

ლავრა ესე პეჩერისა არს მაღალსა ადგილსა, პირსა ნეპრისა მდინარისასა. ხოლო მონასტერი ესე არს მდი-დარი და მშუენიერი, შემოზღუდვილი ზღუდითა. და სო-ბორო პეჩერისა მდიდარი და მშუენიერი, და სამრეკლო დიახ დიდათ მაღალი, რომელიცა დიახ შორიდამ იხი-ლუება და კელიები კეთილი თჳსითა მტილო-წყალკოტითა, და მას შინა სარდაფითა, რომელსაცა უწოდებენ პოდრებ-

2) რათა საკათოლიკოსო მიტრა და გულის-კვერი (პანაღია) დაუბრუნდეს ბიჭვინტის ღუთის-მშობელსა, რადგანაც მისის ფულით გავაკეთეო, და რათა ბარტყულანი დიდი და მცირე ჯუარე-ბითა, მიერთუნეს ბიჭვინტის ღუთის-მშობლის კატსა.

სხუა ყოველივე უანდერძა ძმასა თჳსსა იღუმენსა ანტონის, რომელიცა წარმოსრული იმერეთად ჩერქეზის გზით გაცარ-ცუეს ოსთა და ტყუე-ყუეს. მერმეთ გამოიხსნა მეფემან და მო-კუდა სხუავისა უდაბნოს წინამძღურად 1822 წელსა.

დიდად შესანიშნავია არზაჲ მისი, მიწერილი ხ. პ. ბ. სი-ნოდს, 3 სექტ. 1790 წელსა, რომლითაცა ითხოვს, რათა შუამდგომელობითა წინაშე მმართებლობისა, გამოყუანილთა თურქთაგან ტყუეთა, არღა უგზავნიდენ თათართა. დიდად სამ-წუხაროდ და საგლოველად არის დაწერილი მოხსენება ესე. სი-ნოდმა პატივ-ჰსცა და არა მხოლოდ აღასრულა თხოვა მისი ყოვლად მწყემსთ-მთავრული, არამედ წარუვლინა მადლობისაცა ქაღალდი 18 მარტს 1791 წელსა, ქრისტიანის გულ-მტკივნეუ-ლობისა და თანა-მგრძნობელობისათჳს. (საქმე არხივისა 1790 წლისა № 230).

პ. ი.

(90) ფეჩერი უწოდების მღჳმესა ანუ მღჳმისა მონასტერსა.

პ. ი.

სა თავსა პოდრებისასა არს სახლი დადგმული. მუნ ფანჯრები და საწოლები. სამზჳარეულო ყოვ-ლითავე სახმარითა გაწყობილი. და სასახლე არ-ქიმანდრიტისა დიდათ უცხო და მშჳენიერი, და შინაგან სასახლისა ეკკლესია კეთილი. სობოროს გუმბათი არს ოქროთა მოცურვლი ხუთივე გუმბათი. აგრეთვე რაცხე სა-მრეკლოსა გუმბათი. და სობორის წმინდა ტრაპეზი ვერ-ცხლისა არს და ოქროთი მოცურვლი. ანტონისა და თეოდორის წმინდა ტრაპეზნი აგრეთჳე. სობორო პე-ჩერისა მონასტრისა არს ღჳთის-მშობლის მიცჳალებისა. და მიტროპოლიტის კიევის სობორო აია სოფიოსი ძჳელსა კიევსა. სობორო შიგნიდამ აიო სოფიოს კენ-ჭითა არს ([91]). აქა სასახლე ქჳთ-კირისა და ბაღი კეთილი.

---

([91]) ამა ხელოვნებასა ეწოდება ბერძულად მოზაიკა; ხოლო ქართჳელთა უწოდეს სოფიოს-კენჭად ამისთჳს, რომელ მოი-ღეს პირჳელ მაგალითი მისი თჳსდა ქჳეყანად აია-სოფიოს კონსტანტინოპოლის დიდის ეკკლესიიდამ, რომელიცა ესრეთ იყო შემკულ იუსტინიანე იმპერატორისგან.

მოზაიკა არს ერთ-გჳარი მხატჳრობის ხელოვნება, რომე-ლითაცა მრავალ-გჳარად დანაკჳეთთა ქჳათა, კენჭთა, მინასა და ფინიფტთა (სევადათა) განაწყობდენ და შეკრებდენ გამოსახა-ტავად სახისა რომლისამე, ანუ კაცთა პირისა, მფრინჳელთა, ყჳავილთა, ნაყოფთა და სხჳათა ესე ვითართა. ამა ხელოვნები-თა განაშჳენებდენ ძჳელად სახლისა ანუ ტაძართა იატაკთა და თაღთა. შემდეგ სიძჳრისაგამო და ძჳრ-ფასოვნობისა მათისა, ხმარობდენ მხოლოდ, ვითარცა სამკაულსა, გამოსახატავად წმინ-დათა ხატთა.

ხელოვნება ესე ჰპოვეს პირჳელად ეგჳპტეს შინა. შემდეგ გარდაიტანეს საბერძნეთსა და აქედამ იტალიასა. ქართჳელთა მოიღეს თჳსსა ქჳეყანასა შემდეგ იუსტინიანესა (530 წ.) ვი-თარცა აჩჳენებს თჳთ წოდება: «აია-სოფიოს-კენჭი». — ესრე-თისა ხელოვნებისა ნეშტნი საქართუელოსა შინა მინასავს

დროსა რომელსამე, ყოფილა ესე საარხიმანდრიტო მო-ნასტერი.

ხოლო აწ არს სამიტროპოლიტო და სასახლე მი-ტროპოლიტისა. მჳელსა კიევსა არს მონასტერი მიხაი-ლისა, სადაცა ასჳენია წმინდის მოწამის ვარვარას გჳა-მი საკჳრველთ-მოქმედისა: კეთილი მონასტერი და ფრი-ად მდიდარი. მრავალნი თაყუანის-მცემელნი მოდიან დიდისა რუსიისა დამალო-რუსიისა და პოლშისა ხალხნი მონასტერსა ამას, სადაცა წმინდა ნაწილი ასჳენია, და პეჩერის მონასტერსა და ლავრასა, რომელშიაცა ასჳენიან სხუანი მრავალნი წმინდანი გჳამნი. აქა მეცა ღირს-ვიქმენ თაყუანის-ცემად წმინდის ვარვარასა, და პეჩერის წმინდათა გჳამთა სჳენებულთა. და არს კიევს მონასტრები მრავალნი. მესამე კიევი არს ფოდოლი, აქა ვაჭარნი მრავალნი. და ამ მესამეს ქალაქსა არს მონას-ტერი სინაიტისა მთისა. აქა არხიმანდრიტი ბერძენი,

---

ა.) გელათის მონასტერსა, საკურთხეველისა თაღზედ.

ბ.) დაქცეულსა ქუთაისს, მიცვალებისა ტაძარზედ, რომელი-ცა აღაშენეს მეფემან ბაგრატ კუროპალატმან და მეუღლემან მისმან დედოფალმან ელენე.

გ.) უგანათლებულესისა მინგრელიის მთავრის სასახლის ეკკლესიაში ზუგდიდს, არის კატი წმინდისა გიორგისა ესრე-თისავე ჴელოვნებისა.

**1851** წელსა, ბრძანებითა იმპერატორისა ნიკოლოზ პავ-ლეს-ძისა, მოუწოდეს იტალიიდამ მოზაიკისა ჴელოვნებისა მცოდნენი, რათა მიბაძჳთ მჳელთა, ესე გუარითა სამკაულითა განაშჳენონ წმინდისა ისაკისა დიდი ს. პეტერბურღსა ეკკლე-სია. *[С. П. Вѣдом. 1851 г. № 211).*

პ. ი.

და მონასტერი დედათა ივეროვლოვსკი; ქალაქი ესე , დაბალსა და დაცემულსა ჭაობსა შინა არს. მაღალსა ადგილსა, სადა ძჳელი კიევია, არს ეკკლესია წმინდისა ანდრიას მოციქულისა. აქა აღმართა ჯჳარი მოციქულმან ანდრია და აღშენებულ-არს მისის დიდებულების იმპერატრიცასაგან ტაძარი, მშჳენიერი და კეთილი სანახავი. რა მიმოვიხილე ესენი და თაყჳანის-ვეც, დავჰყავი ჟამი რაოდენიმე მხიარულად. შემდგომად გამოვეცხადე თავი ჩემი, სამგზავროდ დიდსა რუსსიასა შინა, მიტროპოლიტსა საშუალს ჩემი მოსკოვს წარსჳლა. დიდათ არ იამა კიევიდამ ჩემი დათხოვა, კაცთმოყჳარებისა-გამო, და კეთილ-სახიერებისა. ჭეშმარიტი მღჳდელთ-მთავარია. საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი. მარჩა სინოდში წიგნას მიწერა, რადგანაც მოვახსენე ჩემი კიევში უჩივნისა არდა საჭიროება; ამიტომ, რომ ვიკარი აკურთხა ჩჳენის თან-დასწრებითა და ყოველისავე მიტროპოლიტის თანამდებობას ის აღასრულებდა. და ესეცა მითხრა: ნოვგოროდის მიტროპოლიტისად გაბრიელთან წიგნის მიგიწერო, და თჳთონვე დამიწერინა და გავგზავნეთ სინოდში. ებრძანებინათ ჩემი მოსკოვსა შინა წარსჳლა.

რა უქაზი მომივიდა, წარმოველ კიევიდამა და იქიდამ წარმოსრულმან, გამოუარე ჩემთა ნათესავთა. ვნახე დედისდა ჩემი კნეინა ელენე მანოვილოვისა ([92]) ბილიკსა, და

---

([92]) ესენი არიან, მეფისა ვახტანგისა თანა 1724 წელსა, გარდასახლებულთა 1500 გჳამთაგან, დაშთენილნი პირნი, რომელთაცა რუსეთისა კელმწიფეთა წყალობითა მიიღეს სხჳათა და სხჳათა გუბერნიათა შინა ყმანი და მამულნი. შთამომავალნი

ალექსანდრეს ელისაბედ კნიაჟნა სააკაძისა ასული. ალექსი ოლიდამ წარმოსრულმან მოველ მონასტრიჩასა და კნახე დედიდა ჩემი მარიანე და ჯავახოვისა კნეინა, და დავჰყავ ამასა სოფელსა კვრა ერთი, და დედის-დის შვილი ბარათოვი მარიამ. იქიდამ წარმოსრულმან შემოველ დიდსა რუსეთისა შინა, და მოველ რა ქალაქსა სიევსკის, აპოლლოსს მღჳდელთ-მთავარმან მთხოვა კიევის ყოფნასა შინა, რამეთუ კიევს მოსულ-იყო, თაჳჳანის-საცემელად პეჩერის მონასტერში, და მსწირა მონასტერს პეჩერისასა და მითხრა მისსა სადგომსა მოსჳლა. და რა მოვახლოვდი ქალაქსა სიევსკს, კაცი მომაგება. და რა მიველ, დიდისა სიყუარულისა მაჩუენებელმან, მამა-შვილურად მიმიღო. საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი. თჳსისა ეპარხიიდამ მისცუალეს ქალაქსა არხანღელისასა და მუნ მიიცუალა თჳსსა ეპარხიაში არხანღელისა ქალაქს. კაცი კეთილი და მართლის-გულისა მქონე, მარტივისა გონებისა და ფრიად კეთილი. და იქიდამ წარმოსრულმან მოველ სამეყოფოსა მოსკოვს, და მიბოძეს კელია და მიტროპოლიტმან პლატონ, კაცმან ბრძენმან, ინება კელია ჩემი ჩუდოვისა მონასტერში. დავდეგ მუნ კელიასა კეთილსა და კარგსა.

შემდგომად რაოდენისამე ხანისა მოვიდა ცარევიჩი დავით (93), და დიდისა სიხარულითა მიველ და რაჲცა

---

მათნი დღესცა მრავლად არიან რუსეთსა, სადაცა შეეცუალათ ენაჲ თჳსი და ჭგიენ აქამდე. პ. ი.

(93) ესე იყო პირუელი წარსულა რუსეთად მეფის-ძის დავითისა, ჯერეთ მეფობასა ირაკლისსავე. ხოლო მეორე წარსულა მისი იყო 19 ფებერუალს 1803 წელსა.

პ. ი.

ჩემგან სიამოვნე და სამსახური შეიძლებოდა ვაჩუენე, და წარვიდა პეტერბურღს. შემდგომად წლისა ერთისა უკუნ-იქცა და წარვიდა თჳსსა ქუეყანასა, მამისა თჳსისა მეფესა გიორგისთანა. და ვჰსთხოვე ჩემისა ძმისა, და ძმის-წულების შეწევნა და აღმისრულაცა. ღმერთმან აკურთხოს დავით ცარევიჩი და მეფესა გიორგის საუკუნო ხსენება მისცეს. კუალად შემდგომად რაოდენისამე ხანისა, რომლისამე მიზეზით მოვიდა დედოფალი დარეჯან დადიანის ასული, და მივეგებე დიდისა სიხარულითა, და რაჲცა შეიძლებოდა სამსახურ სიამოვნისა ჩუენებითა; და რაჲცა ვედრებითა ვჰსთხოვე ჩემის ოჯახისა, მისმინა და აღასრულა. ღმერთმან აკურთხოს მჳლებითა თჳსითა კეთილი, უმანკო დედათაგანი იგი, სახიერი და კეთილ-მოქმედი. და კუალად ღმერთმან აკურთხოს კნიაზი ბაგრატიონი დიმიტრი იაგორიჩი [94], კაცი მშჳდი, მყუდრო, კაცთ-მოყუარე და კაცისა კეთილისა მოქმედი დაშემეწია დიდათ თავის ცოლისა ძმის კნიაზ ციციანოვთანა, პავლე დიმიტრიჩთანა, რომელიც წარგზავნილ-იყო, იმას დიდებულებისაგან საქართველოსა შინა, ადრიბეჟანისა განსაგებელად და ანუ დასაპყრობელად.

---

(94) ამან აღუწერა ლექსად წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა. წიგნი ესე დაიბეჭდა ს. პ. ბ. 1816 წელსა.

უცხოდ დაბოლოებს წიგნისა ამის შემდეგითა ლექსითა:

უსამს დაჯდეს ღირსი ვინმე, მისთჳს ღუაწლთა აღ-
საწერად
მთაწმინდელი ან სინელი, პეტრიწი ჭყონდის კალმის
მწერად.

პ. ი.

ამან დიდი ნუგეში ჰსცა ჩემსა ძმასა სარდალს იო-სებს და ძმის-წულებსა ჩემსა ნიკოლოოზს, შეამდგომე-ლობითა მათის უწმინდესობის კათოლიკოზს ანტონის-თანა მეფის ერეკლეს-მესთანა. ღმერთმან ნუ დააკარ-გოს კეთილის-მოქმედება, მათს უწმინდესობას მრავალ-ჟამიერობა და ციცი-შჯლს ზეცათა სასუფეველი. თავისი სამკჳდრებელი დაუმკჳდრეს ძუელთა და ახლისა მეფე-თაგან წყალობა—ხიდი მცხეთისა და იმის შემოსავალი. ესე ძუელადგანვე ჰქონიათ ([95]), და ახლად მეფის თეიმურაზის, ცხებულის მეფისაგან ჰქონდათ და მეფის ირაკლისაგან ეგრეთვე სიგლითა დამტკიცებული, რომელსაცა ეპყრა ქართველნი, ერ-კახნი, გაჩიან გარდა-ბანი, რანი და მოვაკანი. განდიდებულ-იყო სამეფოსა თჳსსა მეფე ირაკლი მეორე და სპარსთაგან მოცლილი. რამეთუ სპარსთა მეფობა დაცხრომილ-იყო და აღარა ჰყუანდათ მეფე თჳსი ([96]), რომელსაცა უწოდებენ შაისა.

---

([95]) ბაჟისა შემოსავალი მცხეთის ხიდიდამ, რომლითაცა სარგებლობდა ეკკლესია, გაუქმდა 1825 წელსა. პ. ი.

([96]) შემდგომად ნადირ-შაისა, რომელმანცა განდევნა სა-ქართველოდამ თურქნი და რომელმანცა მისცა მეფობა თეი-მურაზს და ირაკლის, სპარსთა აღარ ჰყუანდათ აღრეულობისა-გამო მეფე.

შემდგომად ნადირ-შაისა სიკუდილისა, 1747 წელსა მიიღეს მეფობა სახელითა ოდენ, შემდეგთა პირთა:

ალი-ყულიხანმან ადილ-შაჰ 1747 წელსა.
იბრაიმხან ამავე 1747 წელსა.
ისმაილ-შაჰ, ალიმერდან, აზად, მაჰმად-ჰასან, განაგებდენ ურთიერთისადმი ბრძოლით 1747 — 1761 წელსა.
ქარიმხან, მეფობდა ვითარცა ვექილი 1761—1779 წელსა.

შემდგომად რაოდენისამე ხანის, განდიდნა ხანი აღა-ტარაზათისა, და ჰწოდა თავჳს თჳსსა შახი, და წარმოემართა საქართუჱლოსა ზედა სახელით მაჰმადხან. ესე იგი მაჰმადხან არს, რომელიცა შეიპყრა ნხჳამან ხანმან ადილშამ და გამოსაჭყრის. შემდგომად ქარიმ-ხანის სიკუდილისა, განძლიერდა და დაიპყრა ამანცა სპარსეთი, ვითა ქარიმხანმა. რამეთუ ქარიმხან იყო კაცი ჭკჳანი და მჴუდრო, და არა რომელი ქჳეყანა აოხრებულა მისგან. ამან მაჰმადხან ჰწოდა თავჳს თჳსსა შახი და ფადიშამ და მოვიდა თფილისს უგრძნეულად. ხოლო ქართუჱლნი და ერ-კასნი არ იყჳნენ განმზადებულნი და არცა მოელოდნენ. მოვიდა თფილისსა, ავნო, წარტყუჱნა ურიად და წარვიდა მესწრაფლად უკუნ-ქცევითა თჳსად (97). რამეთუ რიდი დიდი აქონდა რუსეთისა მხედრობისა, რომელიცა შემდგომად მოიყჳანა მეფემან ირაკლიმ ნიჭად თჳსად. რა მოვიდა მხედრობა რუსიისა, შემუსრეს რუსებმანცა ქალაქი ადერბეჟანისა განჯა (98), და აღკოცეს ხანისა ნათესავნი და თჳთ ხანიცა განჯისა ჯავათ-ხან მოიკლა, და ნხჳანიცა ხალხნი

მერმე სრულიად არევინდა იყო უფლად და იქმნა შინა-ბრძოლა 1779-გან 1794 წლამდე.

და უკანასკნელ მიიტაცა მეფობა აღა-მაჰმად-ხანმან, რომელმანცა გაოხრა თფილისი და იმეფა 1794-გან 1799 წლამდე. პ. ი.

(97) აღება თფილისისა იქმნა 1795 წელსა. პ. ი.

(98) 3 იანვარს 1804 წელსა, სადაცა დაესწრო პორუჩიკობისა ჩინითა აწინდელი კავკასიის ნამესტნიკი უგანათლებულესი კნიაზი მიხაილ ხუმონსონ-მეა გორონცოვი. პ. ი.

ქალაქისა განძისანი. ამათ აღაოხრეს და დაიპყრეს ციხე განძისა და რომელნიმე პატიმარ-მყოფნი და სხუანი ადგილნი მრავალნი სპარსეთისანი. დაიპყრეს განჯა, რომელსაცა უწოდეს ელისაბედპოლი, და შუშისა ციხე, და შამახია, დარბანდი, ბაქუ. თჳთ ხანი იგი აღა-მაჰმად-ხან, რომელსაცა ეწოდა შახი, მოიკლა მონათაგან თჳსთა. სხუასა მოთხრობასა მოკლედ დავიდუმებ სიგრძისათჳს.

ხოლო ყოფნასა შინა ჩემსა მოსკოვსა, დიდად მწყალობდენ და ვუყუარდი. მრავალი შევიძინე. და ესეცა ამაოება ამაოებათა, ვითა წარსწერს ბრძენი მეფე. სიღარიბეცა ვიხილე, და აწ ჟამისაებრ ჩემისა სიმდიდრე და დიდება, და ესეცა ამაოება. ვითა შიშუელი მოველ ქუეყანასა ზედა, შიშულივე მეგულუების წარსულად. უკეთეს-არს სიმდიდრე სულისა, ვიდრე ნივთთა სხუათა შეძინება. რამეთუ სოფელსა შინა მქონეთა ნივთთასა, სოფელსა შინა დაუშთებიან ნივთნი იგი. და მქონენი, ნივთთაგან ცარიელ-ქმნილნი, შიშულნი წარდგებიან და თანა აძსით წარდგომად ქრისტესა. მოვიხსენებ სიტყუსა ეკკლესიისასა, განათლებულისა პირისა ოქროსასა, ვითა მიუწერს ევდოქსიასა: შიშული ვიშევი და შიშულივე მეგულუების წარდგომად და სხუანი. გულის-ხმა-ჰყავით კეთილ-გულის-ხმის-მყოფელნო, ვითა კავშირთაგან შედგმული ნივთი, რა კავშირთაგან დაიხსნების ნივთი იგი ქუემდებარე, იქმნების ხრწნადი და შლადი; ვითა სახე თჳნიერ თჳსისა ნათესავისა უჩინო იქმნების და არა არს, ვითა ნათესავისაგან სახე, და სახისაგან კაცი ესე იგი განუყოფელი, რა კავშირთაგან დაიხსნების, შლადსა და ხრწნადსა მიიღებს, და იქმნე-

ბის მტუერი და ავილი ყოველივე ხრწნადი·ვითა ზღუათა-გან გამოვლენ წყარონი და მდინარენი, და ზღუასავე ერთჯან; ეგრეთუე რაცხე ქუეყანაჲ და ხმელნი. რამეთუ ყოველნივე მიწიდამ მიზეზობენ, და მიწადუე ისწრაფიან, ხოლო სული უკუდავის და შეემინებაცა მხოლოსა ღმერთსა. მისდა დიდება და პატივი, უკუნითი უკუნისამდე-ამინ.

## სიტყჳა ლექსად,

### თქმული იონა მიტროპოლიტის გედევანის-მისაგან.

(ლოცჳსამან ანნა).

თფილის აზიით, მოვვლე პონტოის ([1]) ზღჳთ.
ევროპ ბიზინტით ([2]), არხიპელაგ ნისებით ([3]),
ათონსკი გორით ([4]), აინორის ([5]) მთა-წმინდით,
პალესტინ ბეთლემ, წმინდა საფლავ ნაზარით,
თაყჳანის-მცემელ, განრთხმულ მისატევებლით.

მიდილინ ([6]) საჭყიზ ([7]), პამფილის ლევკოსით ([8]),
ზმირინ კიკოსით ([9]), და მონასტერ სიწმიდით,
ბოხჩა ადასით, ([10]). ლიმნა კეთილ მუსკონით ([11]),

---

([1]) პონტოჲსა ზღჳა, შავის ზღჳასა ეწოდების. პ. ი.
([2]) ბიზინტი, ძჳელი სახელია კონსტანტინოპოლისა. პ. ი.
([3]) ნისი, ჭალაკსა ეწოდების. პ. ი.
([4]) რუსულად უთქჳამს: ათონცკი გორით, ესე იგი ათონის მთით. პ. ი.
([5]) აინორს ე. ი. აღიაორონს. ბერძულია, ქართულად ითქმის: წმინდა-მთით ანუ მთა-წმინდით. პ. ი.
([6]) მიტილინა, ჭალაკი არხიპელაგისა. პ. ი.
([7]) საჭყისი, ხიოსის ჭალაკსა ეწოდებ. პ. ი.
([8]) მისირის ადგილნი, პ. ი.
([9]) ზმირინი, სმირნა ქალაქის, და კიკოს,—ღჳთის-მშობლის მონასტრისა სახელია ჭალაკსა კანდიასა ანუ კრიტსა. პ. ი.
([10]) ბოღჩადასი, ეწოდების ტენედოსსა. პ. ი.
([11]) მუსკონი ეწოდების ერთ-გჳარსა სამკურნალოსა მიწასა, რომელიცა მხოლოდ აქა ჭალაკსა ლემნოსს იპოების და რომელსაცა მკურნალნი უწოდებენ **Terra Sigillata** ე. ი. დაბეჭდილი მიწა. პ. ი.

როდოს ქჳათლილით (12), ისტორიის მოთხრობით,
მხილჳწლ მე თჳალით, განსაცჳფრებ განკჳრჳთ.

თესალონიკე, წმინდა დავით მუნ-დებით (13),
თაყჳანიცა ვეც, ნაწილს წმინდას განბანით,
ათინით მოველ, ზღჳთა გამოველ ხმელით,
სხოლა ათინთა, ვერსად ვიხილე-თჳალით,
ნიში არს აწცა, ათინით ვერსით ჴუთით.

დამასკ ეგჳპტით, სურით სინაიტითა (14),
კაირ აფრიკით, ალექსანდრა კანდითა (15),
მორო ზაკითით, კეფანოლ-კორფუსითა,
არაყზ დობრით, დალმაცია ფიუმთა,
სტრიესტ კროვატით, გერმანია ავსტრითა.

ვენეციაი, ნიაპოლ-იტალიით,
ვიენ ბავარით, პოლონია უნგარით (16),
მოლდოვ ვლახეთით, იასით კიევ-რუსით,

---

(12) კოლოსსა როდოსისსა, ალმართებულსა მჳწლად, იგულ-კმებს. თჳთ ქალაქისა შენობანიცა, სიმრავლისა-გამო ქჳათა მარმართა, თლილისა ქჳსა არიან. პ. ი.

(13) 26 ივნისს არს დღესასწაულობა საკჳრჳწლ-მოქმედისა ამის წმინდისა. ამისთჳს იტყჳს პროლოღსა თჳსსა ქართჳწლი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი:

დავით უდაბნოს, მოყჳარე იოანებრ,
თესალონიკით, აღმომზე სოფლის მნათი,
ხორცთა განყრილი, მშჳდობით დაიძინებს.

პ. ი.

(14) კანდია, ჭალაკია არხიპელაგისა. პ. ი.

(15) იონიისა ჭალაკნი. პ. ი.

(16) პოლშა და ვენგრია. პ. ი.

მალო-როსსით, დიდ მოსკოვს განსჳფნებით,
უსპენ სობორით, სამსჭჳალ თაყჳანის-ცემით (17)

ადგილთა ამათ, მოსილჳა მოვლა ჩემით,
დიდათ ნუგეში, დავიწყე, მე ვეც ამით,
რაცა ვიწყინე, დელჳსა გამო სოფლით,
ჴელის-აღმპყრობი, ზეგარდამო ... ზეცით,
დავით (18) წარწერით, და მეცა მუსრჳა გულით.

დედა ქალწული, შუამდგომელის ყოვლის,
დედათა დასხმის, ყოველთა ვნებს კჳფთის,
აღუარებ მას, დიდსა ჩემს მოწყალებას,
არ ღირსი მონა, მოტევებისა ჩემის,
ცხადი უზადოს, განქარჳფბად მას ბნელის.

ივერით სრულმან (19), უცხოსა მას ქჳფყანას,
ოდეს განმწირეს, ჩემთა მწყალობთა კაცთა,
ნებას საბაოს, მივანდე თავი ჩემი,
არსად ლამანი (20), გარნა როსსია დიდი,
იმპერატრიცა, ეკატერინა დიდი.

---

(17) სამჭსჭჳალი, საქართჳფლოდამ გარდატანილი. იხ. ჩემი *Ист. Груз. церк. изд. 2. стр. 13.* პ. ი.

(18) აქა მოიხსენებს წინასწარ-მეტყჳფლის დავითს, ცოდჳათა მტირალსა და სინანულის ლოცვსა მწერალსა. პ. ი.

(19) მავალი,—მისრული. პ. ი.

(20) ბინა სამყუდრო. პ. ი.

## გჳარ-შთამოება,

### ესე იგი თჳსთა მშობელთა და სახლისა თჳსისა მოთხრობაჲ, ანუ სიტყჳა.

ნუმცა ვინ ინებებს საცინელ და საკიცხელ ყოველთა კაცთა, უკეთუ თჳთოეულთა თჳსი სახლი და მშობელნი უყჳარსთ. ამისთჳს ხოლო მეცა ვიტყჳ: იტყჳან მენი გედეონისანი სქესობასსა ლევისა გჳარისასა, გარნა ელიოზის მეობასა, ლევი იყო ათორმეტთაგანი ძმა და მეათავრობ მამათ-მთავრისა, რომელსაცა აცხადებს მატიანე ქართველთა ცხოვრებისა. ამან ჰურიამან ელიოზ მოიტანა კუართი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და ძმის-წული მისი აბიათარ დაემოწაფა წმინდასა ნინას, განმანათლებელსა ქართველთასა. ესე აბიათარ იყო მღდელთ-მთავარი და ჩინებული (1) დედა ქალაქსა მცხეთისასა. და ამით ჰსჩანს ლევისა გჳარი; რამეთუ თჳნიერ ლევისა გჳარისა არ იქმნებოდა და არცა დაიდგინებოდა მღდელთ-მთავრად, ძუელის ჰსჯულის ისრაილთასა. და იტყჳან მიზეზითა ამით ესენი გჳარობასა, ლევისა ჩამომავლობით, გარნა ელიოზის მეობასა.

---

(1) მოსჳლისათჳს ჰურიათა ქართლსა ჰსწერენ არა მხოლოდ ქართველთა მეისტორიენი, არამედ თჳთ მოსე ხორენელი (lib. 1. cap 22). პირველი მათი შემოსჳლა იქმნა სპარსეთით, სადაცა სალმანასარმან, უწინარეს ნაბუქოდონოსორისა, დაასახლნა ევფრატისა პირთა ზედა და მიდიის ქალაქთა შინა, დატყუევებულნი ჰურიანი. პ. ი.

და იტყჳან მამასახლისისათჳს მცხეთისა, ვითარმედ განდევნა გუჯარი იგი მამასახლისმან მცხეთისამან არშაკუნიანმან და დამალულ-იქმნა შუხად-გუჯარდსა ქუაბსა შინა კლდისასა წელსა სამსა. რამეთუ მცხეთის მამასახლისი იყო თჳთ მბრძანებელი, ვითა აწინდელსა ჟამსა შინა მეფე. და იტყჳან გედეონის ძეები გუჯარობასა ელიოზის ძეობით, ვითა აჩენს მამული მათი ერთმანერთისა გუჯარობასა, და ყმანი მათნი განნაწილებულნი ბარათითა წილ-დებულთა ხუწდრილთათჳს.

ხოლო ჟამთა არს ელიოზის-ძე სხუა, და გედეონის-ძე სხუა, რომელნიცა ერთმანერთსა ემოყუარებიან, მიცემითა ასულთა თჳსთათა. გუჯარსა შინა მცხეთისასა (2) აღწერითა, ვითა თავისითა ხარისხითა, აღუწერიათ თავისის ყმითა და მამულითა. ესრეთ აცხადებს გუჯარი კათოლიკოზისა დომენტისი. წინა-პართა კათოლიკოსთაგან ასე არს აღწერილი და მოხსენებს გუჯართა შინა:

პირველად გედეონის-ძე სარდალი გიორგი და ყმანი მისნი, სახელობით და კომლობით.

მეორედ მაღალაძის-ძე სალთ-ხუცესი ამილბარ, და ყმანი მისნი სახელობითა თჳთოეულად.

და მესამედ ელიოზის-ძე ანუ ქარსიძე და ყმანი მათნი.

ხოლო კახეთსა შინა, გიჟი-მურელი, მიწობლიძე და გარაყანიძე.

---

(2) გუჯარი ესე დომენტისა არის განმეორებითი განახლება ძუელთა მეფეთა გუჯართა, რომელნიცა დაძუელდენ და ძნიად წარსაკითხავნი შეიქმნენ. პ. ი.

და სხჳათა აზნაურ-შვილთა თჳთოეულად მოიხსენებს, და ყმათა მათთა. ხოლო გუჯარი ესე, არათუ მხოლოდ მეფეთა მართლ-მადიდებელთაგან არს დამტკიცებული, არამედ თათართაგანცა. რომელნიცა მეფენი გათათრებულან, იგინიცა ამტკიცებენ მცხეთისა გუჯარსა. თჳთ იმამ-ყული-ხან კახთა ბატონი ამტკიცებს გუჯარსა ამას თჳსა საგარეჯოსასა, პირ აქეთ-იქითსა და ანუ სხჳსასა მამულებსა, კახეთსა შინა შეწირულთა ეკკლესიისადმი მცხეთისა.

და ესეცა არს საქართველოში: რომელნიცა ებრაელნი მოიქცევიან მართლ-მადიდებელად და ქართველნი შეიქნებიან, იტყჳან ელიოზის მეობასა, ანუ გაკვეთებითა გჳართათა. ურიათაგანისა არა აქჳს გჳარი და თავსა თჳსსა უწოდებენ ელიოზ გელეონის-მეობასა, ვითა არს ცხინჳალსა შინა და ხეობასა ცხინჳალისასა ურიათ-ყოფილი (3) და სხჳანი.

და რადგანცა გიორგი სარდალი მოიხსენა პირველად სამცხეთოსა შინა, მამისა ჩემისა მამაჲ, გუჯარმან ამან სამცხეთოსამან, მეცა ვიტყჳ ჩემისა ოჯახისა ისტორიასა, ხოლო წინაპართა დავიდუმებ სივრძისათჳს. ხოლო ახლორე ვეწყე გიორგისა სარდლისათჳს, რომელსაცა მცირე რაიმე ემთხჳა სოფლისა ღელჳა-განსაცდელი. რამეთუ დაუდგრომელი ცხოვრება არს და მჳრისა შემთხჳევა საქართველოსა შინა.

როდესაც ქართველთა და კახთა შორის იყო ბრძოლა მეფისა გიორგისა (4), და მეფისა ირაკლი მეორე-

---

(3) დღესცა არიან ესენი მუნ. პ. ი.

(4) ესე მეფე იყო რიცხჳთ მეათერთმეტე და მეათორმეტე, რადგანაც ორ-გზის აღჳდა ტახტზედ, ესე იგი პირველად მე-

ლის (5). დროსა მას იყო ელი კახეთის თრიალეთს, და სხუათა ადგილებთა საზაფხულოსათა. უკმო-იქცნენ ელნი საზამთროსა კახეთისასა, და გიორგიმ სარდალმან სამცხეთოსამან, გზა ჰსცა მცხეთის ხიდსა და განვლეს უვნებელად. ესმა ესე მეფესა გიორგისა შერისხნა გიორგი სარდალსა და მიუღო თორმეტი კომლი კაცი, და სამოცი თუმანი. იტყჳან სახლის ჩუენის წულნი: ექუსი კომლი მივიღეთ და ვიშოვეთ, და სხუა იქმნა დაკარგულ ჩუენის სახლისა უმანიო. იცხოვრა შემდგომად ამისა მშჳდობით და კეთილად და შეექმნა თჳსთა მშობელთა თანა ქორდს (6) და დაეფლა მუნვე.

შემდგომად მამისა თჳსისა, იქმნა სარდლად მცხეთის ზაზა სარდალი, ძე გიორგი სარდლისა. ზაზა, იტყჳან სახლის მისისანი, იყო მშუენიერი და ტანითა აე-როვანი, და სოფელსა შიგან მხიარულ-მცხოვრები და ქართულისა ზნეობით ზრდილი, და ემთხჳა ამასცა განსაცდელი უმწუერესალესი. ოდეს განილაშქრა მეფემან ვახტანგ განჯასა ზედა, ისიტყუეს ქართუელთა და ლაშქართა შორის იქმნა მცირე შფოთი და არეულება. შეასმინეს სარდალი სამცხეთოსი ზაზა: ის არისო მიზეზი ლაშქართა არეულებისაო. ინება მეფემან ცხენსა შეჯდომა, და მისულა, სადაცა ზაზა სარდალი იყო სამცხეთოსი. ხოლო ზაზა იჯდა თჳსსა კარავსა შინა ქორ-წინა-

ფობდა 1675 წლიდგან 1688 წლამდე და მეორედ 1691 წლიდგან 1695 წლამდე. ამავე მეფესა ეწოდებოდა შაჰნავაზ მეორე. პ. ი.

(5) ირაკლი პირუელი კახ-ბატონი, სახელ-წოდებით ნაზარ-ალისანი. პ. ი.

(6) ეკლესია ესე, სასაფლაო მათი, დღესცა მრთელიად ჰგიეს მასვე სოფელსა ქორდსა. პ. ი.

დაგებული წინაშე თჳსსა. რა იხილა მეფე მიმავალი მის-და, მჴსწრაფლ მიეგება მეფესა თჳსსა, არა ბრალისა მქო-ნებელი. ხოლო მეფემან მჴსწრაფლად მოჰკუეთა თავი ზაზას სარდალსა სამცხეთოსასა. შემდგომად განიხილა და შეიტყო რა უბრალოება მისი, დიდსა სინანულსა შე-ვიდა, და უნდოდა მეფესა სახლისა მისისათჳს უბრალოე-ბისა გარდახდა. და იტყჳანცა მეუღლისა მისისად კაცისა გზავნა, და მაგიერისა ნუგეშისა მიცემა მეთა და ასულთა მისთა. ხოლო მან ქჳრივმან არა მიიღო და სწყევა: «რომ-ლითა საწყაულითა არს წყევა, მოგეწყოს». (7). შემ-დგომად რაოდენისამე ჟამისა შეემთხჳა სოფლისა დელჳა მეფესა ვახტანგს, და თფილისი დაუპყრეს კახთა, და მე-ფე ვახტანგ მივიდა შინა-ქართლსა.

შემდგომად ამისა დარჩნენ ძმები, სარდალი გაბრიელ, და მოლარეთ-უხუცესი პაატა ანუ პართენი, კაცი კეთილი და ბრწყინვალე კნიაზი, კაცთაგან საყუარელი და პატივ-ცემული. ხოლო ჟამსა ამას, რა მეფე ვახტანგ იდგა შიგა ქართლსა, წარვიდა მეფე ბაქარ ყარსსა, და სარასკარი ჩა-მოიყვანა ოსმალოსა ლაშქრითა თფილისსა და განსდევნეს იმამ-ყულიხან კახთა ბატონი და დაიპყრეს საქართველო თჳსად ოსმალთა და აღარ აუშვლეს. ხოლო ბაქარ უკმო-იქცა და მოვიდა მამისა თანა და განიზრახეს რუსეთსა შინა წარსვლა. გარდავლეს მთა ლიხეთისა და გარ-დავიდნენ რუსეთსა (8).

(7) განჯაზედ წარსვლა და ომი ვახტანგისა იყო 1721 წელსა.
პ. ი.

(8) გარდავიდა რუსეთსა 1724 წელსა: ვრცელსა დროთა ამათ მოთხრობასა, მსურველი წარიკითხავს ჩემგან დაბეჭდილსა რუსულად წიგნში: *Историч. взглядъ на состоянiе Грузiи подъ властiю царей-Магометанъ* стр. 70—86. პ. ი.

შემდგომად ამისა განიზრახეს ქართველთა და წარ-გზავნეს დომენტი კათოლიკოზი კონსტანტინოპოლეს. და რა მივიდა სტამბოლს, მისწერეს წიგნი იმისის და-კარგვისა. და ჴატიმარ-ჭყუცს ბოხჩაადასა, რომელ-არს ნისი ანუ ჴალაკი. მუნ ქრისტიანები არიან ბერძენნი და ეკკლესიას დიდათ შემკული და მდიდარი. და ახლდა მო-ლარეთ-უხუცესი გედეონის-ძე პართენი, ესე იგი პაატა, დიდათ კაი ყმა და საყვარელი დომენტი კათოლიკოზისა. ესე დომენტი არს ძმა მეფისა ვახტანგისა და მეფისა იესესი. შემდგომად რაოდენისამე წლისა იქმნა თავის-უფალი და მოვიდა საქართველოსა შინა. შემდგომად რაოდენისამე წლისა მიიცვალა (9) და დაჯდა კათოლი-კოზად ნიკოლოზ, და შემდგომად მიცვალებისა ნი-კოლოზისა (10) დაჯდა კათოლიკოზი ანტონი (11), ძმის-წული დომენტი კათოლიკოზისა და ძე იესე მე-ფისა, კაცი ბრძენი. და ქართულსა ენასა ზედა, ზედ-მი-წევნილი. შემდგომად რაოდენისამე ჟამისა იქმნა შფოთი რამე და განსდევნეს, ვითარცა არს ივერიელთა ჩვეუ-ლება და წარვიდა რუსეთსა, და შეიწყნარა იმპერატრიცა-ელისაბედ პეტროვნამ. და მიუბოძეს ვლადიმერისა ეპარ-ხია და დაჰყო წელი რვა. თანა ახლდა მოლარეთ უხუცესი პართენი, დიდი საყვარელი კათოლიკოზისა ან-ტონისა და ახლდა თავისი გაზრდილი მსახური მახათაძე გოგია, კაცი კეთილი და თავისის ბატონისა თავ-დადე-ბული. ესე მოლარეთ-უხუცესი არს პაატა, კნიაზი გედეონის შვილი, ზაზა სარდლისა და გაბრიელ სარდლისა უმცროსი

(9) 1741 წელსა. პ. ი.
(10) ესე იყო გვარით თავადი სერხეულიძე. პ. ი.
(11) 1744 წელსა. პ. ი.

ძმაჲ, რომელიცა ყოველთა კათოლიკოზთაგან პატივ-ცემული იყო და საყუარელი მეფეთა მეთაგან და სხუათა კათოლიკოზთაგან. ამას მშობელთა თჳსთა უწოდეს სიყუარულისა გამო სივილა. შუენიერებისა და ტკბილად მოუბრობისა გამო ყოველს პატიოსანთაგან პატივ-საცემელი და საყუარელი იყო. არს ქართუელთა შორის ვიდრე აწინდელადმდე, თუ ვისმე შჳლი ანუ ძმა და უმა უყუარს, და კაი უმა არის, იტყჳან: ეს ამისი სივილა არის. მაერითგან ასე უწოდებენ. შემდგომად ზაზა სარდლის მიუბოძა მეფემან ვახტანგ ძმასა მისსა სარდლობა გაბრიელ სარდალსა და ცხოვრებდა კეთილად და მშჳდობით. ხოლო ოდეს განილაშქრეს მეფეთა მამა-შჳლთა, მეფემან თეიმურაზ, და ძემან მისმან ირაკლი მეფემან რანსა და მოვაკანსა შორის და მივიდნენ განჯას ლაშქრითა დიდითა, და ახლდა სარდალი გაბრიელ სამცხეთოთი სპითა, და რა ეწყჳნენ ურთიერთარს, სპარსნი და ქართუელ ერ-კაცნი უკმო-იქცნენ. და აღრევასა სპათა ჩუენთასა, შეაცთუნა მსახურმან თჳსმან ცხენი სარდალსა გაბრიელს, და დარჩა განწირულებასა შინა, ზედა მიადგა გიორგი ქარსიძე, კაცი ჭაბუკი და გამოცდილი ბრძოლასა თჳსსა, და ჰსცნა რა ყოველივე ყოფილი, აღსო თჳსსა ცხენსა და მოვიდნენ უვნებელად გაბრიელ სარდალი და ქარსიძე, რომლისაცასა იტყჳან მზითუად მოყოლასა ვახტანგ გორგასლანისა ოს ქარსიძის ტომთაგან. ხოლო მსახური იგი სარდლისა გაბრიელისა იტყოდა: სპა აირია, გამომიტაცეს ცხენითურთ, და ვეღარ მიველ პატრონისა ჩემისად.

შემდგომად რაოდენისამე წლისა მოვიდა რუსეთიდამ კათოლიკოზი ანტონი ჟამსა ირაკლი მეორისა მეფობისასა.

და მიიღო სამწყსო თჳსი; და იხილა რა სარდალმან გაბ-
რიელ ძმა თჳსი მოლარეთ-უხუცესი პაატა, აღივსო სი-
ხარულითა დიდითა ფრიად, და შემდგომად ორისა წლისა
შეეძინა მშობელთა თჳსთა, თჳსსა სოფელსა ქორდსა და
მაჲზარეს დრომდინ. რამეთუ ძეთა თჳსთა უთხრა ანდერძი
დამარხვად თავისსა სასაფლაოსა შინა მცხეთას (12).

შემდგომად გაბრიელ სარდლისა, მიუბოძა ძესა მისსა
შოშიას სარდლობა მეფემან ირაკლი მეორემან.

და შემდგომად რაოდენისამე ხანისა მიიცვალა ამ სოფ-
ლით მოლარეთ-უხუცესი მცხეთას და დაფლეს თავისსა
სასაფლაოსა წმინდის ნიკოლოზის საყდარსა შინა.
მასვე დროსავე მიიცვალა მშუჱნიერი, მეუღლე სარდ-
ლის გაბრიელისა და დაფლეს მცხეთას თავისსა სასაფ-
ლაოსა. «მშუჱნიერი» სახელი ვგონებ, არ იყოს ემ-
ბაზისა აღმოშობისა, და ვგონებ, მე თჳთ იმის ბრძანებას
მსმენია, არს სახელი ჩემით ანნა, და მშობელთა ჩემთა
მიწოდეს მე ესრეთ, არ მახსოვს რაჲსათჳს.

შემდგომად იწჳა ლაშქარნი მეფემან ირაკლი, და რა
მოვიდა კელთ-უბანსა, შოშია სარდალი, ესმა, რამეთუ წარ-
ტყუჱნეს ლეკთა არუჱ ცხუარი და დევნა უყო უკანა ლეკთა
მათ და უკმო-უხუნა წარტყუჱნილნი ყოველნივე.

შემდგომად შემცირდა მცხეთა და აღარ იყო შენობა,
თჳნიერ ერთისა ანუ ორისა კუამლისა კაცისა კიდე, და
უბრძანა მეფემან ირაკლიმ გედეონის მეთა სარდალსა
შიოშს, და ნაზირს გიორგის და ამილახვარს იოსებს,
მცხეთისა აღშენება, და სამცხეთოსა კაცისა მოყუანა,
სადაც უმამულონი იყუნენ, და გამაგრება მცხეთისა და უბ. მა

(12) მკუდრი ესე, მიშენებული მცხეთისა დიდისა ეკკლესიი-
სადმი, შეიმუსრა განახლებისა დროსა 1840 წელსა. პ. ი.

სიგელით ([13]) საუკუნოდ ჩამომავლობით მოურავობა, და განამაგრეს ახალი აქა შენობა. მოვიდა კაცი დიდომელი, რამეთუ წარტყჳენეს ლეკთა დიდმისა საქონელი და ტყჳე რაოდენიმე წარიღეს და მივიდნენ მეგჳსაო. ესე მეგჳ იყო უშენი და განვიდნენ მტკჳარსა, და მეგულჳებოდათ საგურამოსა შინა განსჳლა, რამეთუ საგურამო იყო უშენი და ლეკთა სადგური ზაოვხულ-ზამთარ ვითა თჳსთა ქჳე-ყანათა შინა. ეკვდრნენ დიდმელნი მეწევნასა და ესმინა და წარვიდა მცხეთით თჳსისა ჯარითა, ამათ შეუკრეს პირი ფონთხელასი, და ეწივნენ ლეკთა-ლაშ-ქარსა, უწყეს თოფისა ცემა, და აოტნეს ლეკნი და უკმო-იხჳნა მროწლენი, (რომელ-არს ჯოგთა ნახირნი) და ტყჳენი და დაუხოცნეს რაოდენიმე კაცნი მტერთა. ჟამსა ამას იყო მეფე მუხრანს და აქჳნდა რიდი ღარ-თის-კარისა წარმავალთა, ნუუმე ავნონ ლეკთა; რამეთუ მი-ესმა მეფესა, ჯარისა ყოფნა საგურამოსა შინა. და მი-უწერა ბრძანება, რომელ-არს ოქმი ამილახჳარს იოსებს: შეიკრიბე მსახურ-აზნაურ-მჯლნი და ვინცავინ იყჳნენ მცხეთასა შინა და შემოვკჳჩხრიკე ღართისკარნი, და ჩჳენცა ვართ მომსჳლელი. ეს ბრძანება მიიღო ამილა-ხჳარმან, მივიდა ღართისკარსა და დასჳდა ლეკისა ლაშქარი და დაუწყეს ურთიერთ-არს თოფისა ცემა და ვერა რომელნიმე ივნენ, და უკუნ-იქცნენ ლეკნი. ხოლო ძმა იგი მისი გიორგი ნაზირი გამოსული იყო, ნადირობად მუხრანის მინდორსა შინა, და ჰსდევნიდა

([13]) ბერძულებრ და ლათინურებრ sigillum, დაბეჭდილსა ანუ ბეჭედ-სმულსა და ანუ ბეჭედით დამტკიცებულსა წერილსა ეწო-დების. აქედამ ქართჳელთაცა მივიღეთ მჳელად ლექსი იგივე «სიგელი». პ. ი.

ირემთა. მიესმა რა თოფისა-ცემა, მიისწრაფა ძმისა თჳ-სისად და იხილეს მომავალი ლეკთა. ამათ შეუკრეს გზა და უცეს თოფი ცხენსა და კაცსა, და ცხენი გამოუკლეს, და-შეიპყრეს, და განიყვანეს საგურამოსა შინა. და იხილეს სიკისკე და კაცთ-მოყუარება მისი და განუტევეს თჳსი-თა იარაღითა. ამანცა ისტუმრნა, დაასაჩუქრა და მე-ფესაცა შეარიგა და წარვიდნენ თჳსსა ქუეყანასა. ჯე-რეთ შოშია სარდალი იყო უმაწჳლი კაცი, და გაპრიელ სარდალი იყო ქალაქსა, მოუხდენ ლეკნი სოფელსა ნიჩბისსა, და სოფელსა საცხორეთსა, და მაშინ შოში-ამ შებმა უყო ლეკთა ლაშქარსა, და მათგან დაიჭირა თე-მოსა შინა, და იტყჳან სოფლისა მომღერალნი:

«ჩუენი ქებამეც აქ არის,
ბიჭნო მამაცათ იყავით«.

და შემდგომად წლისა ერთისა განიკურნა.

შემდგომად ამისა ინება მეფემან ირაკლი მეორემან, ერევანს წარსუჳლა სპითა დიდითა. სარდალმან შო-შიამ თჳსად მაგიერად წარგზავნა ძმა თჳსი ამილახვა-რი იასებ, უთავა ლაშქართა სამცხეთო-ქართუჱლ ერ-კახთასა, და მხნედ გამოჩნდა ომსა შინა; და შეი-პყრა თჳთ ხანისა ყული და მოიყუანა წინაშე მეფისა. ხოლო მეფე მადრიელ-ექმნა სიმხნისათჳს.

შემდგომად ამისა იყო თთუჱ მაისობისა, და აშუ-რიანსა იყო სიმრავლე ჯოგი ცხენთა და მროწლეთა, (რომელ-არს მროხა ხარ-კამბეჩთანი). მოუხდნენ ლეკნი და წარტყუჱნეს სრულიად. მოვიდნენ თარხნიან, ჯავახ-მაღალაანი, და ჰსთხოვეს შოშიას სარდალსა და წარვი-

დნენ სამცხეთო გაღმა მხრითა. დევნა ჰყო და მოსწყჳდნენ იორსა შინა, აოტნეს ლეკნი და უკმო-იხსნა საქონელნი.

შემდგომ ამისა დაიწყეს მეგჳსა შენობა და მოუხდნენ ლეკნი და წარ-ტყუჱნეს ტყუჱ, და საქონელი წარიღეს. ჰყო დევნა ნაპირმა გიორგიმ და მოიკლა მათგან, და აღავსო სახლი თჳსი მწუხარებითა.

შემდგომად ამისა შეემინაცა სარდალი შიომ მშობელთა თჳსთა და მიაბარეს ქორდსა მამისა თანა. რამეთუ მანცა ჱსთქჳა ანდერძი მცხეთას სასაფლაოსა თჳსსა.

შემდგომად მეფისა ირაკლისა მიიღო გიორგიმ მეფობა (14) ქართუჱლ ერ-კახთა, და მიუბოძა სამცხეთოს სარდლობა, ძმასა შოშია სარდლისასა ბეციას, რომელ-არს იოსებ.

—

სახლისა ჩემისა წულნო! ყოვლორე ჩემსა განიჰსწავლეთ მიზეზნი და გარემონი მიზეზთანი, და თქჳენცა სახლისა თქჳენისა მოთხრობასა ნუ დაიდუმებთ განშჳენებითა ქართულთა ენათაგან, და მეცა ნუ დავიწყებულ-ვიქმნები სახლისა თქჳენისა ბაკოვანი, მე სარდლის გაბრიელისა, მიტროპოლიტი იონა.

(14) მეფე ირაკლი II გარდაიცვალა 11 იანვ. 1798 წ. და გამეფდა შემდგომად მისსა მეფე გიორგი მეათცამეტე, რომელიცა გარდაიცვალა 28 დეკემბერსა 1800 წელსა.
პ. ი.



მეფე მირიან ხოსროიანი

Погосъ Гасуианцъ

# მეფე მირიან.

ამან მიიღო პირჳელად ქრისტიანობა 318 წელსა, და იყო თანა-მედროვე წმინდისა კონსტანტინე დიდისა ბერძენთა იმპერატორისა.

მისთჳს ჰსწერს მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე, რომელ მეფე მირიან თჳთ იყო იერუსალიმსა თაყჳანის-საცემელად წმინდათა ადგილთა, უხილავს თჳთ იმპერატორი კონსტანტინე, და ჯჳარის-მონასტრისა ადგილი, რომელსაზედაცა შემდეგთა დროთა აღაშენეს ქართჳელთავე მეფეთა მონასტერი, მას უშოვნია (1).

არა არს საიჭჳო, რომელ სახე ქსე მისი, გამოსატული კედელსა ზედა ჯჳარისა მონასტრისსა იერუსალიმს, არა არს ძჳელი, არამედ ეკუთჳნის დროსა მას, ოდეს აღშენდა მეორედ, ახლად და უფრორე კრცელად თჳთ ეკკლესია ჯჳარისა. სახე ესე მისი დაუხატავთ შემდეგთა მეფეთა მოსახსენებელად დჳაწლისა მას, რომლითაცა მეფემან მირიან, მომღებმან ნათლისა ქრისტესისა ქჳეყანასა თჳსსა, მოიმია მუნ ადგილი მონასტრისათჳს, პატივად ქართჳელთა ერისა (2).

ესრეთვე სახე მირიანისა, არს დახატული მცხეთისა დიდსა ეკკლესიასა, საუფლოჲსა კჳართისა ოთხ-კუთხიანსა სჳეტსა ზედა, და დროთაგან განრყჳნილი, დღესცა ჰსჩანს.

---

(1) იხ. მოსილუჲ ტიმოთესი, გჳერდი 148. პ. ი.

(2) იხ. მუნვე გჳერდი 158. პ. ი.

მეფისათჳს მირიანისა იტყჳს კათოლიკოზი ანტონი:

მირიანს დიდსა, ჱრჩეულს სხჳსს ვისმე დავითს,
ამად ვითარმედ, იყჳნეს უმმლეს უმკნესნი,
მეფენი პირჳელ, სხჳა და სხჳათაგან ტომთა,
მაგრა არა ჱსთნდეს, მონად თჳსად უფალსა,
ეშესაბამვის, შესხმა მიცემად ქებით.

სხჳა სავლე იქმნა, მირიან რჩეულ-წმინდა,
გჳემული· სიბრმით, განგებით ჱშთაჴრილ-ცხენით,
აქით ტყჳსაგან, თავის-ყოფალ-ტყჳეობის,
მცნობელი, და მჴსწრაფლად განდჳმებული ღჳთისად,
კერპთ-მმუსრი, ქრისტეს აღმართები ჯჳარის.

ესე არს პირჳელ, და დასაბამ მეფეთა,
კეთილ-მსახურთა, ვინ მოიმადლა ნიჭად,
ქრისტეს-სახელის, და მის-შორისებაი,
წინა-მძღჳარ ექმნა, ღჳთისა-მიმართ ქართჳელთა,
ხოლო გჳრგჳნი, მიიღო მოციქულთა ([3]).

პ. ი.

([3]) წყობილ-სიტყჳ: მუხლ. 549, 550 და 551. პ ი.



მეფე ვახტანგ გორგასლან

# ვახტანგ გორგასლან.

ვახტანგ გორგასლან მეფობდა 446 წლიდამ ვიდრე 499 წლამდე, ვითარცა ჰსწერენ ძუელნი ქართლისა მატიანენი. სახე მისი დაუხატავსთ იერუსალიმის ტაძრის კედელზედ, მრავალ-წელ შემდგომად, მისთა აღმაშენებელთა ანუ განმაახლებელთა იერუსალიმის მონასტერთა. — მისივე სახე, მშჳლდ-პყრობითა ხელთა და დიდტანად, იყო დახატული მცხეთის დიდს-ეკკლესიასა, სადაცა განახლებისა დროსა წაიბღალა იგი. წინარე ამის დროისა, წარდგენითა ჩემითა ს. პ. ბ. აკადემიამან მეცნიერებათა, ინება გარდმოხატუა მისი ესრეთ, გარდმოხატული იტალიელის მხატურის როცცისაგან, წარმოუგზავნე აკადემიასა 1839 წელსა და აქუსცა დასაცუელად დროთათჳს (1).

იერუსალიმსა შინა ყოვნისათჳს მეფისა ვახტანგისა ჰსწერენ მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე (2) და საქართუელოს მემატიანენი.

---

(1) *Hist. de la Géorgie. Trad. de M. Brosset. 1. livrais. pag. 200.*
ამის სახისათჳს მისისა ესრეთ ჰსწერია ქართლის ცხოვრებაში: « და ზედა საფლავსა მისსა წერილ-არს ხატი მისი, ჰსწორი ჰასაკისა მისისა: აწ, რომელ-არს აბჯარი და სამოსელნი მისნი, მისგან უფრო საცნაურ-არს ». პ. ი.

(2) იხ. მოხილუა ტიმოთესი, გუერდი 149 და 158. პ. ი.

ამისთჳს იტყჳს კათოლიკოზი ანტონი:

ვახტანგ ქებისა, შესაბამ საქებისა,
ღირს დიდებისა, უბრწყინვალეს ცებისა,
მარტჳლებისა, მისთჳს ზესთა-ცხონებისა,
დაუვსებისა, ნათლის-აუგებისა,
არს მოღებისა, ცნობილ-შეუსებისა.

ვახტანგ მგელ-ლომი, სივისკას სიჩაუქით,
დამცემი ორთა, გოლიათთა ჯჳარითა,
მზე განმანათლი, სამეფოსა თჳსისა,
მღჳდელ-მთავრობითთა, საყდართ მკაზმე მაკეთი,
ქრისტეს-თჳს მორის, ცხოველ ნიადაგ მომგე.

ვახტანგ სინდთა, და სხჳა და სხჳა ბარბაროზთა,
ზედ-განმმხედრი, დამცემი კონსტანტინებრ,
მირიან დიდის, შესაბამ დის-წულობის,
ქრისტეს-მოყჳარე, ქრისტეს-მიერ მმეფობი,
მონარხიისა, შემაერთი ბრძენ სიმკნით.

მფლობი კოლხიდით, ვიდრე ირკანიადმდე,
მფლობი აზიურ, სარმატიისა ჯოვლის,
ბრძენი მხნე მეფე, განმჴსჯი მართლიად ძარად,
არ მოთნე ვისდა ყოლ, არცა თჳალ-მღები,
სისხლითა ზიარ, ნამდჳლ-სატრფიალოჲს (3).

ვ. ი.

(3) წყობილ-სიტყჳ. მუხლ. 552, 553 და 554. ვ. ი.



მეფე ბაგრატ

Погосъ Грациіанецъ

## მეფე ბაგრატ.

მეფე ესე ბაგრატ იყო რიცხჳთ ამა სახელისა მე-ოთხე. მეფობდა 1027 — 1072 წლადმდე.

ამან აღაშენა ქუთაისისა, აწ შემუსრვილი, ტაძარი, და ჰყჳანდა ცოლად მმის-წული ბერძენთა იმპერატორისა რომანოზისა ელენა. ნიშად ერთობისა და მშჳდობისა საბერძნეთისა თანა მოეცა მას ხარისხი კურატ-პალატობისა. ამან აღაშენა იერუსალიმსა ჯუ̂არისა მონასტერი, ვითარცა ჰსწერს მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე (¹) და კედლიდამ თჳთ ამა მონასტრისა გარდამოუხატვს მას სახე ესე მეფისა ბაგრატისა, ვითარცა მონასტრისა აღმაშენებელისა (²).

მისთჳს ჰსწერს კათოლიკოზი ანტონი პირუ̂ელი:

ბაგრატ მეოთხე, მე გიორგი პირუ̂ელის,
მეფე აფხაზთა, მშუ̂ენიერ მორივ-ნაკუ̂ეთით,
ფილოსოფოსი, ბრძენი ქრისტეს-მოყუ̂არე,
კესარის მმ[illegible]ახლე, კურატ-პალატ სევასტის,
შუ̂ენებული ომთა, არ განუცდელ მხედარი.

---

(¹) იხ. მოხილუ̂ა ტიმოთესი, გუ̂ერდი 156. პ. ი.
(²) მისისავე წიგნ. გუ̂ერდი 148 და 159. პ. ი.

ამას ევტიხი, აქჳნდა ყოვლად ბედნიერ,
ვითარმედ ბრძენნი, თარგმანნი კჳალად სხჳანი,
ამისსა დროსა, მეფობითსა განბრწყინდეს,
გიორგი დიდით, ღჳთივ-მეტყჳ-ფილოსოფოსნი,
გარნა ქართჳჱლნი, სოფლის-კიდეთა მნათნი (3).

ჰ. ი.

---

(3) წყობილ-სიტყჳ. მუხლ. 568 და 569. ჰ. ი.



მეფე ლეონ

Погосъ Грасиріанецъ

# მ ე ფ ე ლ ე ო ნ.

ლეონ, მეფე კახეთისა, რიცხჳთ ამავე სახელისა მეორე გამეფდა 1520 წელსა და მოკჳდა 1574 წელსა. ესე იყო თჳთ იერუსალიმსა და ათონისა მთასა და ჰქმნა მრავალნი მუნ შენობანი. — ესრეთივე მისი სახე იპოვება ათონისაცა ფილოთეოსის მონასტერსა შინა, ვითარცა აღსწერს მთავარ-ეპისკოპოსნან ტიმოთე (1). გჳამი ამა მეფისა ასაფლავია კახეთს, გრემისა მთავარანგელოზთა ეკკლესიაში.

ფ. ი.

---

(1) იხ. ტიმოთეს მოხილჳა, გჳერდი 75, 140, 150 და 156. ფ. ი.

# შეცთომანი.

| გჳერდი. | სტრიქ. | დაბეჭდ. | წაიკითხე. |
|---|---|---|---|
| 13 | 29 | გავსულ ვიყავით | გავსულ-ვიყავით. |
| 22 | 16 | იერუსალიმისა | ანტიოხიისა |
| 64 | 28 | კუთხე | კუთხე. |
| 65 | 23 | 1951 | 1851 |
| 78 | 29 | იერუსალიმისა | ანტიოხიისა |
| 112 | 20 | პალატსა | პალატსა. |
| 122 | 19 | 1850 | 1835. |